

# საქართველოს მშენებელი

36  
88

№ 2 (352) ◆ 14 - 20 იანვარი, 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



## „არის კი ეს კახი ის, რაღაც თავი მოაქვს?“

– ის წვეთ-წვეთად ნაგროვები ეროვნული ენერჯია, რომელსაც კაშხალები უნდა აებდღერიალებინა, საკანალიზაციო ლუკაში აღმოჩნდა გადასხმული“. ღმერთმა დაგვიფარა და ამ ენერჯის მცირე ნაწილი მაინც შემოგვრჩა, რამაც გაგვადლებინა ბოლო 12 წელიწადი.  
– დღეს რომ გაიძახიან ელიტა და ბომონდიო, მეცინება. რომელ ელიტაზე და ბომონდზეა საუბარი?! ქართველებს უკვართ სიგყვა „ქაჯობა“. აი, ამ ქაჯობასთან გვაქვს დღეს საქმე...

## სკანდალური წერილი-აღიარება

„ყოველ წამს მოსალოდნელია, რომ ენერგომთაფიოებმა მომკლან...“



„კვირის პალიტრას“ ხელში ჩაუვარდა საქართველოს ენერგომთაფიის ერთ-ერთი წევრის მიერ დაწერილი სენსაციური წერილი-განცხადება.  
თავის აღსარებაში იგი ამხელს, როგორც თავად უწოდებს, ენერგომთაფიის ზოგიერთ ხელმძღვანელს. გვიამბობს, თუ როგორ მოხდა დანაშაულებრივ ვგუფში. ამჟამად იგი იმალება. მისი თქმით, იმიტომ, რომ ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან: „ყოველ წამს მოსალოდნელია, რომ ენერგომთაფიოებმა მომკლან...“

## სახალსო პროექტი ერთი წლისა!

ჩემს შთამომავლობას, XXI საუკუნის მოქალაქეებს – „კვირის პალიტრის“ ისტორიული მისია გრძელდება



„კვირის პალიტრა აქვეყნებს ადრესატთა სიას, რომელთა სახელზეც ერთი წლის წინ ბარათები გაიგზავნა. გადახედეთ ადრესატთა ვეარებს, იქნებ თქვენს სახელზეც არის გზავნილი.  
ბარათების მიღება შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ რედაქციაში ყოველდღე, შაბათ კვირის გარდა, 12-დან 18 საათამდე.  
თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.“

## სამხედრო თემაზე: „კლანჭებს“ აჩენს, ოღონდ, ჯერჯერობით, პაბარას

„დადიანმა“ მიუხედავად გაწეული წინააღმდეგობისა, პორტში შემოიყვანა საზღვრის დამრღვევი თურქული გემი „ილიზ-1“. წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ „ილიზმა“ თურქეთიდან სოხუმში ჩაიტანა კონტრაბანდული სივარეტის დიდი პარტია, ხოლო შემდეგ ოჩამჩირეში ტყვეარჩელის ქვანახშირით დაიტვირთა და გეზი სამშობლოსკენ აიღო.

## აფხაზებს გაგზავნილი „ბუკი“ პუბლიკა დააბრუნებინა

ბუკების ძებნა აფხაზეთში სამი დღე მიმდინარეობდა. ბოლოს რუსეთის გენერალიტეტი იძულებული შეიქნა უმაღლესი მთავარსარდლისთვის – პრეზიდენტ პუტინისთვის მოეხსენებინა საზენიტო კომპლექსების აფხაზების მიერ გატაცების შესახებ.

## ქართული მედიისთვის ყველაზე ნაკლებად ხელოვნებაზე საუბრობენ

საპროფესიო გამოკითხვა-რეაქციაზე გვ.35

## „უშიშროების რინოსნეგა გაუკეთეს საქართველოს „საჩუქარი“, რომლის გამოც შევარდნაქმნა მთელი მსოფლიო დასახინდა...“



– ვერსიის დონეზე კარგი სქემა გაქვთ და საინფორმაციო წყაროს თქვენთვის ისიც უნდა ეთქვა, რომ ჩემი პოზიციის გამო, გამორიცხულია ვინმესგან ფული ამეღო.  
ვალერი საბურდანიანი  
– მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სტრუქტურების პირველი პირები გადაღდენენ, სამინისტროებში დარჩენენ პატარა „მგლები“. არის საშიშროება, რომ უშიშროების ახალი შეფი სწორედ ამ „მგლების“ მიერ იქნას შეჭმული. თუ ვერ შეჭამეს, პრობლემები მაინც შეექმნება... გესმით, როგორ „მგლებზე“ საუბარი? მათ ფეხებზე ჰკიდიათ ქვეყნის ავტორიტეტს და საერთოდ, ყველაფერი. ამის შემდეგ დანაშაულების რა დასჯაზეა საუბარი.  
კოტე კემულარი

სამშობლო შენი ენა ყოფილა – საოცრად მენაგრება ქართულ ენაზე ლაპარაკი. სამშობლო შენი ოჯახი ყოფილა. სამშობლო ყოფილა შენი ბავშვობა.  
გვ.12



## სანთლის უშიშროებას პრეზიდენტისგან პატივით თამს ჩემი ახლოგზების გზაგადა

## ბანკის საკრიკველი წინასწარ ჩაყოლებული სპრალით გაგზავნილი პილიონები...

„ბინგოს“ ჩამოერთვას არა მარტო „ობშიაკი“, არამედ „რამკიანი ქურდის“ წოდებაც და „ჩარტყმულის“ სახელით ახლავე დავატოვებინოთ „სხოდკა“, – თქვა ვასკა „უგრიუმიმ“ და კოლეგებს გადახედა, თან დასძინა, – „ობშიაკი“ კი ბაქარს ჩავაბაროთ. სულერთია, ორი მესამედი მაინც მისი ფულია, სამი მილიონი დამო ბოლო საქმიდან...  
რამდენიმე თბილისელ სტუდენტს რესტორანში აგვირიეს ვიდაც „ხაზოლებმა“ და ალბათ კარგადაც დაგვეუფადდნენ, ბაქარს რომ არ გამოეღო თავი...

## დაიანას ბინ ლადენა?..

პრინცესას ლიკვიდირება გარდაუვალი იყო. უსამა ბინ ლადენი და მისი თანამომარენი პრინცესას ყოველ ნაბიჯს აკვირდებოდნენ.  
გადაწყდა პრინცესა დაიანას და ლოდის ლიკვიდირება.  
გვ.29



# ნათლისღების პაღლი გფარავდით!

















# საქართველო გოლოს და გოლოს თავის „კლანჭებს“ აჩენს, ოლოდ, ჯარჯაროვით, პაპიას

(დასაწყისი იხ. გვ. 8)

ქუთაისის სასამართლომ გემის კაპიტანს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, სასჯელს ვერც დანარჩენები გადაურჩნენ. თუმცა, როგორც ზოგიერთი თურქული წყარო ირწმუნება, ეს უკანასკნელები დამნაშავეები არ არიან — თავის დროზე ისინი სამშობლოდან რუსეთში აპირებდნენ სამუშაოდ წასვლას, მაგრამ შუამავალმა მოატყუა, ოჩამჩირეში ჩაიყვანა და უთხრა — ეს არის რუსეთი და იმუშავეთო. ტყვედების მსახურში მომუშავე მოტყუებული თურქებისთვის შეპირებული 250 დოლარის მიცემას არავინ აპირებდა. ამიტომ, როგორც კი ნახეს ოჩამჩირის პორტში თურქული გემი, მის კაპიტანს სხივებს, სამშობლოში დაგვაბრუნეთო. ასე აღმოჩნდნენ თურქი მუშები საქართველოს საზღვრის დამრღვევ გემზე.



ქუთაისის სასამართლოს გადაწყვეტილებას თურქები თბილისში გასაჩივრებას უპირებენ. ქართული მესაზღვრეები კი კმეყოფილებას არ მალავენ — ბოლოს და ბოლოს, მათ მიერ დაკავებული ოთხი გემის ეკიპაჟიდან ვიღაცას მაინც სჯის ქართული სასამართლო დამსახურებულად.

სამი-ოთხი წლის წინ, როდესაც საზღვაო აკვატორიის დამრღვევი გემების აღმოსაჩენად არც საპატრულო თვითმფრინავები ჰყავდათ მესაზღვრეებს და არც რადიოლოკატორები ჰქონდათ, შემდეგნაირად აფიქსირებდნენ საზღვრის გადაკვეთის ფაქტს — ზუგდიდის ბაზარში ოჩამჩირიდან და სოხუმიდან ჩამოტანილი კონტრაბანდული საქონელი (მათ შორის — სიგარეტი, ფეხილი თუ სხვ.) იმის უტყუარი მაჩვენებელი იყო, რომ ორი-სამი დღით ადრე ამ აფხაზურ პორტებს თურქული, რუსული თუ უკრაინული გემები ესტუმრნენ.

P.S. მაშინ, როდესაც ის გვიკვირს, როგორ შეეძლებოდა საზღვრის დამრღვევი უცხო ქვეყნის გემის ჩვენსავე საზღვაო აკვატორიაში დაკავება, ისრაელის სპეცსამსახურებმა ნივთი ზღვაში (რომელთანაც ებრაელებს საერთო არაფერი აქვთ) აბორდაჟე აიყვანეს პალესტინელების მშრალტვირთმზიდ „კარინა“. გემზე ებრაელებმა 50 ტ იარაღი და საბრძოლო საჭურველი აღმოაჩინეს, რომელთა შორის, ძირითადად, ირანული წარმოების „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატები, ნაღმსატყორცები და ტანკანინალმდეგო კუმულიატური ჭურვები იყო. ტვირთის საერთო ღირებულება 1,5 მლნ დოლარს აღემატებოდა. ებრაელთა მტკიცებით, იარაღის ეს პარტია პალესტინელებს რომ ჩაეგდნოდათ, მაშინ ახლო აღმოსავლეთში შეიარაღებული დაპირისპირება ძალზე გამწვავდებოდა.

ავტომატებს ვინ ჩივის, სეპარატისტულ აფხაზეთში ზღვით „გრაბებიც“ კი შეაქვთ.

ინციდენტები შავი ზღვის სანაპიროს არასდროს დაჰკლებია. 1997 წელს რუსმა მესაზღვრეებმა, რომლებიც იმ დროს ჯერ კიდევ აკონტროლებდნენ ქართულ საზღვრებს, სარფთან ცეცხლი გაუხსნეს თურქების თევზსაჭერ კარჭებს და ერთი მეზღვაური მოკლეს. მაშინ ამ ფაქტმა როგორც თურქეთის, ისე ქართული მხარის მწვავე პროტესტი გამოიწვია, რამაც საბოლოოდ დააჩივრა რუსი მესაზღვრეების გასვლა საქართველოდან. ორიდღე წლის წინ კი უკვე უკრაინელმა

## არსენალი მოგავლის ჯარისკაცის შეიარაღება

გასული საუკუნის დამლევის კი არ დამცხრალა დისკუსიები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს XXI საუკუნის მებრძოლი. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს ამ თემაზე განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ, თუმ-

ცა პიბრიდი 8-9 კგ-მდე მაინც იქნება, თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში მომავლის ჯარისკაცს საშუალება ექნება ავტომატი სწრაფად მოხსნას ამ კომპლექსს და ცალკე გამოიყენოს. ავტომატური ყუმბარსატყორცის მჭიდში 20 მმ კალიბრის არანაკლებ 6 ყუმბარა მოთავსდება.

ჩამოსხმული, თუმცა მდგრადობით ფოლადისას არ ჩამოუვარდება. მასზე მინი-კომპიუტერი იქნება დამონტაჟებული, რომელიც კაბელით ზურგჩანთაში მოთავსებულ ძირითად კომპიუტერს დაუკავშირდება. ჯარისკაცის მარჯვენა თვალზე სპეციალური მონიტორი დამაგრდება, რომელზეც გამოისახება, როგორც სამიზნე, ისე სხვა ინფორმაცია. თანამგზავრული კავშირგაბმულობის და ნავიგაციის სისტემა მას საშუალებას მისცემს სამი-ხუთი მ-ის სიზუსტით დაადგინოს თავისი ადგილსამყოფელი. მუზარადმევე ჩამონტაჟებული მიკროფონით ჯარისკაცი დაუკავშირდება თავისივე დანაყოფის სხვა წევრებს.

და რაც მთავარია — მომავლის ჯარისკაცი კომპიუტერის საშუალებით შეძლებს რეალური დროის მასშტაბში ინფორმაცია გადასცეს შტაბს მონიალდეგის შესახებ — ფაქტობრივად, იგი წმინდა საბრძოლო ფუნქციების გარდა, მზვერავის მოვალეობასაც გასწევს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რითი ხვდება ქართული არმია XXI საუკუნის ჯარისკაცს?

ფაქტობრივად, ისევ ნახევარსაუკუნოვანი „კალაშნიკოვებით“ და 40 წლის წინანდელი PПГ-7 ყუმბარსატყორცებით. სამწუხაროდ, ამას ვერსად გავექცევით, რადგან საქართველოს არ გააჩნია იმის სამრეწველო პოტენციალი, რომ აწარმოოს მაღალტექნიკური იარაღი და მით უმეტეს, შეიძინოს იგი საზღვარგარეთ.

მაგრამ ჩვენი ძალებითაც შეიძლება ოდნავ მაინც მივუახლოვოთ ქართველი ჯარისკაცის აღჭურვილობა მსოფლიოს მომავლის ჯარისკაცის დონეს. ამაზე თუნდ ის საერთაშორისო გამოფენაც მეტყველებს, რომელიც 2000 წელს პრაღაში გაიმართა სახელწოდებით „NATO-ს XXI საუკუნის ჯარისკაცის აღჭურვილობა“, სადაც ქართული წარმომადგენლები იყვნენ. იქ „კვირის პალიტრამ“ თავისი თვალით იხილა, თუ როგორ დაინტერესდნენ უცხოელი სპეციალისტები ქართული კერამიკული ჯავშანჭილკებით „თორიქები“ და ბოჭკოპოპტიური სამიზნით.

თუკი ქართველ ჯარისკაცს დაახლოებით ასეთი ჯავშანჭილკით და კველარისგან დამზადებული მუზარადით აღჭურვავთ, ხოლო ხელში ბოჭკოპოპტიურსამიზნის (ამ სამიზნის ერთი ბოლო ავტომატზე მაგრდება, მეორე კი მისიველის თვალზე) ავტომატს მიეცემთ, იგი, მართალია, ვერ გახდება „მომავლის ჯარისკაცი“, მაგრამ არც მთლად „წარსულის ჯარისკაცი“ დარჩება.



როგორი უნდა იყოს XXI საუკუნის ჯარისკაცი



ცა ერთში ყველანი თანხმდებოდნენ — მომავლის ჯარისკაცის შეიარაღებაში უნდა იყოს მსხვილკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღი, ინდივიდუალური დაცვის თანამედროვე საშუალებები (მუზარადი, ჯავშანჭილკი) და, რაც მთავარია, რადიოელექტრონული მონიჭობილობა ბრძოლის ადგილზე ორიენტაციისა და რადიოკავშირისთვის.

ბუნდესვერის წარმომადგენლები უკვე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თითოეული მომავლის ჯარისკაცის აღჭურვა და შეიარაღება მათ შეიძლება არანაკლებ 300 ათასი გერმანული მარკა დაუჯდეთ, საიდანაც ნახევარი იარაღის კომპლექსზე მო-  
მავლის ჯარისკაცი სროლას მოფარებული ადგილიდანაც შეძლებს, ისე, რომ გარეთ მხოლოდ იარაღის ხელი გაყოს. დამიხუნება იმ ელექტრონული სისტემით მოხდება, რომლის ოკულარი მის თვალზე იქნება დამაგრებული.

ავტომატისა და ყუმბარსატყორცის

ჯარისკაცს შეეძლება თითოეული ყუმბარის ელექტრონული ამფიტიქის წინანსწარი დამოკრამება, თუ გასროლის შემდეგ რა მანძილზე აფეთქდეს იგი. თითოეული ყუმბარა აფეთქებისას 6 მ-ის რადიუსში დაზიანებს მონიალმდეგებს.

მომავლის ჯარისკაცი სროლას მოფარებული ადგილიდანაც შეძლებს, ისე, რომ გარეთ მხოლოდ იარაღის ხელი გაყოს. დამიხუნება იმ ელექტრონული სისტემით მოხდება, რომლის ოკულარი მის თვალზე იქნება დამაგრებული.

## აქითხველის სვეტი

„გთხოვთ გაგვაცნოთ მობილური საარტილერიო დაზვერვის სისტემა „300 პარკ-1“.

ლევან ჯალაღონია

### აფხაზეთის ომი „ზოოპარკი“ ნაგვილად გვაქვდა...

პირველად ეს საინტერესო, სახელო დანიშნულების მანქანა, რომელსაც ასევე ძალზე უცნაური სახელი ჰქონდა — 300პარკ-1 ერქვა, კვირის პალიტრამ 1997 წელს რუსეთში, ყუკოვსკის საავიაციო გამოფენაზე წახა.


ყოველივე ამას კი სწორედ „ზოოპარკის“ მსგავსი სისტემა სჭირდებოდა.

მისი დეტალურად გაცნობისას ნათელი გახდა, რისთვის იყო იგი განსაზღვრული. მხოლოდ ცოტა უცნაური მისი სახელი იყო — ან იგი ნიშნავდა „300 პარკ-1“-ს, ან მართლაც „ზოოპარკს“. საბოლოოდ დადგინდა, რომ მის კონსტრუქტორებს უფრო ზოოფილური სიყვარული ამოძრავებდა მისი სახელი ასე წარმოითქმება 300პარკ-1.

რუსული (თავიდან საბჭოთად წოდებული) საარტილერიო პოზიციების მზვერავი და აღმომჩენი კომპლექსი 300პარკ-1 სწორედ ამ მიზნებისთვისაა განკუთვნილი. მისმა ფაზირებულმა ანტიენამ მონიალმდეგის გამოსროლილი ჭურვის ტრაექტორია რადიოლოკატორით უნდა დაფიქსირდეს და რამდენიმე წამში ზუსტად უნდა გათვალისწინდეს მონიალმდეგის საარტილერიო დანადგარების პოზიციები. კოორდინატები რადიოთი უნდა გადასცეს თავის არტილერიისტებსა და მფრინავებს, რათა ამ უკანასკნელებმა საპასუხო დარტყმა მიეყენონ მტრის პოზიციებს.

მაინც რატომ უნდა დარტყმულა ომის სანარმოებელ მანქანას ასეთი უცნაური სახელი? სტატიის ავტორის მოსაზრებით — ისევე, როგორც ზოოპარკში არი-

ფორმაციის თანახმად, აფხაზეთის



ან დამწყვეული მტაცებელი ცხოველები, ასევე 300პარკ-1-ს თავის რადიოლოკატორ „ბრჭყალებში“ უნდა მოექცია ყველა ის „მეცე“, რომლებსაც მონიალმდეგე ისროდა — საზოგადოდ, საბრძოლო იარაღის შემქმნელებში ძალზე პოპულარულია იარაღისთვის მხეცების სახელების დარტყმვა (იგუარე, ვეფხე, შავი ზვიგენი, ლეოპარდი და ა.შ.).

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს მწარე რეალობას. 1992 წელი. ნოემბერი. აფხაზეთის ომი. მონიალმდეგე დაიპყრო გავრა-განთიანი და ეშერასთან ადგილებს პოზიციებს. ჩვენი არტილერიისტები კვლასურიდან, სადაც ზღვის პირას პოლონური კოტეჯები განთავსებული, D-30 ტიპის ჰაუბიცებით ესვრიან ზემო ეშერაში განთავსებულ მონიალმდეგეს. ცეცხლის კორექტირება აჩაღარაში სამი ცხრასართულიანიდან ერთ-ერთში, 7-8 სართულზე შენიღბული საკომანდო პუნქტიდან ხდება. რამდენიმე დღის შემდეგ სოხუმელები ეჭვს გამოთქამენ, რომ ის ჭურვები, რომლებიც კვლასურიდან ეშერისკენ იგზავნება, სოხუმში ცვივა და ფეთქდება. არტილერიისტები მხოლოდ მხრებს იჩქავენ — ჩვენ ჭურვებს აფხაზებს ვესვრით და სოხუმში როგორ ჩამოვარდებო...

და მხოლოდ შემდეგ, დაზვერვის დახმარებით ირკვევა, რომ აფხაზებს თურმე ეშერაში მოუზიდავთ საარტილერიო დანადგარები (მათ შორის არანაკლებ სამი ჰაუბიცა, რომელნიც ბარუთი ზღვით შემოიტანეს, დანარჩენი კი გაგრაში ალაფად წაიღეს) და სოხუმს უშენენ.

დამუბრუნდეთ 300პარკ-1-ს. იგი სერგო ორჯონიკიძის სახელობის ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის მიერ გამოშვებული ჯავშნიანი გამწვანის MT-ЛБВ-ს ბაზაზე დამონტაჟებულ დიდი ფართობის ფაზირებულ ანტენას წარმოადგენს.

მის უნიკალურ შესაძლებლობად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ შეუძლია აღმოაჩინოს მონიალმდეგის მიერ გამოსროლილი თითქმის ყველა სახეობის საბრძოლო ჭურვი, ტყვიის გარდა.

300პარკ-1 ნაღმსატყორცის ნაღმს 25 კმ-ის სიშორეზე აფიქსირებს. სავსე არტილერიის ჭურვებს (პაუზიტებისა და ქვემეხების) 15 კმ-ზე, ხოლო Ураган-ისა და Смерч-ის მსხვილკალიბრიანი რაკეტებს — 40 კმ-ის მანძილზე. რაც მთავარია, ამ სისტემას შეუძლია 60 კმ-ის რადიუსში აღმოაჩინოს (ფაზირებული ანტიენა წრეზე ბრუნავს) ტაქტიკური ბალისტიკური რაკეტების სტარტი.

ქართულ მხარეს მონიალმდეგის საარტილერიო პოზიციების აღმოჩენი სისტემა რომ ჰქონდა, საქმე აქამდე არ მივიდოდა...  
გავისუნთო, მეორე ფაქტიც — მონიალმდეგე 1993 წლიდან აქტიურად დაიწყო მოძრაობა საარტილერიო პოზიციის პრინციპის გამოყენება — ღია სარკინიგზო პლატფორმებზე განთავსებული „გრაბები“ 20-ოდე წამში 40-ივე რაკეტას უშვებდნენ სოხუმის მიმართულებით, რის შემდეგაც მათ სამანევრო თბომაველი ახალ აონთან გვირაბში შეაგროვებდა. ქართული დაზვერვა თავდაპირველად თავს იმტყვევდა მონიალმდეგის საარტილერიო პოზიციების დასადგენად...

შემოთ ჩვენ მხოლოდ საბჭოთა-რუსული საარტილერიო სისტემის თავდასხმის შესაძლებლობა განვიხილეთ (რაც უფრო აქტუალურია საქართველოს რეალობისათვის). სინამდვილეში 300პარკ-1 თავის დროზე (არანაკლებ 15 წლის წინ) პროექტდებოდა დასავლური წარმოების 81 მმ, 120 მმ კალიბრის ნაღმსატყორცების ნაღმების, 155 მმ საარტილერიო ჭურვებისა და ვერობილი განთავსებული ამერიკული „ლანსეტისა“ და „პერინგების“ სტარტილერიო ფორმის ტრაექტორიის დასაფიქსირებლად.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა



# ცხოვრებისეული კურიოზები

## მეხვლეც ასეთი უნდა!



ჩემი სკოლის მეგობარი ვერაფრით ვერ დაქორწინდა, არადა, უკვე ორმოცს მიუკავუნა. სხვათა შორის, უცოლო გახლდათ მისი უფროსი ძმაც. ყოველივე ამის გამო, ბუნებრივია, ძალიან განიცდიდა ვაჟუცების დედა, ქალბატონი თამარი და ერთხელ, ახალი წლის წინა დღეებში მათთან მორიგი სტუმრობისას შემეხვეწა — კარგი ცოლ-შვილის პატრონი ხარ, კარგი ფეხი გექნება და მოდი, ახალ წელს შენ იყავი ჩვენი მეკვლე, იქნებ ამ ბიჭებს რამე ეშველოთ.

უარს როგორ ვეტყოდი და მართლაც, ჩემმა ფეხმა ქნა თუ უფალმა ინება ასე, იმ წელს ორივე გაბედნიერდა... ორივეს ქორწილში სუფრის თავში დამსვეს, ყველაზე ძვირფასი და სასურველი სტუმარიც მე გახლდით...

მორიგი ახალი წლის დადგომის წინა დღეებში კი ქალბატონმა თამარმა მითხრა, — შვილო, ამ ახალ წელს ნულარ მოხვალ მეკვლედ, თორემ ისეთი ფეხი გაქვს, ემანდ ჩემი ქმარი შალიკოც არ დაქორწინდესო...

შოთა ქელეხაშვილი, ქარელი

## „ზეზულა გილათი“

იმ ავად მოსაგონარ დროს, ზოგი რომ ოქროს ხანას ეძახის, ცხინვალთან მერეთში (სოფელია გორის რაიონში) მოდიოდა ერთი ჩემი ოსი ნათესავი გერსანა. მივიდა ეს ჩვენი გერსანა სალაროსთან და მოლარეს, მშვენიერ, ქერად შეღებულ ქალს ორი ბილეთი სთხოვა მერეთამდე. არა გვაქვს დასაჯდომი ბილეთები — იყო პასუხი. გერსანა თოფნაკრავივით წამოვიდა, ცოტა ხანში კი ისევ მიბრუნდა და მოლარეს შეეხვეწა: — ზეზულა მომე, რა სენი წირიმე, ზეზულა!..



— რაა?! — იყვირა ქალმა.

გერსანა ვერ გაერკვა, რა მოხდა, რომ ქალი სალაროდან გამოვარდა და საანგარიშო (მაშინ ხის დიდი საანგარიშოები ჰქონდათ მოლარეებს) ზედ თავზე ჩამოამხო ახალგამომცხვარ „კავალერს“, იხე რომ კოჭები აქეთ-იქით მიმოფანტა. საქმეში მილიციაც ჩაერია და ატყდა ერთი განევ-გამომწევა.

გაირკვა — გერსანას ფეხზე დგომის ბილეთის ნაცვლად ზეზულა უთქვამს და ეს დრამაც ამიტომ დატრიალებულა. ბოლოს ყველაფერი დაწყნარდა და „დაზარალებული“ გერსანაც პოლიციის უფროსმა ახლობლის მანქანით გაამგზავრა მერეთში.

სიმონ კაშო, თბილისი

# მკითხველს — საყვარელი ანეკდოტი

ჭიჭკია ბიჭიკიას სიგარეტს სთხოვს: — რა კარგი სიგარეტია, სიმონ, სად იშოვე? — მაგი შენ იშოვე, თვარა, მე ფული მაქვს გადახდილი!.. — პასუხობს ბიჭიკია.

ლ. მალაშხია, თბილისი




სვანი ენგურის სათავით დაინტერესდა, მიჰყვა და შავ ზღვას მიადგა. ზღვა რომ დაინახა, თქვა — ამდენ წყალს რა გამოლევს, რა ტყუილად ვნერვიულობდი, ენგური არ დაშრესო...

მერაბ უძილაური, თბილისი

სეროჟა თავის ბიჭთან ერთად ბაზარში შევიდა საყიდლებზე. — მამი, მამი, მიყიდე რა ქლივა... — წამოიძახა ბიჭმა მწიფე ქლიავის დანახვისას. — ქლივა რა ქართულია, შვილო, უნდა თქო სლი-ა-ვი!.. — შეუსწორა სეროჟამ.

რ. ნ., თბილისი



ბიზნესმენები ლაპარაკობენ: — მე ცოლი კანარის კუნძულებზე გავაგზავნე დასასვენებლად! — ამბობს ერთი. — მე — ვენეციაში! — ამბობს მეორე. — მე პარიზში! — ამბობს მესამე. — შენა, სეროჟ, შენ სად გაავაგზავნე ცოლი? — იქედნურად ეკითხებიან მძლოლს. — მე, საზენიჯან, ჩემ ცოლთან თვითონა მიძინა!

თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი

## ა, გრაფინა!..



ლექსუმში, სოფელ ცაგერაში ქეიფის მოყვარული თეოფანე ხვადგანინი ცხოვრობდა. თეოფანეს ძალიან უყვარდა სტუმრობა და თუ შემთხვევა მიეცემოდა, კარგადაც მოუღებდა ხოლმე.

ერთხელაც, მასთან გვარიანად ნაქეიფარმა სტუმრებმა წასვლა რომ დააპირეს, თეოფანემ მაგიდაზე მდგარი ღვინიანი გრაფინი ხელში აიტაცა და კატეგორიულად მიმართა სტუმრებს:

— სანამ ა გრაფინას ტ...ს არ დაგანახებთ, აქედან ფეხსაც ვერ მოიცვლით!

სტუმრები უხერხულად შეიშშუშნენ. იქვე მდგარმა ქალბატონმა აგრაფინამ, თეოფანეს მეუღლემ, ქმარს უთხრა:

— შე უბედურო თეოფანე, მაგ ტრაბახს გირჩევნია ამ პატიოსან ხალხსაც თავი დაანებო და გრაფინის ძირსაცო...

იური ლეჩხუმელი

## მახე გავხდი მეც ოროსანი!



ოზურგეთელი კახა კილაძე, მ წლის „ვაჟუცი“ საახალწოდ ახლო მეზობლებმა მეკვლედ დაპატიჟეს...

დილაადრიან მოვიდა კახა, სასტუმროდ გამოწყობილი, დიდი კაცივით დააკაუნა კარზე — მეკვლე ვარ, კარი გამიღეთო... — შემოყარა ფერად-ფერადი კანფეტები, მიულოცა ოჯახს ახალი წელი — კაცთა მშვიდობა და ბედნიერება დაგებდეთო... მერე ღირსეულად „ჩაიბარა“ მეკვლისთვის განკუთვნილი საჩუქრები და სუფრის თავშიც მოკალათდა.

— გაგიმარჯოს, კახა! დიდი ბიჭი გაიზარდე, კარგი ფეხი შემოგეტანოს ჩვენს ოჯახში, — აღღერძელეს ოჯახის უფროსი, — შენც ბედნიერი იყავი და შენ გარშემო ვინც არის, ყველა ბედნიერი იყოს, იმიტომ რომ, თუ გარშემო ცუდად არიან, არც შენ იქნები ბედნიერიო...

— მაგას ეს პატარა ბიჭი რას გეიგებს, შვილო, პანა გასაგებ ენაზე უთხარი!.. — შეუსწორა თამადას ოჯახის

უფროსმა დიასახლისმა, ქალბატონმა ციალამ.

— რავე ვერ გევიგებს, ციალა ბებია, კლასში სულ ოროსნები რომ იყვნენ და ერთი ხუთოსანი დეიარებოდეს, ხო გახდება იგი ხუთოსანიც ოროსანი? — დიდივით ჩაერია კახა დიდების კამათში.

— კი გახდება, ნენა, ამა რას იზამს! — დაუდასტურა ციალა ბებია.

— ხოდა, მასე გავხდი მეც, ოროსანი!.. — ამოიოხრა კახამ.

ლია ჩხარტიშვილი, ოზურგეთი

## მავითვის ხო ვერ გავაღვიძებო...



კახელი ჯემალას მამა შაქრო წყალსაქაჩში მუშაობდა გაგანია კომუნისტობისას და დამამობით კოლმეურნეობის ვენახებს რწყავდა.

ერთ დღესაც დილაადრიან თავმჯდომარემ ბრიგადირი გაგზავნა შაქროს დასაძახებლად რაღაც სასწრაფო საქმეზე. მიადგა ბრიგადირი შაქროს სახლს და მთელი უბნის გასაგონად გაიძახის — შაქრო, ჰაი შაქრო!..

ძახილზე ცოლმა გამოიხედა და ასევე ხმამაღლა ეკითხება ბრიგადირს — რაო, რა გინდაო?

— რა და, თავმჯდომარე იბარებს კანტორაში შაქროსა, სასწრაფო საქმეა!..

ქეთო არც დაფიქრებულა, აივნებიდან ჩამოსძახა ბრიგადირს:

— რა ვქნა, გოგია, ახლა შაქროსა სძინამს, კაცი წუხელი მთელი ღამე „აჰაჩაჩა“ და ხო ვერ გავაღვიძებ მაგი გულითვინა!..

ბაზიერო, თბილისი

## ხადღერძელომ რა ჰქმნა?..



ამ ცოტა ხნის წინ ახლობელთან გახლდით წვეულებაზე. შუა ქეიფისას თამადამ განსხვავებული სასმისით ქართველ დედათა სადღერძელო შესვა.

ადგა ერთი მოქეიფე ჭაბუკი, ბოლო მოდაზე ჩაცმული, ბრიოლინით თმა-გაპრიალებული, ერთ-ერთი იმითაგანი, დედას უკულმა რომ იგინება, გულაჩუყებული მივიდა მუსიკოსებთან და ეუბნება:

— აუ, ბიჭებო, ჩემი დედა!.. ძმურად რა, რამე კაი სიმღერა თუ იცით დედაზე, დაუკარით!..

მუსიკოსებმა „დედისმოყვარულ რაინდს“ ათლარიანი „ჩამოართვეს“ და დარბაზში სევდიანი მელიოდაც გაისმა — „საყვარელო, ჩემო დედი!“

რევაზ ნიჭარაძე, თბილისი

## აქსულ-ქართლი, ქართლ-აქსული ლაქსიონი


მედალიონი — დილის თაფლი  
მამისონი — მამის სიზმარი  
მატროსი — პაოლო როსის დედა  
მასკარადი — სიხარულის ნილაბი  
მელაკუდა — საით მიდიხარ, მელა  
მირონი — მშვიდობა ონში  
მამიდა — დედის და, ე.ი. დეიდა  
მანიკური — მანიას ქათმები  
მორისონი — საზღვაო სიზმარი  
P.S. იქნება სხვა თარგმანებიც.

ჯანო ონიანი, ქუთაისი



ბატონო მკითხველო, რედაქცია კურორტებსა და ანექდოტებთან ერთად ელის მზარდულ კარიკატურებს, მეგობრულ შარყებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვქვეყნებთ. მასალები გამოგვიგზავნეთ „ქვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

# გაგუღოებით რიგებს ტელეფონი... ვეღვს უხარია - მერაბ ნინიძე თბილისში!



ცოტა ხნის წინ აფრიკაში ვიყავი. მომხიბლა იქაურებმა...

ზარს დიდხანს ვერეკავ სადარბაზოს კარზე და ვხვდები, რომ შუქი არ არის. — მერაბ! — ვეძახი ქუჩიდან. აივანზე გამოდის და მინიშებს, — ახლავე გაიღებო. მერე მიუყვები კიბეს და ვფიქრობ, — ახლა მე მოვხვდები ერთი ციდა ბინაში, სადაც ყოველი ნივთი მერაბის სულითაა გატენილი და მას ჰგავს.

ძალიან უყვარს თავისი სახლი. ბევრჯერ უთქვამს — სადარბაზოში შემოსულს ისეთი გრძობა მეუფლება, თითქოს ყველასგან და ყველაფრისგან დაცული ვარო. ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებულს ყოველი ნივთი იმ ადგილას ხვდება, სადაც დატოვა...

საოცარი თვისება აქვს ჩვენს სახლს — ხომ ასეთი ერთი ციციქაა, მაინც უამრავ ადამიანს იტევს. მერაბი თბილისში რომ ჩამოდის, მისი მეგობრები ჩვენთან იყრიან თავს. ადგილი ყველასთვის მოიძებნება ხოლმე, — მითხრა ერთხელ ქალბატონმა მანანამ — მერაბის დედამ...

ის კი ვარის ზღურბლთან მხვდება — დგას და ილიძებს... თვალში მეცა ოდნავ მეტი ჭაღარა და ოდნავ მეტი სევდა სახეზე...

— კარგია შინ ყოფნა? — ძალიან!

ოთახში, როგორც ყოველთვის, ყავის სურნელი დგას და თბილი... გამუდმებით რეკავს ტელეფონი... ყველას უხარია — მერაბ ნინიძე თბილისშია!

— რიგებში დარჩები? — თხუთმეტი იანვრამდე...


ვერძნობ, როგორი გასარებული და მშვილია თვითონაც — აქაა, შინ, თბილიად, დელასთან, ახ-

## სანთლის შუქმცე არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს ჩემი ახლობლების გვერდით

იოლი არ იყო თავის დამკვიდრება... ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოდიოდა პოპულარობა. ვენამ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კინემატოგრაფისკენ გამისხნა გზა... ახლა იქაც მყავს თაყვანისმცემლები და იქაც მცნობენ ქუჩა-

ში... ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ყველაფერი ისევე თავიდან დაიწყო... — ყველაზე მეტად ვინ და რა გენატრება ავსტრიაში? — სამშობლო. მაგრამ იცი, რას მიხვდები? სამშობლო შენი ენა ყოფილა — საოცრად მენატრება ქართულ ენაზე ლაპარაკი. სამშობლო შენი ოჯახი ყოფილა — სულ დედაზე, ძმაზე, ახლობლებსა და მეგობრებზე ვფიქრობ... სამშობლო ყოფილა შენი ბავშვობა — ხშირად მახსენდება დრო, როცა თავს უშიშრად ვგრძნობდი და დამოუკიდებლობა ნაკლებად მომეთხოვებოდა... ხანდახან სევდა მიპყრობს, მაგრამ უცებ ვაცნობიერებ — ამ ფიქრით და სევდით იმ დროს ვერ დავიბრუნებ და ისევ რეალობას ვუსწორებ თვალს.

— შენ აქედან თბილისის ომამდე წახვედი. რაც აქ მოხდა, მხოლოდ გადმოცემით იცი. ეს ალბათ უფრო მეტი განცდის საბაზს გამოიწვია... — ეს ყველაფერი იქ მე უფრო მტკივნეულად გადავიტანე, სულ მოველენების ცენტრში ვიყავი, სულ აქაურობაზე ვფიქრობდი. მართალი გითხრა, იქ უფრო ობიექტური ინფორმაცია შეიძლება მიიღო, ვიდრე აქ. აქ პატარა დეტალსაც კი მნიშვნელობას ანიჭებენ, ერთმანეთს ეკინკლავენ ბიან დაპირისპირებული მხარეები, ზოგი ერთს იცავს, ზოგი — მეორეს... იქამდე კი ეს



გადაღებაზე...

ყველაფერი შეჯამებული და ცივი გონებით გაანალიზებული მოდის... მე ვენაში დამაბული და დაზარალებული ჩავედი აქ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო. იცი, რა იყო მაშინ ავსტრიელების მთავარი საწინააღმდეგო? ის, რომ სადაც, რომელიმე უცხო ქვეყანაში ოზონის შრეში ღრმული თანდათან ფართოვდება, რაც ოდნავ შეიძლება კატასტროფით დამთავრდეს... — ახლა რა ანუშნობ? — 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მასობრივმა პანიკამ მოიცვა მთელი ავსტრია — მსოფლიო ბირთვული ომის ზღვარზე დგას და კაცობრიობას განადგურება ემუქრება... მათ მხოლოდ გლობალური პრობლემები ადევლებთ, მე კი უფრო თბილისური ავ-კარგით ვცხოვრობ. მგონია, მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ გაცილებით მეტი ზიანი მოუტანა საქართველოს, ვიდრე პოლიტიკოსთა კინკლაობამ. როგორი შეიძლება იყოს ათი წლის განმავლობაში უსინათლოდ და სიცივეში მცხოვრები ადამიანების ფსიქიკა? ეს ადამიანები კი ჩემი ახლობლები არიან, მათ ტკივილს, როგორც საკუთარს, ისე განვიცდი.

— 28 დეკემბრიდან მოყოლებული ალბათ არაერთი საღამო გაატარე სიბნელებში... — ჰო, ხანდახან გამორთავენ ხოლმე შუქს. ჩემთვის მთავარია მქონდეს ელემენტები, მაგნიტოფონმა რომ იმუშაოს და გაზი, ქურა რომ ჩავართო... სხვათა შორის, ლამაზი ან სანთლის შუქზეც არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს ჩემი ახლობლების გვერდით.

— მერაბ, სულ მახსენდება შენი ნათქვამი — თბილისშიც თბილისი მენატრება... რა არის შენთვის სახლი? — აი, ეს კედლები, სადაც გავიზარდე, სადაც დედაჩემი ცხოვრობს, სადაც მოდიან ჩემი მეგობრები. აქ სულ ჩემზე ფიქრობენ,

## რას გვოცადო, მამათ?

— შეიძლება თუ არა, რომ თუნდ ერთი ნათლია იყოს სხვა ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენელი? — არ შეიძლება. ნათლები უნდა იყვნენ აუცილებლად მართლმადიდებლები, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ შეძლებენ ნათლულის აღზრდას ქვემარტივი სარწმუნოების აღმსარებლად.

— სულიერად რა ემატება ახალმონათლულს ნათლისღების საიდუმლოებაში? — პირველ ყოვლისა, ხდება მისი გამართლება პირველი მშობლების ცოდვისაგან და ნათლობამდე ჩადენილი ყველა ნებაყოფლობითი ცოდვის მიტევა („...თვითუღმა თქვენგანმა ნათელ იღოს უფლის იესო ქრისტეს სახელით ცოდვათა მისატეველად“), ადამიანი იშვება ახალი, სულიერი, ქრისტიანული ცხოვრებისათვის — იესო ნათლისღებას ხელახლად დაბადებად თვლის; ნათლებული ქრისტეს ეკლესიას უკავშირდება და ადგება გზას ხსნისას („ვინც იწამებს და ნათელს იღებს, ცხონდება, ვინც არა და განიკითხება“ — მკოც. 16,16).

— რა სიმბოლოს განასახიერებს ქრისტიანთა მიერ ერთი ბარძიმიდან მიღებული ზიარება? — ერთი ბარძიმიდან წმინდა საიდუმლოს მიღებაში უნდა ვიგულისხმოთ ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის ქვემარტივი სულიერი დამოხმობა, რომელთაც გასურს ყველა მათი სოციალური მდგომარეობისა, განათლებისა და მატერიალური სახსრებისა, ერთმანეთის მიმართ არ გააჩნიათ სიძულვილისა და მიუღებლობის გრძობა, პირიქით უხარიათ, რომ შესაძლებლობა აქვთ ერთი ბარძიმიდან მიიღონ წმინდა ძველი.

— რა უმთავრესი მოვალეობა გვაკისრია გარდაცვლილთა მიმართ? — გარდაცვლილთა მიმართ თქვენი უმთავრესი მოვალეობაა ღოცვა მათ საცხონებლად, მათ სახელზე მოწოდების გაცემა ღარიბ-ღატაკთათვის, და განსაკუთრებით, მათი მოხსენიება უსისხლო მსხვერპლშენივრის (წირვის) დროს.

— შეიძლება თუ არა მოგველოს სხვისი ცოდვების გამო? — სხვისი ცოდვებისათვის ჩვენი პასუხისმგებლობის სიმძიმე განისაზღვრება ამ ცოდვაში ჩვენი მონაწილეობის საზომით. ეს განსაკუთრებით ეხება მათ, ვინც ხელს უწყობს საცდურების განსაზოგადოებრიობას: მაგალითად, აქვეყნებს სხვის უზნეო ნაწარმოებებს, შემოაქვს ბილწი პორნოგრაფიული პროდუქცია საზღვარგარეთიდან, წერ-გავს წარმართულ ჩვეულებებს ქვეყანაში და მისთ. მაცხოვარი მკაცრად გვაფრთხილებს: „ვინ იმ კაცს, ვისგანაც მოდის საცდური“ (მათე, 18,7).

— რატომ არის ღვთისმშობლის გამოსახულებაზე სამი ვარსკვლავი: შუბლზე და ორივე მხარეზე? — იმად, რომ ღვთისმშობელი არის ქალწული ქრისტესშობამდე, შობისას და შობის შემდეგ.

— გამიგია, რომ ღვთისმშობელს სძულსო ეკლესიასაც. რამდენად მართალია ეს? — მოციქულთა კრების 51-ე კანონი გვაუწყებს: „თუ ერისკაცთაგანი არ სვამს ღვინოს, განსაკუთრებით დღესასწაულის დღეებში, არა თავშეკავების, არამედ ზიზღის გამო, ის უნდა განიდევნოს ეკლესიისაგან, თუ არ გამოსწორდება“.

— შეიძლება თუ არა წმინდა წერილის თვითნებური განმარტება? — საღმრთო წერილი ახსნილი და განმარტებული უნდა იყოს წმიდა მამათა ნაწერებთან შეთანხმებით.

— დროდდრო მანუხებს ალსარებისას უკვე თქმული ცოდვა და ფიქრი: მართლა მომეტევა თუ არა მონანიებულნი და მონანიებულნი? — ეკლესიის მამები გვირჩევენ: „რომელი ცოდვებიც უკვე მონანიებული და შენდობილია, მათზე თქვი: „მოსდა, მაგრამ მოვიწინაე და მივიღე შენდობა“. ნუ დაუბრუნდები იმას, რაც ერთხელ უკვე უთხარით მოძღვარს“.

— ჩემს ქმარს საკუთარი ოჯახისათვის ვერ მოუხედავს და ახლობლებს დაბრუნებით ავსებს... — მისწავლეთ სვიმონ ახალი ღვთისმეტყველის რჩევა: „საკუთარი სახლ-კარი არ გააპარტხო ახლობლისათვის სახლის აუწნევის მსურველმა. დაუკვირდი, ეს სომ მძიმე შრომას მოითხოვს და ძნელი შესასრულებელია — მოხდება ისე, რომ საკუთარ სახლს დაანგრევ და ვერც სხვას აუწუნებ“.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვანოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36

მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს სცემენ მართლმადიდებლური წიგნები და საკითხავები

ეკა მანარაშვილი





# გაგვიგონო, გილოცოვოთ კახლ ნელს!



ძვირფასო მშობლებო და ჩვენი პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმარებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევუცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო წომრებში შემოგთავაზოთ.



## პატივები გზიოცობებ

**3 წლის დალიკო** თავში ხელებს ირტყამს და ყვირის:

— აი, ასე დამარტყა, აი, ასე.  
— ვინ? — ეკითხება ბებო, — ვინ დაგარტყა?  
— კედელმა, — პასუხობს დალი.

**5 წლის ავთო პლიპა** ეჯავგურება ჟურნალის მაგიდას. უნდა, რომ ასწიოს, მაგრამ ვერ სწევს. ამ დროს დაინახა მაგიდაზე ერთი ლერი ასანთი და ყვირის:

— ბებო, მოდი, აილე ეს ასანთის ლერი, ხომ ხედავ, ამიძიებს მაგიდას და ვერ ამიწევია.


**3 წლის ვაჩე მამარიკას** უფროსმა ძმამ, ბექამ, სათამაშო თოფი წაართვა. ვაჩე ატირდა. დედა ბექას გაუჯავრდა:

— მიეცი, თორემ ვაჩეს „რაღაცას“ მივცემ, შენ — არა!  
თვალეზაბრჭყვიანულმა ვაჩემ დედასთან მიირბინა და უთხრა:  
— დედიკო, თოფი აღარ მინდა, მომეცი „რაღაცა!“ \* \* \*



**3 წლის მიაკა შვილდაძას** დედა ეუბნება:  
— დალამდა, წამოდი, დავიძინოთ.  
— კი მაგრამ, მამიკოს სამსახურში არ დალამდა? — კითხულობს მიაკა (მამა სამსახურიდან გვიან ბრუნდებოდა). \* \* \*

**პატარა დათო პანაშვილის** დედა სოფელში წავიდა. ბიჭი მარტო დარჩა ბებიასთან.  
რამდენიმე დღის შემდეგ ბებია ეკითხება:  
— დათო, დედიკოს ნახვა არ გინდა?  
— ხო, ნანახი მყავს! — პასუხობს დათო.


შეიგანეთ კროსფორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახაგის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შემდეგი გამოცანის პასუხს: არის რამე ბამბისფერი, ფრთაფრთაფა, ვით პეპელა, ზაფხულობით არსად მოჩანს, ზამთარში კი ცვივა ყველგან.




## იპოვეთ 15 განსხვავება



გამოიცანი, რომელი თევზი დაიჭირა თოვლის ბაბუამ



## გამოიცანი, რა შეცდომები დაუშვა მხატვარმა




## რებუსი

მიიყვანე კურდღელი ნაძვის ხეებთან მხოლოდ წრეების გავლით



იპოვე ორი ერთნაირი ნოტი



გამოიცანი, რომელი ჩრდილი ეკუთვნის ფისოს

## ქიკოხი

ალადინის ტრანსპორტი	სინდისის სინონიმი	რა ვერ შესწვდა ძეხვს	მდინარეზე გადასასვლელი	თავზე დასასხმელი ტალახი	კვერცხის შემადგენელი ნაწილი
ყავისფერი ლაქა სხეულზე	ქვედა ყბა	ხელოვნების დარგი	გარეული ლორი	„შენ ვიგალობ, პტარავ ... მშვიდობისა“	... მწამს, ბოლო მაკვირებს (ანდ.)
					მეექვსე ნოტი

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „ქვირის პალიზის“ ყუთების საშუალებით გამოგიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამოჩენილები და კურიოზული ამბები ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბავშვო-საბავშვო“

ავსუბაი ინილი 32-ე კვირეული  
გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა







მაიონხაილის წარწერა: 2002 წლის გაზაფხუბი უამრავ პირობას გვთავაზობს, მაგრამ რაშის წელიწადის სრული პროგნოზი არსად შეგვხვდება. გთხოვთ, გაგაცნოთ პირობები და დაადგინოთ წლების მიხედვით და თან მიგვითითეთ, რომელ ცხოველს შეესაბამება ესა თუ ის წელი.

ჩინური კალენდრის მიხედვით, 12 თებერვალს გველის წელიწადს შევცვლით რაშის წელიწადი. ეს კი ნიშნავს, რომ სიზუსტეს და სიბრძნეს შენაცვლება სისწრაფე, ქროლვა.

2002 წლის სტიქია არის წყალი და მოვლენები არამდგრადი იქნება. ამ წელიწადში ქორწილებიც უხვად იქნება და განქორწინებაც, კონტრასტებზე ხელის მოწერაც და გაუქმებაც. ამიტომ წყლის რაშის წელიწადში, სჯობს საკუთარ ძალებს ენდოთ და გონიერებას მოუხმეთ.

წლის მეორე ნახევარში გელით სასიამოვნო აღმოჩენა — თურმე თქვენ უკვე შეგიძლიათ შეიძინოთ ძვირფასეულობა, გაშალოთ სუფრები და დატკბეთ ცხოველების სხვა საამოვნებით, მაგრამ დაიმასხოვეთ — ჯერ შრომა და მერე სიამოვნება.

წყლის სტიქია თქვენთვის ნაცნობია, ხოლო რაშის მიერ შემოთავაზებული გიჟური ტემპი მიუღებელი. ნუ ეცდებით ამ ტემპისთვის ფეხის აწყობას. ეს უაზრობა იქნება. აჯობებს საკუთარ ოჯახზე იზრუნოთ. უპირატესობა მიანიჭეთ სიმშვიდეს და წესრიგს.

იქნება. ნუ შეგეშინდებათ ახალი ბიზნისის წამოწყება, სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება და იმ შემთხვევაში თუ მოსაუბრეს არ ეთანხმებით, ხმის ამაღლება. აი, ნახავთ, ეს თქვენ თვითონ მოგეწონებათ. ბუნებით დიქტატორი ხართ, მაგრამ ხელმძღვანელობა ადამიანის დაბრუნებას არ ნიშნავს. და თუ ამას მაინც გააკეთებთ, საკადრისადაც მიიღებთ.

დაიცხრეთ ლიდერული ამბიციები და ნუ ეცდებით დაუმტკიცოთ სამყაროს, რომ იგი თქვენს გარშემო ალებს. შემოთავაზებულ წინადადებას ნუ მიიჩნევთ შეუფერებლად, შეიძლება იგი მომგებიანი იყოს. თქვენს მჯობნთ ნუ მიიჩნევთ მტრებად. ზუსტად მათ შორის იქნება თქვენი მომავალი საიმედო პარტნიორი და მოკავშირე. და თუ წლის პირველ ნახევარში ამ ყველაფერში კარგად გაუკვევით, მეორე ნახევარს გაატარებთ როგორც იორქშირის ტერიერი და არა, როგორც ქუჩის ძაღლი.



ვერც ცხენზე ამხედრებას შეძლებთ და ვერც თევზით ცურვას. ნებისყოფა, მოთმინება, ინტუიცია მხოლოდ იმისთვის გამოიყენეთ, რომ წყალში არ ჩაიძიროთ. უკუაგდეთ ძველი ჩვეულებები, ძველი კავშირები და ძველი გზები. დინება მეტისმეტად ჩქარია, სცადეთ აპყვეთ ტალღებს. ვინც ამ გამოცდას გაუძლებს, ბედი წყალბაზს არ მოაკლებს.

ვერც მოლოდენულად მოვარდნილი დვართქაფი ნაგაქცევთ და სირბილში შეიძლება ბედაურსაც აჯობოთ. ამიტომ ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწევთ. ოღონდ ეცადეთ შეინარჩუნოთ ზომიერების გრძნობა: ათასს თუ იშოვით, მილიონის შოვნას ნუ ეცდებით, თორემ იმ ათასს დაჰკარგავთ.



თქვენ ცხოველების თორმეტ წლიან ციკლს ამთავრებთ, ახალს იწყებთ და დიდი შემართებით შეეცდებით იმ შენობის დანგრევას, რომელსაც მთელი სიცოცხლე აგებდით. ძველ საძირკველზე ახალი, დიდებული სასახლის აღმართვას მოინდომებთ. არადა ჯობს, შეძენილისაგან ყველაზე ღირებული და ძვირფასი შეინარჩუნოთ. გაფრთხილებთ, ის იდეალი, რომლისკენაც ისწრაფვით, პრაქტიკულად ხელმიუწვდომელია...



ნუ ეცდებით, ლუკმა სხვას წაგლიჯოთ. ღრიალს თავი დაანებეთ. რაც უფრო შემოქმედებითად მიუდგებით 2002 წლის მიერ შემოთავაზებულ ამოცანებს, მით უკეთესი შედეგები გექნებათ. ამიტომ ოცნებისა ნუ შეგეშინდებათ, მხოლოდ პრაქტიკული საქმიანობისთვის მეტი ყურადღება გმართებთ. თუ დაწყებულ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანთ და ოცნებას გამოეყიდებით, იმ საქმის დამთავრებას სხვები მოგასწრებენ და ჯილდოც მათ დარჩებათ.

წელს ინდივიდუალურად ნუ იმოქმედებთ. იყავით პასიური და ეცადეთ, სხვის ზურგს ამოეფაროთ, გადანყვეტილებები აუცილებლად კოლეგიალურად მიიღებთ. მოიძიეთ საიმედო თანამშენებელი, მრჩეველები, მეტიც — მფარველი. უკუაგდეთ სიამაყე და აღიარეთ, რომ წელს სხვებზე დამოკიდებული ხართ.

წელს თქვენ ძალიან ადვილად შეძლებთ ხალხის მართვას, ამიტომ სასწრაფოდ უნდა გახდეთ დირექტორი ან მმართველი ხალხი კი არა — ხანდახან მოვლენებიც თქვენს წეხს დაემორჩილება. ყველა გეგმას განახორციელებთ და მატერიკალურ მდგომარეობასაც გაიუმჯობესებთ. მთავარია, რაც შეიძლება ადრე დასახოთ გეგმები და პირველ შედეგებსაც უმაღლეს იხილავთ.


გზიბლავთ ძვირფასი თვლების ელვარება. გაშლილი სუფრები და იდუმალება, მაგრამ წელს ეს ყველაფერი უნდა დაივიწყოთ. სხვებისგან დახმარებას ნუ დაელოდებით და მაშინ

დაუდგრომელმა ხასიათმა და სისუსტეზე შეიძლება არასასურველ და გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიგიყვანოთ. ამიტომ დროდადრო მაინც გაიზრეთ, რა გააკეთეთ და კიდევ რა გაქვთ გასაკეთებელი. ეს აუცილებელია. პირველ რიგში ურთიერთ საჯაროდ გაუმართლებელ მსახიობობას, წინასწარ მზად იყავით იმისთვის, რომ გარშემომყოფნი უმიზეზოდ ტაშს დაგიკრავენ.

თქვენ მდგომარეობის ბატონობა უფრო შეგეშინებთ და მაშინ ბედიც თქვენს მხარეს

### ჯიშ ქვირის თაგის თაგს „კოპიკალეპული“ სანუპარსი უკვანა

საახალწლოდ ძალიან „მოკრძალებული“ საჩუქარი მიართვა საკუთარ თავს ჯიშ ქვირის. ცნობილმა კომიკოსმა მღნ დოლარად შეიძინა რეაქტიული თვითმფრინავი „გოლფსტრიმი“. ბოლო ორმა ფილმმა 39 წლის მსახიობს უხვად მოუტანა მილიონები და ოცნებაც აისრულა — გონიერულად დახარჯა ჰონორარი და ახლა თავისი ფილმების პრემიერებზე საკუთარი თვითმფრინავით იფრენს სხვადასხვა ქვეყანაში.



ტომ კრუზი და პენელოპა კრუსი ნაახალწლევს ჯვრისწერას აპირებენ. ამ ამბავს ისინი არ ამხედრებენ, მაგრამ საიდუმლო გასცა საპატარძლო თანაშემწემ. ცერემონიული ჩატარდება ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ ტაძარში, ხოლო საქორწილო ვახშამი განზრახულია ბევრწლი-ჰილზის ერთ-ერთ ფერხეულურ რესტორანში. მართალია, ტომს უნდოდა ყველაფერი მის მამულში, კოლორადოში, ჩატარებულყო, მაგრამ პენელოპა უარზე დადგა — იქ 10 წლის წინ შენ და ნიკოლმა იქორწინეთო...

### კლაუდია უიფარა, როგორც იქნა, გათხოვება გალანუვიზა


თოფმოდელი კლაუდია უიფერი, როგორც იქნა, დათანხმდა ცოლად მეტიუ ვონსს გაჰყოლოდა. ქორწინება საახალწლოდ ოქსფორდის მახლობლად მდებარე ციხე-კოშკში შედგა. მოსაწვევები წინასწარ დაიგზავნა. ეს დიდებული ვარსკვლავიცვინა მადონამ და მისმა მეუღლემაც დაამშვენეს. სხვათა შორის, 1997 წელს ამავე კოშკში იქორწინა სილვესტერ სტალონემაც.



ტანსაცმელში არ არის აუცილებელი სუპერმოდური აქსესუარები. უნდა გვახსოვდეს, რომ ცხენი კონსერვატიულია და ვერც სინთეტიკას იტანს. წლის ძირითადი შტრიხი ნატურალური ქსოვილები და ნატი გახდება. როგორც შარშან, მოდამი იქნება დიდი სათვალე, კოვბოური სტილი: ნატის ქურთუკები, დაბალქუსლიანი ჟოკების ჩექმები, ბოტფორდები, განიერი ქამრები, განიერი ბოლოკაბები, ნატის ან ტყავის უხეში ფაქტურის პალსტუხები, დიდი, ფარფლებიანი თავსაბურავები როგორც მამაკაცებისთვის, ასევე მანდილოსნებისთვის. ასლა რაც შეეხება ვარცხნილობას: სასურველია გრძელი თმა — კეფაზე შეკრული და გაშვებული, ისე, რომ ცხენის კუდის შთაბეჭდილებას ტოვებდეს...

შეიძინეთ, ლალის, ანუთვისტოს, ტოპაზის, ჰიაცინტის და ძონისთვლიანი სამკაულები, რომლებიც აუცილებლად მოგატანთ წარმატებას ბიზნესსა თუ პირად ცხოვრებაში.

## ვინც ვერ მოეწონა 2002 წელს...



**ჯორჯ ჰარისონი**  
მან ბითლზებისთვის 22 სიმღერა დაწერა. 58 წლის ასაკში კიბოთი გარდაიცვალა. მეგობარ-მუსიკოსებმა მთელ მსოფლიოში მას პატივი ნუთიერი დუმილით მიაგეს.

**სორეია**  
ქალმა სპარსეთის შაჰს შეიძინა ქორწინების განმავლობაში ტახტის მემკვიდრე ვერ გაუჩინა და მას მონარქი 1958 წელს გამოაგდო. შემდეგ რამდენიმე ფილმში გადაიღეს. ცხოვრობდა პარიზში და პაპარაცების დევნის ობიექტი იყო. 69 წლის ასაკში ტანჯვით გარდაიცვალა.



**ნქოსი ჯონსონი**  
— იგი შიდასით დაავადებული დაიბადა, მაგრამ ლომის ბოკვერით ებრძოდა ავადმყოფობას. შიდასის სანაღმდეგო კონფერენციაზე მის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ მთელ მსოფლიოს ცრემლი მოგვარა. 12 წლისა გარდაიცვალა, აფრიკის პარლამენტმა პატივი მიაგო ნუთიერი დუმილით.

**ჯეკ ლემონი**  
გადაღებულია 100 ფილმში. ლემონი 76 წლისა კიბოთი გარდაიცვალა



**ენგონი ქვირი**  
წარმოშობით მექსიკელი. ბრწყინვალედ თამაშობდა კვაზიმოდოს — „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, ზორბას, ძამპანოს — „გზაში“. 1952 წელს დააჯილდოეს ოსკარით. მას 86 წელი შეუსრულდებოდა.




# ჯაბები ასი უმშვენიესი ქალებსთვის

## ივ სენ-ლორანი პოდუმივს გოვებს

ივ სენ-ლორანს ამჟამად ყველაზე მეტად მწერალი მარსელ პრუსტი უყვარს. ნიგნებიდან — „დაკარგული დროის ძიებაში“, თუმცა ბოლომდე ვერ არ წაუკითხავს. პეკონა, როცა უკანასკნელ გვერდს გადაფურცლავს, მისი სიცოცხლეც დასრულდება. იგი ეტყვიანია და ცრუმორწმუნე, ისევე როგორც ყველა გენიოსი, თუმცა გენიოსისთვის არაპტიური ცხოვრებით ცხოვრობს.

ელ უტკვამს: გენიალურობა დაუსრულებელი ბავშვობააო. იქნებ ამიტომ იღებს სათავეს ივ სენ-ლორანის ხელოვნება მისივე ბავშვობიდან.

ბავშვობიდანვე მარტოობა უყვარდა, დღესაც ასეა. მარაკეში მისი სახლი სავესტა სურათებით,



**რით გაითქვა სახელი ივ სენ-ლორანმა:**

- ქალის შარვლიანი კოსტუმო;
- ქალის სმოკინგი;
- საღამოს მინი-კაბა;
- გამჭვირვალე ტუნუკი, რომელსაც უაზლად ხმარობენ.

ცნობილი ფრანგი კუტიურეს ოჯახი ალჟირში ცხოვრობდა, პატარა ქალაქ ორანში. აქაურობა ათასწერად ყვაოდა, შაერი გაუღებელი იყო საოცარი აღმოსავლური სურნელით, მზით.

მამა მდიდარი კაცი იყო, დედა — ლამაზი, ჭკვიანი და მხიარული. მშობლებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი... ორივე დახვეწილი გემოვნებით გამოირჩეოდა. ივ მუდამ ესმოდა დედის უმშვენიერესი მამულის კაბები და მორთულობა, რომელიც მნახველს აღაფრთოვანებდა.

დედის ტანსაცმლით მოხიბლულმა ბიჭმა უმცროსი დის თოჯინების შემოსვა დაიწყო. 17 წლისა იყო, როცა მისმა დახატულმა საოცრებო შავმა კაბამ, რომელსაც ასიმეტრიული საყვლო ჰქონდა, პირველი პრიზი დაიმსახურა კონკურსზე და მოგვიანებით ამ თარგით იუბერ დე ჟივანშიმ შეკერა კიდევ კაბა, რომელსაც საყოველთაო მონონება ხვდა წილად. ივ მისი შექმნა დედამ შთააგონა და მასვე მიუძღვნა.

ივ სენ-ლორანი თავის საუკეთესო კაბებსა და სუნამოებს ასე ქმნიდა: საათობით უმზერდა უმშვენიერესი ქალების პორტრეტებს ან მანეჟენებს. ყველაზე ლამაზი კაბა ვერმეერის „ქალის პორტრეტმა“ უკარნახა.

მისი ტანსაცმელი ყოველთვის ლამაზია, მოხდენილი. მაკიაჟი — ცოცხალი, მხიარული, მდიდრული. მისი არომატები — საამო და ბედნიერების მომნიჭებელი. იქნებ იმიტომ, რომ თავად აქვს დიდი ნიჭი — იყოს ბედნიერი. ერთ-

ლარნაკებით, ხალიჩებით და კიდევ... მარტოობით. ამ სახლში, გარდა მასპინძლისა, მხოლოდ ერთადერთი კაცი შედის — პიერ ბერჟე — მისი უახლოესი მეგობარი და სიჭაბუკეში ფინანსური და სულიერი საყრდენი.

მთელი საფრანგეთი გააოგნა დიდი კუტიურეს განცხადებამ: „სჯობს პოდუმიდან მამინ ნახვიდ, როცა ჯერ კიდევ ძალგის ხალხის გარეგანი გაოცება. დღეს მე გადავწყვიტე — მშვიდობით-მეთქი, ვუთხრა ხელობას, რომელიც მიყვარს და რითაც ესულდგამლობ... მე გამოვცადე ცხოვრების სისასტიკე და მარტოობის საშინელება... და მინც გაუფელე. ეს მანდილოსანთა სიყვარულმა და თაყვანისცემამ შემადგინა. ერთადერთი, რაც მსურდა, ეს გახლდათ ის, რომ მემსახურა ქალის, ლუთებრივი ქმნილებისთვის.“

მარტოული ხელოვანი დამეშვიდობა პოდუმი. მისი ჯადოსნური ემბლემა „YSL“ კი მუდამ ოქროვარაყად იბრწყინებს მოდის სამყაროში.

# ქალის ნაბიჯი მწკვირვარეების

რას არ აკვირდებიან მამაკაცები, რომ ქალის ბუნება ამოიცნონ. ზოგი თვალს, სულის სარკეაო, ზოგი ტუჩებს — თუ მსუქანია, ე.ი. ვნებიანიაო, ზოგს ქირიმანტიისა სჯერა, ქალის ხელისგულს ჩასჩერება და არც კი იციან, რომ სიარულის მანერას შეუძლია გამოავლინოს ქალის ხასიათი, ცხოვრების წესი, ჩვევები და რაც მთავარია, მამაკაცებისადმი მისი განწყობა.

**ზართო ნაბიჯებით** თავდაჯერებულად და ბრავიანად ქალები დადიან. მათი ქუჩაში გაცნობა შეუძლებელია. ასეთი ქალები კაცებს მბრძანებლობენ და მათგან მორჩილებას მოითხოვენ ყველგან — საწოლშიც კი.

**ცუსეულით მოსიარულად** გოგონები მამაკაცის მზრუნველობას ამჯობინებენ, ნაზი, ალერსიანი და უპრეტენზიოი არიან.


**სტუნავა-სტუნავით სიარული** მხიარულ, იუმორით დაჯილდოებული და უპასუხისმგებლო ქალებს სჩვევიათ.

**ისინი კი, ვინც დედაიძინაზე ისე დააბიჯებენ, როგორც პოდუმივს,** საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნას ითხოვენ. ასეთი „მანეჟენების“ გაცნობა ძნელი



არ არის, მაგრამ შემდგომში რთულდება მათთან ურთიერთობა — ამგვარი ქალებისთვის მამაკაცი სხვა არაფერია, თუ არა ნაგავი, მტკერი.

# ჩვენი სამზარეულო



მსუქანი დედალი ისე გაასუფთავებ, რომ კანი არ დაუზიანდეს და რამდენიმე საათით ჩადეთ წყალში. ამოიღეთ, ფრთხილად გააბეჭადეთ, დაუტოვეთ მხოლოდ ფრთები. ხორცი გამოაცალეთ ძვალს, დაკეპეთ, შეანელეთ წვრილად დაჭრილი მოშუშული ხახვით და სოკოთი, მაგრამ მოხარშული კვერცხით, განურული ბრინჯით (სურ-

# სატენიანი ქათამი

ვილისამებრ), მარილით, წინაკით (გემოვნებით), წინასწარ დამბალი და განურული 1/2 ჩქ კონახურით. გატენით ქათმის ტყავი ამ ნარევით, ამოკერეთ სამზარეულოს ძაფით, გადაუსვით ცხიმი და შედგით ღუმელში შესანავად. დროადრო მოასხურეთ ცხიმი და დანამეთ წყლით.

შემწვარი ქათამი ფრთხილად გამოიღეთ, გააცივეთ. დადეთ მოგრძო ლანგარზე, გარშემო შემოუწყვეთ მთლიანად შემწვარი კარტოფლი, მოხარშული და ცხიმში დაბრუნებული კვერცხები. მოახსით სპირტი, ნაუკიდეთ ცეცხლი და ცისფერ ალმოდებული შეიტანეთ სახეიმიო სუფრაზე. შემდეგ დაჭერით თხელი მჭრელი დანით.

## ბარათი 2000 წლიდან

გთხოვთ დამებმართო ჩემი საყვარელი პიროვნებისთვის სიყვარულის გამხელაში... ვიცი ჩემი თავის ამბავი — ვერ გაგებდავ პირადად რომ გამოუტყუდე... ძალიან, ძალიან მიყვარს... მას შაკო შკვიპა, გლოველი გვარად. მე შაკოს თითქმის ყოველდღე ვხედავ, ბევრჯერ გვისაუბრია კიდევ, მაგრამ ის ვერც კი ხედავს თუ რამდენად მიყვარს. ჩვენ ერთად ვებუბობთ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ბევრი საერთო მეგობარაც გვყავს, მაგრამ... ვერ მოვახერხე მასთან დაახლოება...

არ იფიქროთ მე ამ წერილის საშუალებით ცედილობდეთ მისკენ გზის მოძებნას, არა, ის ვერც კი მიხედება ალბათ ვინაა ავტორი ამ წერილისა, უფრო მეტიც შეიძლება სხვაზე იფიქროს კიდევ, მაგრამ მინც მინდა ნაკითხოს ვიცი, ისიც თქვენი გაზუთის შეიძლება.

— შაკო, შენ უამრავ ადამიანს უყვარხარ და იცოდე, რომ მეც მათ შორის ვარ, გისურვებ უსაზღვრო ბედნიერებას.

# ლიკას და შაკოს სიყვარულის უხსნის... „ყვირის ჰალოცროს“

„კვირის პალიტრა“ ჩემი საყვარელი გაზეთია და მინდა შობა-ახალწლის დღესასწაული მოგილოცოთ, თანაც ერთი რამ გაგანდოთ და დახმარებაც გთხოვოთ... დავინწყებ იმით, რომ მე შკვიპა ლევანი, ვარ 20 წლის და უკვე 7 თვეა სიგიჟედ მიყვარს 17 წლის ანგელოზი — ლიკა ცვიტიშვილი.

ჩემი ოცნებაა საჯაროდ განუცხადო ლიკას, რომ მიყვარს, მიყვარს ისე, როგორც არავინ! და მინდა, რომ ეს ყველა იცოდეს!

ძვირფასო რედაქცია, ვიცი, ეს არ შეიძლება, მაგრამ როგორც უფროს მეგობრებს, ისე გთხოვთ, მიშველოთ და დამეხმაროთ — იქნებ გამოაქვეყნოთ ჩემი სიყვარულის ახსნა ლიკასადმი და ლექსი... მწამს თქვენი, თქვენ შეგიძლიათ ჩემი ლიკას გულში ის დიდი „კოცონი“ დაანთოთ, რომელსაც მარტო ვერ შევძლებ.

... და ასე „კვირის პალიტრასა“ და ბედს მინდობილი ვწერ ამ სტრიქონებს:

ჩემო ლიკა, ჩემო საყვარელო და სანუკვარო, მე შენ უზომოდ მიყვარხარ და მინდა ეს ყველა გაიგოს... იქნებ ასე მივანვინო ხმა შენს გულს და ყველას გასაგონად ხმამალა გითხრა — შენ ის საოცნებო გოგონა ხარ, რომელსაც მსურს მთელი ჩემი ცხოვრება მიუძღვნა და კიდევ ეს სიყვარულით გამთბარი ლექსი:

მთუ ქუ ვაქო ქაქოქო დღეში ვცეკვავს  
 ქუ მთუ ქაქოქოქო ვაქო ქაქოქო — პატარა ვაქოქოქო 0  
 ვაქო ქაქოქოქო — პატარა ვაქოქოქო 0  
 ქუ მთუ ქაქოქოქო  
 ცდვიმ პეშვიმბო მთემ პეშვიმბო  
 ქუ მთუ ქაქოქოქო  
 ვაქო მთუქს იმბეშვიმბო ნუდ ქაქოქოქოქო  
 ქუ მთუ ქაქოქოქო  
 თედ მთუქს ქაქოქოქო მთუქს ჩვეულებ

დღეში 0  
 დღეში 0  
 დღეში 0  
 დღეში 0

დღეში 0

# ქალი, რომელიც მოდიდან არ გამოდის

ქალი, მით უმეტეს ლამაზი, შევითხვას — რამდენი წლის პრძანდებითო, პირად შეურაცხყოფად იღებს. მაგრამ 70 წლის კარმენ დელ ორიფანის გამოაქვლია და თავის ტიტულს — „მსოფლიოს უხუცესი მოდელი“ — ღირსეულად და ამყავდა ატარებს. იგი ერთადერთი ქალია, რომელიც 57 წელია მოდის სამყაროშია. 13 წლის ლარიბ-ლატაკ კარმენს შემთხვევით შეხვედრილა ქალმა შესთავაზა, ჩემი ქმარი ფოტოგრაფია და მოდლობას ხომ არ გაუწევო. დედამ კარმენს ნება დართო, რადგან იმდენი ჰქონდა, ალბათელი ჰონორარით ბინის ქირას გადაიხდიდა და რამდენიმე დღე საჭმელდაც ეყოფოდათ. ხუთი წლის შემდეგ კარმენმა შეიძინა საკ-



# ისით, რომ... ისით, რომ... ისით, რომ... ისით, რომ...

...სიტყვა „პარფიუმერია“ მე-16 საუკუნის დასაწყისში დაიბადა. მანამდე სასიამოვნო სურნელის მქონე ნივთიერებთა აღსანიშნავად იყენებდნენ სიტყვებს „ბალზამი“ ან „ნელსურნელა“. თავად ცნება „პარფიუმერია“ სიტყვასიტყვით ნიშნავს ნნევის გზით შაერის პროდუქტისა.

...სუნამო „კიფი“ ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში იყო ცნობილი. ძველეგვიპტელი ქურუმები იყენებდნენ პარფიუმერია. ისინი აზნადებდნენ არომატული და სამკურნალო ზეთებს, რომელთა რეცეპტები გასაიდუმლოებული იყო. ძველი სუნამოების შემადგენლობაში შედიოდა რამდენიმე ათეული ნივთიერება, მათ შორის — მისხვი, საგვიმელი და სხვ. ეგვიპტელები პარიკზე იმაგრებდნენ ხარისქონიან კონუსებს, რომლებიც ნელსურნელებით იყო გაუღნილი. როცა კონუსები დნებოდა, ნელსურნელის თმაზე იღვრებოდა და გარემო არომატული სუნით იუღინებოდა.

...პირველი ნელსურნელებიანი ზარდახმა ეკუთვნოდა სპარსელთა მეფე დარიოსს და იგი ხელთ ალექსანდრე მაკედონელს ჩაუვარდა. არაბებს სურნელოვანი ნივთიერებები ცვილიდან და სუმატრიდან ჩამოჰქონდათ. ლამაზ ყუთებს სანდალოზის, ქაფურის და საკმევის სურნელი ჰქონდა.

...ძველ საბერძნეთსა და რომში ნელსურნელებიანი ხის ფისიდან მზადდებოდა, მათ არომატულ ზეთებს ამატებდნენ, მათ ტარებდა და წვეულებებზე აფრქვევდნენ, ღმერთებს უკმევდნენ პატვიისცემის ნიშნად, ან შადრევენებში აფრქვევდნენ.

...ძველ კოლხეთში არქეოლოგებმა იპოვეს ენ. „ბალზამარიები“ — საგანგებო ჭურჭლები, სადაც არომატულ ბალზამებს ინახავდნენ. ყველას, განსაკუთრებით, დიდებულებს, თავისი ჭურჭელი ჰქონდა, რომელსაც სიკვდილის შემდგომ საშინელიც ატანდნენ.

...ფრანგული სუნამოების ისტორია მე-11 საუკუნიდან იწყება. ამ დროს ჩამოიტანეს ჯვაროსნებმა იერუსალიმიდან სამხრეთ საფრანგეთში ვარდი და ჟსამინი, მე-12 საუკუნეში კი ევროპაში სპირტის დისტილაციის არაბული ტექნოლოგია დანერგეს. მე-15 საუკუნეში გრანდი და პარიზი საქვეყნოდ ცნობილი პარფიუმერიული ცენტრები იყ.

...ვიქტორიანული ხანის ქალბატონები სუნამოს ხელთათმანზე, ვესხაცმელსა და ცვირსახოცზე იფრქვევდნენ. იპონელები კი არახოდეს იკმევდნენ ნელსურნელებს კანზე — ისინი არომატულ ნივთიერებებს საგანგებო ჭურჭლებში აკმევდნენ.



## ანეკდოცი

გისურვებთ ქმარს, რომელსაც თამადა ასე აღევრებლებს 50 წლის იუბილემ:

— გისურვებ 132 წლამდე სიცოცხლეს. 132 წლისა კი მომკვდარიყავი! უბრალოდ კი არ მომკვდარიყავი, არამედ მოკვალით! უბრალოდ კი არ მოკვალით, არამედ ყელი გამოეჭრა! თანაც უმიზეზოდ კი არა, ეჭვიანობის გამო! რაც მთავარია, მკვლელი მართალი ყოფილიყოს.

# ჯაცის შიში ბავშვობიდან გამოიყვან

## (მამაჩემი ცოცხლებს და შინ ბრუნდება)

...ასეთი ლამაზი ქალები იშვიათად იბადებიან. მათ გულგრილად ვერ ჩაუვლი, სული აგიმზინდება და სიამაყეც დაგეფუფლებს — ქართველი ქალი მართლაც ბუნების ფენომენია...

გაცნობისთანავე, უმაღლესი სურვილი გამიჩნდა, მისი სურათები უკომენტაროდ დამეხატა გაზეთში.

ქალბატონმა სალომემ ამ თხოვნაზე თავაზიანი უარი მითხრა და არც უარის მიზეზი გამიხსილა. ერთ საღამოს შინ მიმიწვია. სასიამოვნო საუბრის მოლოდინში ისეთი რამ მოვისმინე, დღემდე გაოგნებული დავდივარ.

იმ დღეს საღამო 6-ს 50 წლის გახდა და მე მისი ერთადერთი სტუმარი ვიყავი! ვერ გავხედე მკვირს, ნუთუ არც ახლობელი ვიყავი, არც ნათესავი და მეგობარი-მეთქი. თითქოს ჩემი ფიქრი ნაივითაა, სწორედ იმით დაინსო საუბარი, რის პასუხსაც დამოუკიდებლად ვეძებდი...

— ბევრი ახლობელი არ მყავს და ეს ჩემი ბრალია, მძიმე ხასიათი მაქვს. ადრე მეგობრებიც ცდილობდნენ ჩემს შეცვლას, მიუხედავად პროტესტისა, ჩემი დაბადების დღეების სმაურინი აღნიშვნაც სცადეს, მე კი უარზე ვიდექი. არ ვარ მედნიერი და არც სიცოცხლე მილირს რამედ-მეთქი. ალბათ იჭორავს ჩემზე, მაგრამ არ ვბრაზობ. ბევრი ჩამომშორდა. ძალით არავინ შემიჩერებია, ვინც ჩემ გვერდითაა, მართლა ძალიან ახლობელია...

...ერთადერთხელ ვიგრძენი, რომ ბედნიერი ვიყავი... სწორედ ეს „ბედნიერება“ ჩემი ყველაზე დიდი ტრავმაა, რადგან... მამაჩემის გარდაცვალებამ მომანიჭა ერთი აუწერელი შვება და სიხარული...

მამაჩემი დესპოტი, ტირანი, სიძულვილით და ბოროტებით აღსავსე პიროვნება იყო. თუმცა კი ამის შესახებ დედაჩემს, ჩემსა და ჩემი უმცროსი ძმის გარდა, არავინ არაფერი იცოდა.

განათლებული კაცი ვთქვოდა. ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის დოცენტი იყო. გვიან დაქორწინდა. სამაშალო ომი ჰქონდა გამოვლილი, ამიტომ დედა ხშირად ცდილობდა მის გამართლებას — ომმა მოუსპო ნერვებიო, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვიყავით?! ვერ გაიგებდით, როდის როგორ გუნებაზე იყო. ერთ ნუთს რომ იცინოდა, მეორე ნუთს რაღაც არ მოუხედავდა თვალში, დაიწყებდა ისეთი სიტყვებით ლანღვა-გინებას, ყურში რომ არ შეიშვებოდა. ენის შებრუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, მაგრამ ჩემი შემთხვევითი სიჩუმე მთლად აცოფებდა და აგვიტყდა. არ გვზოგავდა... ერთხელ ჩემი სამი წლის ძმა ფეხებით დაკიდა — გინდა თუ არა აღიარე, რომ შოკოლადი მოიპარე...

ყო. გული ნაუფი-და გალურჯებულ ბავშვს. მე ხუთი წლის ვიყავი, მეტი ვერაფერი მოვიფიქრე, სამხარეულოდან დანა გამოვიტანე და მამას დავარტყი. ხუთი წლის ბავშვს რა ღონე შექნებოდა, არც სიმაღლე მეყო და დანა საჯდომში შევარტყე...

...ორი დღის შემდეგ მოვედი აზრზე. სულ დაღურჯებული ვიყავი. მამა საავადმყოფოში იწვა. ჩემი ამბავი დედას არც კი გაუშხელია. ახლა ვხედავ, რატომაც. მამას დაიჭრდნენ ალბათ და თუ ციხეში არა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მინც გამოამწყვდევდნენ...

ხუთი წლის ასაკში მიხვდი, რომ სიძულვილით ვიყავი სავსე და არ შემეძლო სიყვარული... დედაც მეზიზღებოდა და ვერ მეპატიებინა, რომ ამ გავშვლოდა, ვერ ბედავდა ქმრის მიტოვებას...

სწავლა არ შემეძლო, თუმცა უნიჭო არ ვიყავი. არ მიხდოდა არაფერი, მხოლოდ იმაზე ვოცნებობდი, რომ მალე გავზრდილიყავი და... მინიდან გავცეცულიყავი.

ამის გამოც მცემდა მამა. იძულებული ვიყავი, მესწავლა, მაგრამ ესეც არ მშველოდა — ცემისთვის მიზეზს სულ პოულობდა... თავი ყველაზე მახინჯი, უშინ და საზოგადოებრივად, თუმცა ყოველი მხრიდან ჩემი სილაპაჟის ქება მესმოდა. პირველი თაყვანისმცემლები 14 წლისას გამიჩნდა. ამ ამბავმა მამაჩემის ყურამდეც მიადგინა და... სულ ქუჩის ქალი მესახა, — პატროსანი რომ იყო, ბიჭები კი არ გამოგედევნებოდნენ... იმ დღეს დედაჩემს ისე სცემდა, ხელი მისტეხა...

მეთუ კლასში ვიყავი, როცა ერთმა კარგი ოჯახის შვილმა კარგმა ბიჭმა ითხოვა ჩემი ხელი. მამაჩემმა მაგისტალი ზრდილობიანი უარით გაისტუმრა, მერე აიღო მარკატელი, თმა ძირში მიმაჭრა და ამიჩეხა, — ახლაც ილაპარაკონ შენს სილ-



მიცვალებული რომ მოგვაყენეს კარს, ისეთი შვება ვიგრძენი, მეგონა, ფრთები შეიძლებოდა ის კოშმარი დასრულებულიყო, რასაც მამაჩემი ერქვა...

ამაზე... სხვა დროს სახესაც დაგიმხინჯებ, შენ შინ უნდა ეგდო, ბედის რა ღირსი ხარო...

მამას მარტო ჩვენ კი არა, მთელი ქვეყანა სძულდა და მიკვირდა, როგორ ვერ ხვდებოდნენ სამსახურში, პატის სცემდნენ და ჭკუას ეკითხებოდნენ, დიდ წვეულებებზე თამადად ეპატივებოდნენ...

ჩემი ძმა ჯარში წაიყვანეს, ლენინგრადის ოლქში მსახურობდა და... აღარ დაბრუნდა. სამხედრო აკადემია დაამთავრა, რუსი ცოლი შეირთო და ქართულად არც ლაპარაკობს, გვარიც შეიცვალა, რუსეთის არმიის მაიორია და პასპორტშიც ეროვნება რუსი უნერია. 28 წელია არ ჩამოსულა საქართველოში! დედაც და მამაც ისე დაავასფლავე, არც გაუგია. ბევრმა გაკიცხა. მე კი მესმის და არც ვამტყუნებ.

— აქ ცხოვრობდით (რატომაც შიშით მიმოვიხედე ირგვლივ)?

— არა! ის სახლი დიდი ხანია გაყვინდე. მზარავდა იქ გატარებული ყოველი წუთის გახსენება. მეგონა, თუ იქაურობას მოვშორდებოდი, უკეთ გავხედობდი და სიძულვილსაც თავს დავაღწევდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვძლიე შიშს და საკუთარ თავს, კაცის შიში მაქვს... ქმარს ორ

# სიღამაზე ცქერით წიღი გაცვდება...

## მელანია ჩოლოყაშვილი (1855-1916)



მელანია ჩოლოყაშვილი მე-19 საუკუნის II ნახევრის იმ მანდილოსანთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც არა მარტო გარეგნული მშვენიერებით, არამედ სულიერი სიმამლით, სიღირსიანობით გამოირჩეოდნენ და ერის სახელს დიდებას მატებდნენ.

იგი კეთილშობილი იყო არა მარტო გვარიშვილობით, არამედ შინაგანი არსით, საქციელით — ილიასი არ იყო, მართლაც „კია დედაკაცო“ გახლდათ.

მელანიას შინაური განათლება ჰქონდა მიღებული, ბრწყინვალე ეცოდა ქართული მწერლობა, რომ არაფერი ვთქვათ სასულიერო ლიტერატურაზე. ზემოთადა უკითხავდა შვილებსა და ახლობლებს „ვეფხისტყაოსანს“, „ყარაშინას“, „ვისრამიანს“, კარგად სცოდნოდა რუსული ენაც.

გარდა ამისა, მელანია განსწავლული ყოფილა ძველ კარანდინებში და შინაურულად მკურნალობდა კიდევ და ამ საქმის ცოდნით დიდი სახელიც ჰქონია მთელ კახეთში. სცოდნოდა საუცხოო დაკვრა და სიმღერა ჩონგურსა და დაირაზე.

მელანია გახლდათ კახეთის აჯანყების სულისჩამდგმელის, ეროვნული გმირის, ბიძინა ჩოლოყაშვილის ნაშვილის ოჯახის ღირსეული რძალი. მისი მუდამე აკაცი ჩოლოყაშვილი მთელ კახეთში განთქმული იყო ხელგაშლილობით, გულკეთილობით, სტუმარმასპინძლობით.

ოჯახი ყარაბულახში ცხოვრობდა და კულტურის ერთ-ერთ კერად იყო აღიარებული. აქ არასოდეს ილეოდა მიმსვლილი — ცნობილი საზოგადო მოღვაწეები ხშირად დადიოდნენ ჩოლოყაშვილებთან, ყველა საპატიო სტუმარი თავს ვალდებულად მიიჩნევდა, მათი ოჯახი უსათუოდ მიენახულებინა.

განსაკუთრებით ჰყვარებია ყარაბულახში ჩასვლა დიდ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ამ ოჯახის გურამიშვილი ხშირად ორი-სამი კვირითაც კი რჩებოდნენ მათთან. საქართველოს უგვირგვინო მეფეს ატყობდა და ამშვიდებდა მშვენიერი დიასახლისის ხილვა და ყარაბულახის იდილიური გარემო...

აქ ხშირად კამათობდნენ სამშობლოს ბედზე, სახადდნენ გზებს ქვეყნის შავი ზღვისკენ თავდასაღწევად.

დიდ ილიას ძალიან მოსწონდა თურმე მშვენიერი მელანიას ლულუნა, თბილი ხმით ნაკითხული თავისი ნაწარმოებების მოსმენა, ითვალისწინებდა ხოლმე მის მოსაზრებებს.

მელანია და კაკო ჩოლოყაშვილების ოჯახში მათ შვილებთან ერთად რამდენიმე ობოლიც იზრდებოდა, რომელთაც აღმზრდელი მზრუნველობას არ აკლებდნენ.

ყმანვილების მამულიშვილურ ზრახვებს ცხადია, აღვივებდა ოჯახის სტუმრების — ქართველი მოღვაწეების განწყობილება.

ამ დიდი სახლის დედაბოძი — მშვენიერი დიასახლისი მელანია სტუმარ-მასპინძლის ყველა დღესა და ნუთს ალაპარაკებდა და ამდიდრებდა.

ჩოლოყაშვილები, რა თქმა უნდა, დიდად აფასებდნენ ცოდნას. მათმა შთამომავლებმა ბრწყინვალე განათლება მიიღეს თბილისში, პეტერბურგში, პარიზში და შესანიშნავი სპეციალისტებიც დადგნენ. სამწუხაროდ, როცა საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა, ბევრმა მათგანმა უცხოეთს მიაშურა და იქ განაგრძო მოღვაწეობა.

მოშიზბველ ქალბატონს — მელანია ჩოლოყაშვილს სიჭარბაგშიც გააყვია ცინცხალი მესიერება და ილიამაზე. მისმა ჯიშმა შვილიშვილებშიც იჩინა თავი — პოეტია და მხატვართა მუზა, თვალწარმტაცი მელიტა ჩოლოყაშვილი, რომელიც მრავლისმნახველ პარიზულესაც კი განაცვიფრებდა, მისი შვილიშვილი იყო.

მოამზადა მარინა ბაბუნაშვილი

# რა ფერის პომადას ისეაქვს?

ძველ ეგვიპტეში ტუჩებს მხოლოდ მუქი ფერის იღებდნენ. მკვეთრი ფერის საცხით იქვედნენ მამაკაცების ყურადღებას. დღეს მანდილოსნები უხამებენ ერთმანეთს პომადის, სახისა და ტანსაცმლის ფერს, რათა უფრო ელვანტურად და მიზიდველად გამოიყურებოდნენ. პომადის ფერი უამრავ ინფორმაციას შეიცავს. თურმე ოდესღაც პომადისა და ტუჩების ფერს უკავშირებდნენ. ბრიტანელმა არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ ჯერ კიდევ 70 ათასი წლის წინ ქალები ტუჩსაცხად იყენებდნენ ფერად ქვეს. როცა ქმარი ნადირობიდან ხელცარიელი ბრუნდებოდა, პირველყოფილი ევა უკმაყოფილებს ნიშნად ტუჩებს ნითლად იღებდა, რაც მის ნიშნავდა, რომ კაცს მისი ალერსის იმედი არ უნდა ჰქონოდა.

თუ მამაკაცს ზედინებდ მოეცარებოდა ხელი, ცოლი პირმავედ ხვდებოდა და ქმარი თუ თავს არ უშველიდა, მარტო რისხვას კი არა, კარგ სახრესაც ვერ ასცდებოდა.


დღეს კი სხვადასხვა ფერის პომადის ქალების გუნებას, ხასიათს ამჟღავნებს.

**ნაწი პომადის ფერი პომადისა** — გამოხატავს ბავშვურ, მიაშიტ ხასიათს. ამ ფერის პომადისა უნდა ნაისთავთ წვეულებებზე ნასვლისას, სადაც ბევრი უცხო ადამიანი იქნება. ეს ფერი განწყობას აგვიმალბებს, გაგამხიარულებს, რითაც თავყანისმცემლებს მიიზიდავს.

# მისი

## შეიძლიათ ცდუნებისაგან თავის შეკავება?

მეცნიერებმა შეადგინეს ტესტი, საიდანაც გაირკვევა, რამდენად შე-



იძლიათ თავი შეიკავოთ და უარი თქვათ ტკბილეულზე, რომელიც, სხვათა შორის, გასუფლებს კადმს.

1 — პასუხისთვის — 3 ქულა, 2 — 6 და 8 — 9 ქულა.

1. გახადომა გადამწყვეტით, დაბადების დღეზე კი ნამცხვარი მოგართვას როგორ შექვამთ?

**აკვითი პარლისფერი** — ფემინიზმის ფერია. თუ გასურთ ყველა მამაკაცი თვალში შემოგვიტყინებდით ან ზოგიერთი მათგანი შეაშინოთ კიდევ, ეს ფერი შესაფერისი იქნება.

**დაბინდული ოლიანი ფერი** — ქალურობის, სიმშვიდის, კონსერვატიულობის გამოხატულება. ეს იმის ნიშანია, რომ თქვენ ნინამე ნამდვილი ქალია.

**ნარინფერი ანუ ციხელისფერი** — ერთი მხრივ გვაფრთხილებს, რომ უფროსი არ ღირს იმ მანდილოსანთან, რომელსაც ეს ფერი უსვია, ხოლო მეორე მხრივ, გვაფრთხილებს, რომ მას გართობა უყვარს.

**პაპაპა მთელი ფერის** პომადის თუ ნაისცამთ, გამოკვეთით ხასიათის ძლიერ მხარეს. უნდა იცოდეთ ამ ფერის კარგად გამოყენება, ვინაიდან ზედმეტი პომადის აგრესიულობას შეგვბნე. ზომიერად ნაისცი, მოხიბვლით გარშემოყრფნი უმთხი და ანდამატი. წვეულებზე ეს საუკეთესო კოლორიტი იქნება.

**მთელი ღვინის ფერი** (ბორდო) ქალს



საიდუმლოებსა შვებებს. სამწუხაროდ, ეს ფერი ყველა მანდილოსანს არ უხდება.

**მთი შინდისფერი** არავის უხდება. თან სექსუალურობასაც ართმევს ქალს. ასე რომ, თუ ვინმეს დაფრთხობა გასურთ — ნაისცი.

**მოყვანისფრო-მოქროს-ფერი პომადისა** დალადებს: „მე ბედნიერი და ცხოვრებით კმაყოფილი ვარ, მინდა თქვენც გაგიწინაილოთ ბედნიერება“.

**უფრო სანაპაპი** შეუძლიათ ნაისცან მხოლოდ საკუთარ თავში ძალიან დარწმუნებულმა ადამიანებმა. იგი საოცრად სექსუალურია. ტუჩები ხომ ასეთ „ტანსაცმელში“ შიშობენ რჩება, რაც მეტ სექსუალურობას ანიჭებს მათ...

## პოსლედნი ნოვოსტი №51

- ა) თითქმის ერთი ამოსუნთქვით;
- ბ) ყოველდღე თითო ნაჭერს;
- გ) ძილის წინ პანანინა ნაჭრით ჩავიტკბარუნებ პირს.
- 2. მანქანით საქმეზე მიემგზავრებით და გერქარებთ, ქუჩა თითქმის ცარიელია. რას აკეთებთ?
  - ა) თავანწყვეტილი გავაქროლებ მანქანას;
  - ბ) ცოტათი გადავაჭარბებ დაშვებულ სიჩქარეს;
  - გ) წესების დაცვით ვივლი.
- 3. სტუმრები წავიდნამოვიდნენ, სუფრაზე კი ნუგბარი დარჩა. რას იზამთ?
  - ა) უმაღლესი შევსანლავე;
  - ბ) ცოტას მოვციცქნი;
  - გ) თავს შევიკავებ ცდუნებისაგან.
- 4. ბანკში შემაღალით და კუთვნილზე გაცილებით მეტი თანხა მოგცეს. როგორ მოიტყვეით?
  - ა) დავიტოვებ ფულს, საქმეს სადავადარაბოდ არ გაიხიდი;
  - ბ) დავფიქრებ: ხომ არ დავაბრუნო?
  - გ) მაშინვე დავაბრუნებ — ცდუნებას რომ
- 21-33 ქულა: ყოველთვის ფიქრობთ, რომ სიცოცხლე უსასრულო არ არის, მაგრამ შეგიძლიათ ხანდახან მოთოკოთ თქვენი თავი.
- 34-51 ქულა: ინსტინქტებს უმკლავდებით, მაგრამ სიცოცხლით მაშინ ტკბებით, როცა დარწმუნებული ხართ, რომ მერე გადასვით არ მოგიწევთ.
- 52-ის ზეით: უზარმაზარი ნებისყოფა გაქვთ. შეინარჩუნეთ ეს, მაგრამ მოსიარულე კეთილშობილებად ნუ გადაიქცევით.

ამბობენ, კაცი იმითაც ფასდება, ცოლი როგორი ჰყავსო. პარლამენტარ გიორგი თარგამაძის მეორე ქორწინება ილბლიანი გამოდგა. ნუშისთვალა **თათია თოფჩიანი** მას ორი გოგონა უკვე აჩუქა და ამბობს, რომ არც მესამე და მეოთხე შვილის ყოლაზე იტყვის უარს. ისინი ოთხი წლის წინ დაქორწინდნენ.

თარგამაძეების უფროსი გოგონა თეკლა, რომელიც მამას ჰგავს, ცელქი და პრანჭიაა. უმცროსს, 6 თვის მაკინეს ბაბუის ცისფერი თვალები გამოჰყვა.

სურათის გადაღებისას თათიამ ბოდში მოხიდა და სახეზე მცირე მაკიაჟი გაიკეთა — თვალის უბეები ჩაშავებული მაქვს და ხალხს არ ეგონოს, გიორგი მცემსო. როგორც გაირკვა, მან ცხვირის ქირურგიული ოპერაცია რამდენიმე დღის წინ გაიკეთა და კვალი ჯერაც ეტყობოდა.

— ბავშვობისას დავეცი და ცხვირის ღრუში პოლიპები გამიჩნდა, რაც სუნთქვაში ხელს მიშლიდა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და მოხდა ისე, რომ ცხვირიც გამილამაზდა. ძალიან კმაყოფილი ვარ და გიორგისაც მოვეწონე.

— **უფრო მეტად, ვიდრე პირველი ნახვისას?**

— გიორგი პირველად დედაჩემის სამსახურში ვნახე, საქმეზე იყო მისული. პირველი პაემანი კი იმით იყო სამსახურით, რომ რესტორანში კი არ დამპატიყა, არამედ ძველი თბილისი შემომატარა და თან ათას საინტერესო ლეგენდას მიყვებოდა, მათ შორის თარგამაძეებზეც. ძალიან გამიკვირდა — ყველა ჩემს მეგობარს თაყვანისმცემლები პირველ პაემანზე კავშირში ან რესტორანში პატივებდნენ. მასსოვს, საღამომდე ვიხეტივალე და სახლში ძალიან მოშივებული დავბრუნდი. არაბა, ისეთი გურმანი ვარ... მიუხედავად იმისა, რომ გამხდარი ვარ, გემრიელად ჭამა მიყვარს, თუ მომეწონა, შეიძლება უზომოდაც მივირთვა. გიორგი, პირიქით: თეფშზე კერძს რომ დავუსხამ, თუ ებევრა, უკან მიბრუნებს. ისე, ჩემი გავითვალისწინებულნი ძალიან მოსწონს. ჩემი დედამთილიც ბრწყინვალე მზარეულია. გიორგის გარეთ სადილობა არ უყვარს. სხდომებს შორის შესვენებაზე სახლში შემოირბენს ხოლმე. თანაც, პარლამენტი ჩვენს სახლთან ახლოსაა.

— **გამიგია თქვენი გატაცება ჩინური სამზარეულოთი.**

— კი, საზღვარგარეთ ყოფნის დროს ხშირად შევედივარ ჩინურ რესტორანში და აქაც ვიყავით რამდენჯერმე. სიმართლე გითხრათ, ბაყაყი და გველი არ მიჭამია. დედაჩემი ამბობს, გველის ხორცი გემრიელიაო. ჩინური სამზარეულო მაინცდამაინც ხვლიკები და ბაყაყები არ არის. გადასარევად ამზადებენ

იხვს. ჩინურ ჩხირებს რაც შეეხება, ვერაფრით ავითვისეთ. ისე, მაინცდამაინც არც გვიცდია. დანა-ჩანგალს ვამეჯობებო.

— **გიორგი როგორი ქმარია? ქმარი ფურნალისტი ხომ არ სჯობდა?**

— არა. საერთოდ, ჩემი აზრით, ყველა

რალაც აგიხსნას. მე ეს არ შემიძლია. ხანდახან, შეიძლება ნაგავმათი, მაგრამ სერიოზულ კონფლიქტამდე არ მიგყვას საქმე, შერიგებისკენ ნაბიჯის გადადგმას კი ერთმანეთს ვასწრებთ. სხვათა შორის, მე და გიორგი მოლაპარაკებულნი ვართ, რომ ბავშვების წინაშე

**პირველ პაემანზე რესტორნის ნაცვლიად კელი თბილისი შემოატარა და უნდა დაეხმარებინა**



— **სულ გვენატრება მე და ბავშვებს...**

ადამიანს, და ქმარსაც, სჭირდება თავისებური მიდგომა. სულერთია, რა პროფესიის იქნება. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ის არის, რომ ოჯახთან დიდ დროს ვერ ატარებს. სულ გვენატრება მე და ბავშვებს. ისე, მასსოვს, ყურნალისტი რომ იყო, მაშინ უფრო ნაკლები დრო ჰქონდა.

— **ოჯახში როგორია? ტელეკრანზე გამონახვების და უემოციო, შინ მაინც არ ბრაზობს?**

— არა, არა. საერთოდ, ძალიან მშვიდია. შეუძლია, დაჯდეს და ასჯერ, აუღელვებლად,

**პირველ პაემანზე რესტორნის ნაცვლიად კელი თბილისი შემოატარა და უნდა დაეხმარებინა**

არასოდეს ვიკამათოთ, სულ უბრალო საკითხზეც კი. ასე ვიქცევით დღემდე.

— **თათია, შენ გიორგის მეორე ცოლი ხარ. რაიმე პრობლემა, ან უხერხული მომენტები არ გქონია?**

— არავითარი. როცა ჩვენ დავქორწინდით, გიორგი ორი წლის გაშორებული იყო პირველ ცოლს. უხერხულობა, რომ მეორე ცოლი ვიყავი, არ მქონია. ეს მომენტი ჩემთვის უცხო არ არის. მე მამინაცვალს მყავს, რომელიც ჩემთვის მამაზე არანაკლებ ძვირფასია. გიორგიზე არც ვეჭვიანობ, ისიც არ არის ეჭვიანი.

— **როგორც ვიცო, არ მუშაობ. გიორგი ხომ არ გიშლის?**

— რომ არ ვმუშაობ, ეს ჩემი სურვილია. ბავშვები ჩემთვის ყველაზე მთავარია. მართალია, მათ მოვლაში მესმარებიან, მაგრამ მაინც არ შემიძლია, ოჯახს დროის დიდი ნაწილი არ დავუთმო. ისე კი, პროფესიით თეატრმცოდნე ვარ და რამდენიმე თვე აჭარის ტელევიზიაში გადაცემა მიმყავდა. ჯერჯერობით, ასე ვარ და ღმერთმა ქნას, ყოველთვის ასე იყოს.

— **გიორგი როგორი მამაა?**

— ბავშვებს ათამამებს, მე პირიქით — მკაცრი ვარ. ბავშვი ლაღი უნდა იყოს, მაგრამ არ მიყვარს უზრდელი ბავშვები. ერთხელ თეკლას რაღაცას ვუშლიდი და გიორგი ჩაერია. ბავშვს ასე მკაცრად არ უნდა ელაპარაკო, მითხრა, მერე დაჯდა და თეკლას აუხსნა, რატომ არ შეიძლება ესა თუ ის... მე ამისთვის მოთმინება არ მყოფნის.



— **თემო ნაცვლიშვილის შვილობა ჩემთვის ძალიან დიდ რამეს ნიშნავს.**

როცა მარინა ნაცვლიშვილს ვესტუმრე, დუტა სხირტლაძე რუსთაველის თეატრთან ერთად გასტროლებზე გახლდათ კიევიში. ჩვენი მშვიდი და წყნარი საუბარი პატარა ნინის ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა. კედელზე არაჩვეულებრივი ადამიანის, თემო ნაცვლიშვილის პორტრეტი შევნიშნე.

— **აქ რომ მოვდიოდი, მაშინ გავიგე, რომ თქვენ თემო ნაცვლიშვილის შვილი ხართ და რატომღაც ძალიან გამიხარდა...**

— თემო ნაცვლიშვილის შვილობა ჩემთვის ძალიან დიდ რამეს ნიშნავს. მართლაც საოცრად კარგი ადამიანი იყო.

— **დუტა და ბატონი თემო თუ იცნობდნენ ერთმანეთს?**

— სამწუხაროდ, არა, რაზეც ძალიან წყდება გული. ორივე კირჩხიბები არიან — დუტა ექვს ივლისს არის დაბადებული, მამა — რვა ივლისს. რომ ვუკვირდები, მართლაც ბევრი საერთო აქვთ...

— **როგორ გაიცანით დუტა?**

— დუტა გაცივანი თეატრალურ სარდაფში. ჩემი ბავშვობის მეგობარს ლევან ნულაძე

**დუტა მუცლს სეზიალუბის ყურებას ყრბდაც**

სულ მეპატიჟებოდა — მოდი თეატრშიო. ერთხელაც მივედი. დავინწყე მუშაობა „სამგროშიან ოპერაზე“. მე და დუტა დავმეგობრდით (მარინა ცნობილი მხატვარი და დიზაინერი). ყველაფერი უცბად მოხდა. სიყვარული რომ ამიხსნა, გავოგნდი.

— **გაუჭირდა სიყვარულის ახსნა?**

— სულაც არა, მაგრამ მაშინაც კი ნამდვილად არ მეგონა, რომ გაგრძელდებოდა ჩვენი ურთიერთობა... ისე მოინდომა, საბოლოოდ შევუღლდით.

— **ქორწილი გქონდათ თუ სამოგზაუროდ წახვედით?**

— არა, ქორწილი არ გვექონია, უბრალოდ, ბინა ვიქირავებთ და ერთად დავსახლდით.

— **დუტაზე ამბობენ, რომ არაორდინარული ადამიანია. რაში გამოიხატება მისი არაჩვეულებრიობა?**

— არ ვიცი. ყველა ადამიანი თავისთავად არაჩვეულებრივია, მაგრამ დუტას რაღაც ძალა აქვს — ყველას უყვარს. სხვათა შორის, მამაც ასეთი იყო. ყველა მის გარშემო იკრიბებოდა, ყველა ეფერებოდა.

— **ხშირად ბრაზდება ხოლმე?**

— კი, საკმაოდ ფეთქებადია, თუმცა მალევე გაუვლის გაბრაზება. როცა არ არის ხასიათზე, მაშინ ჯუჯულუნებს ხოლმე.

— **ეჭვიანია?**

— კი. როცა ეჭვიანობს, ყოველთვის მეუბნება, თვითონ ფანტაზიორობს, რაღაცებს იგონებს და მერე ეჭვიანობს. მეც ეჭვიანი ვარ, მაგრამ სულ მინდა დავანახვო, რომ ცუდია ეჭვიანობა.

— **შვილებთან როგორი დამოკიდებულება აქვს?**

— ძალიან კარგი მამაა. ნინიც გიჟდება მამაზე. სულ მიკვირს და ვუბნები — ისე იშვიათად გნახულობს ბავშვი, წარმოდგენა არ მაქვს, როდის მოასწრო შენი შეყვარება-თქო... მხოლოდ ერთხელ მოახერხა ნინის და თავისი უფროსი გოგონას (პირველი ქორწინებიდან) გასეირნება.

— **როცა სახლშია, რას აკეთებს დიდი სიამოვნებით?**

— ჭამა უყვარს ძალიან. თუ ცუდ ხასიათზეა, ე.ი. შია. ამიტომ ვცდილობ, დროზე მივაშველო საჭმელი. თითქმის ყველა კერძი

მოსწონს — განსაკუთრებით კი ჩემი მომზადებული. პრეტენზიული არ არის.

— **თვითონ თუ იცის საჭმელების კეთება?**

— ხშირად აკეთებდა, როცა დრო ჰქონდა. თავიდან საშინელი კულინარი ვიყავი. დედა სამზარეულოში არ მიშვებდა — როცა გათხოვდები, მერეც გეყოფაო — მეუბნებოდა. მერე მეც მოვიხდომე და თვითონ ამბობს, რომ არაჩვეულებრივი შედეგები მაქვს კულინარიაში.

— **ვიცი, რომ თელავში გაიზარდა. კახური პირდაპირობა თუ ახასიათებს?**

— მიუხედავად იმისა, რომ თვითონ კახელი არ არის, მაინც ახასიათებს კახური პირდაპირობა და სიალამე.

— **ყველაზე იცის, რომ დუტა მღერის. არ შეიძლება, თემო ნაცვლიშვილის (მეითხველის ალბათი კარგად ახსოვს ბატონი თემოს მიერ საოცრად გულში ჩამწვდომად შესრულებული საკუთარი სიმღერები: „ქარი გიმღერის ნანასა“, „ყველა სათავისოს დაპყრობის“ და სხვა) ქალიშვილიც არ მღეროდეს...**

— კი, ვმღერო. ერთად ვმღერით ერთ სიმღერას — „ნომერი 3“ ვაქვს ასეთი...

— **მრავალი სამსახურიდან, რომელს ანიჭებს უპირატესობას?**

— რა თქმა უნდა, თეატრს. თეატრი მისთვის ყველაფერია. ამბობს, რომ კინოს ტელევიზია უცვლის.

— **როგორ მოხვდა „რუსთავი 2“-ში?**

— ერთხელ აღმოჩნდა გახმოვანებაზე. მერე დაიბარეს სინჯებზე და დატოვეს ტელეკომპანიაში.

— **თუ უყურებთ მის მიერ გახმოვანებულ სერიალებს?**

— არა. ვინმე თუ უყურებს, ხმა მესმის ხოლმე. თვითონაც არ მიყვარს სერიალები და დუტაც მიკრძალავს — არ მინდა ჩემი ცოლი სერიალებს უყურებდესო.

— **„ოცი ათასში“ თუ რეკავთ ხოლმე?**

— არა, არ ვრეკავ. არ შეიძლება სტუდიაში ჩემი თამაში. ისედაც მილიონი ჭორი დამდის, რომ ყველაფერი ჩანყოფით ხდება.

— **შინ თუ უყურებთ გადაცემას? უყურებთ და ჩემთვის ვთამაშობ ხოლმე.**

— **ალბათ მრავალი ქორი გსმენიათ თქვენზეც, დუტაზეც თუ ღიზ**

— **ჭორები და შენი დამოკიდებულება...**

— თურმე ჩემზე ამბობდნენ, გიორგის ცოლი ისეთი ეჭვიანია, სულ პარლამენტში ზის, გვერდიდან არ სცილდებაო. არადა, იქ სულ ერთხელ ვარ ნამყოფი. მაშინაც გიორგიმ მითხრა, წამოდი, ნახე, არ გაინტერესებს, სად ვმუშაობო. ერთხელ გავიგე, ფურნალისტს უყვარსო. ჭორებზე ბევრს ვიცინი ხოლმე.

— **ოთახში ხატების კუთხე შეენიშნე. მორწმუნე ხარ?**

— გიორგი არის ღრმად მორწმუნე, მარხულობს, მე, მისგან განსხვავებით, მარხვას ვერ ვიტყვ. რა ვქნა, ძალიან მიჭირს თავის შეკავება (ცივინის). ძალიან სუსტია და გურმანი რომ ვარ, ზემოთ გითხარით უკვე.

— **ბაზარში ვინ დადის?**

— მე, იშვიათად გიორგი მომყვება. ტვირთის ხელში დაჭერას არ თაკილობს და სიამოვნებს, როცა ხალხისგან სითბოს გრძნობს.

— **თათია, რამ ითამაშა გადამწყვეტი როლი გიორგის პოლიტიკაში გადასვლისას?**

— დავინწყე გიორგის „იბერვიზიაში“ მუშაობით. ერთ დღეს ის აჭარაში მასალის მოსამზადებლად წავიდა. იქ გაიცინა ბატონი ასლანი. იმ დროს ის ინგლისში მიდიოდა და გიორგი ნაიყვანა, როგორც ფურნალისტი. იქ დაუახლოვდნენ ერთმანეთს. შემდეგ შესთავაზა გიორგის პრემიადენობა, მერე კი აჭარის ტელეკომპანიაზე წააბარა. ბატონ ასლანს გიორგისთვის ძალიან ბევრი აქვს გაკეთებული. ამდენს ალბათ მხოლოდ მამები უკეთებენ შვილებს. გიორგის პოლიტიკაში გადასვლა ბატონი ასლანის დამსახურებაა. ყველაფერი თავისთავად მოხდა, თორემ პოლიტიკოსობა მისი მიზანი ნამდვილად არ ყოფილა.

— **რთ არსებობს გიორგი თარგამაძის ოჯახი?**

— გიორგის ხელფასით და დანაზოგებით. რაიმე ბიზნესი არ გვაქვს. არც ძალიან გვიჭირს და არც ფუფუნებაში ვცხოვრობთ. როცა ფული მჭირდება, გიორგი მაძლევს და მე ვანანილებ სხვადასხვა ხარჯისთვის.

— **დახმარებისთვის ადამიანები არ მოგმართავენ?**

— ძალიან ხშირად. ხან ფული სჭირდებათ, ხან სამსახური, ხან რა... მასსოვს, ერთი ლტოლვილი ქალბატონი მოვიდა რამდენჯერმე. ოპერაციის ფული სჭირდებოდა. იმ დროს მაკინეზე ვიყავი ფეხმძიმედ, ყურადღება ვერ მივაქციე, ბოლო დღეები იყო და სულ ექიმებში დავგზობდი, მერე აღარ გამოჩენილა. რაღაც ნიჩრად გულში ჩამრჩა. ნეტა ისეც მოვიადეს...

— **ქეთი ბერეკაშვილი**

— **იანდებით?**

— არ ვლიზიანდები, რადგან არც ერთი ჭორი სიმართლესთან ახლოს არ არის, პირიქით. რაღაც სასიამოვნო მომენტიც ახლავს თან — ე.ი. ვიღაცას აინტერესებს.

— **თქვენ თუ მიჰყვებით ხოლმე გასტროლებზე?**

— მიყვები იმ შემთხვევაში, თუ ვერიკო ანჯაფარიძის თეატრი წავიდა სადმე, რადგან იქ მე ვარ მხატვარი. სხვა თეატრთან ერთად — არა.

— **თქვენს ნამუშევრებს როგორ აფასებს? გამიგია, რომ თვითონაც კარგად ხატავს...**

— ჩემი ნამუშევრები მოსწონს. თვითონ კი მიუხედავად იმისა, რომ არავის უსწავლებია, ძალიან კარგად, პროფესიონალურ დონეზე ხატავს. რუსთაველის თეატრში რეჟისორის დანაყვამდე ზის და ხატავს ხოლმე. იმ დღეს მივედი და მაჩვენებს მისი ნამუშევრები. საოცრად მომეწონა.

— **ხომ არ იცით, რომელი რეჟისორი უყვარს განსაკუთრებით, რომელი მსახიობი მოსწონს?**

— ვიცი, რომ ძალიან უადვილება და მოსწონს ლევან ნულაძესთან მუშაობა, თან ლევანი მისი მასწავლებელიც არის. რაც შეეხება პარტნიორს, ხშირად უთქვამს — ჩემი საყვარელი მსახიობი ზუკა პაპუაშვილიაო.

— **თავისუფალ დღეს როგორ ატარებს?**

— ასეთი დღე ნამდვილად არა აქვს. თუ წელიწადში ერთხელ მაინც მოხდა ისე, რომ შინაა, ყველაფრისაგან თავისუფალი, იბნევა, არ იცის, რა გააკეთოს, სულ ჰგონია, რაღაც საქმე ჰქონდა და დაავიწყდა...

— **რამდენად ყურადღებანიანია?**

— საოცრად ყურადღებანიანია. დღის განმავლობაში ასჯერ მაინც რეკავს სახლში — კითხულობს — როგორ ხართ, რამე ხომ არ გჭირდებათო.

— **სიურპრიზები თუ უყვარს?**

— ძალიან. იცის, რომ ყველაზე მეტად მიყვარს მასში, ეს არის — სიმართლე... დუტა არასოდეს იტყუება.

— **რაზე ოცნებობთ?**

— მოგზაურობაზე. გვიინდა, რაც შეიძლება მეტი ქვეყანა და ქალაქი ვნახოთ.

— **დუტას სასიათის თქვენთვის ყველაზე საყვარელი ჭურბლი...**

— ძალიან თბილია, კეთილი და ყურადღებანიანია, მაგრამ რაც ყველაზე მეტად მიყვარს მასში, ეს არის — სიმართლე... დუტა არასოდეს იტყუება.



# მწვანე ავთიაქი ხეშავა — ბუნებრივი ნამაღი

ისევე, როგორც ხეჭრელი, რომელთანაც აიგივენიერ ხეშავას (მეორეხარად შავჯაბა), უმბარი კუჭში გამხსნელი (საფალარათო) მცენარეული საშუალებაა. ამ მიზნით გამოიყენება მისი შავი ნაყოფი.

ხეშავას ნაყოფს კრეფენ სექტემბერ-ოქტომბერში და ახმობენ. მოქმედების მექანიზმით ეს მცენარე განეკუთვნება ისეთ გამხსნელ საშუალებებს, რომლებიც შეიცავენ ანთრაგლუკოზიდებს, ფლავონოიდებს, პექტინებს, მისი ნაყოფის ნაყენი ან ნახარში შველის ქრონიკულ ყაბზობას.

გთავაზობთ რეცეპტს: შეურიეთ ერთმანეთს 6 წილი ძმერხლის ფოთოლი, 5-5 წილი ხეჭრელის ქერქი და ხეშავას ნაყოფი, 2-2 წილი ანისულის თესლი და ძირტვილას ფესვები. 1

ს/კ ნარევეს დაასხით 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი, გააჩერეთ 20 წუთი, განურეთ და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ღამით. რადგან ის ძლიერი საფალარათო საშუალებაა, მას ხშირად ამატებენ მცენარეულ შემკვერელ საშუალებებსაც და გვირჩევენ მისი მიღებისას ზომიერების დაცვას.



ლიზა №1



მთელ მსოფლიოში თანდათან უფრო ფართოდ იყენებენ ბუნებრივი შაქრის მაგივრად ასტრას ოჯახის წარმომადგენელს, თაფლოვანა მცენარეს — სტევიას.

ცნობილია, რომ შაქრის გამოყენებას არცთუ იშვიათად ცუდი შედეგები მოაქვს (სიმსუქნე, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა და ა.შ.), ხოლო სტევიას, რომელიც შაქარზე 10-15-ჯერ ტკბილია, შეიცავს ძალიან ცოტა კალორიას და არაა მთავარი — არ ზრდის შაქრის დონეს სისხლში. ამიტომ, მისი გამოყენება შეუძლია ყველას — ავადმყოფსაც და ჯანმრთელსაც.

სტევიას სამშობლოა სამხრეთ ამერიკა. უპირატესად გვხვდება პარაგვაიში, ბრაზილიასა და არგენტინაში. ეს მრავალწლიანი ხშირფოთლიანი და მრავალწლოვანი მცენარე, სიმაღლით 80 სმ-მდე იზრდება, ყვავის პაჭარა თეთრი ყვავილებით. უძველესი დროიდანვე იყენებენ ინდიელები ჩაისა და სხვა სასმელების დასატკბობად, მაგრამ მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა 1887 წლიდან სამხრეთამერიკელი ნატურალისტის ანტონიო ბერტონის წყალობით. ამ მცენარის განსაკუთრებული ტკბილი გემო აიხსნება იმით, რომ ის შეიცავს რთულ ნივთიერებას სტევიოზიდს, რომელიც 200-300-ჯერ ტკბილია შაქარზე და აქამდე აღმოჩენილია შორის ყვე-

## სტევიას — ნამალი და ყოხმეტიური საშუალება

ლაზე ტკბილი, ბუნებრივი და უვნებელი პროდუქტია. დასატკბობად გამოიყენება, როგორც სტევიას ახალი, ისე გამომარი ფოთოლი: 1 ჩ/ჭ შაქარს ცვლის 1,5-2 ს/კ ფოთოლი. მკვლევართა აზრით, ადამიანის ორგანიზმისთვის მას არავითარი ზიანის მიყენება არ შეუძლია. ბევრმა არ იცის, რომ ის ბრწყინვალე კოსმეტიკური საშუალებაცაა, შეიძლება მისი გამოყენება სახის კანის ნიღბებისა და კრემების დამზადებაში.

### სტევიას შველის

#### ღრძილიდან სისხლის დონისა —

კბილის ჯაგრისზე დაყარეთ სტევიას ფოთლის ფხვნილი, ზევიდან კი დაადეთ კბილის პასტა და ფრთხილად, წრიული მოძრაობით გაიხსენეთ ღრძილები და კბილები.

#### ხალის ტაქვილის, სტომატიტისა და

ღრძილების ანთივების — გამოივლეთ სტევიას ნაყენი (1/4 ჩ/კ X 1/2 ჩ/ჭ ცხელ წყალზე). ყველამ იცის, რომ შაქარი სპობს კბილებს, სტევიას კი პირიქით, ხელს უშლის კბილზე ნადებისა და კარიესის განვითარებას. ამიტომაც, შეგიძლიათ გამოიყენოთ სტევიას, კბილის პასტის, ფხვნილისა და გელის სახით.

### გთავაზობთ სტევიას კბილის

#### ფხვნილის დამზადების რეცეპტს:

აიღეთ 1 წილი კბილის ჩვეულებრივი ფხვნილი, 2 წილი საჭმელი სოდა, 1 წილი პროპოლისი (დინდგელი), 1 წილი სტევიას მწვანე ფხვნილი — ყველაფერი კარგად შეურიეთ, შემდეგ დაამატეთ ცოტა გლიცერინი და გემოვნებისათვის პიტნის ზეთი ან ფხვნილი და მიიღებთ ბრწყინვალე ბუნებრივ კბილის პასტას.

**სახის ნიღაბი:** შეურიეთ ერთმანეთს 1 ჩ/კ კოსმეტიკური თიხა, 1/2 ჩ/კ სტევიას მწვანე ფხვნილი, 1 ჩ/კ წყალი. წაისვით სახეზე, შეიმართეთ და 10-15 წუთის შემდეგ ზევიდან დაიფინეთ თბილი, სველი პირსახოცი. ნიღაბი დაღობის შემდეგ ჩამოიბანეთ. კარგად შეიმშრალეთ და სახეზე წაისვით დამატინიანებული კრემი. კანი გახდება გლუვი და ხავერდოვანი.

ლიზა №50

## უკითხვა პედიკონს

— 8 წლის წინ, 24 წლის ასაკში გადავიტანე პოლინეირაბათია (პოლინეირაბათია). სიცოცხლე სელებში ძალიან მეკარგება, სუსტად ვარ. ეს პოლინეირაბათის ნარჩენი მოვლენებისა თუ სხვა დაავადება და როგორ უნდა ვიმკურნალო? მკითხველი

— მაქვს მშრალი კანი და ქერტილი, რაც ძალიან მალეზიანებს. რა არ ვინამლე, არაფერმა მიშველა. ყველა ექიმი სხვადასხვა რჩევას მაძლევს — დავიღალე, გთხოვთ მიპასუხოთ, როგორ მოვიქცე?

**ნ. წიკლაური, თბილისი**

— მიიღეთ ვიტამინის პროფილაქტიკური დოზა ყოველდღიურად (თითო აბი ერთხელ



დაღეში) 10 დღის განმავლობაში. თავს ნუ დაიბანთ ძალიან ცხელი წყლით. გამოიყენეთ ვიტამინის შემცველი შამპუნები. ხალხური საშუალებებიდან გთავაზობთ შემდეგ რეცეპტს: ბირკავას ფესვები ჩაყარეთ წყლით საცხე ქვაბში და ხარშეთ წყლის შესქელებამდე. ნახარში განურეთ და ამ ნაყენით დაისველეთ თავი ყოველდღიურად. თმა რბილდება და ქერტილი ქრება.

თამარ მამაცაშვილი

## რა უნდა ვისოვლით ინსულტის შესახებ

### რა არის ინსულტი და როგორ ვითარდება ის?

ინსულტს, ანუ ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრ დარღვევას, განვითარების ორი მთავარი მექანიზმი ახასიათებს:

ტვინის ერთ-ერთი ძარღვის ათეროსკლეროზული ბალოთი ან თრომბოზით (10-15% შემთხვევა) დაცობა და არტერიული წნევის (85 % შემთხვევა) შედეგად ტვინის ძარღვის გასკდომა.

ანატომიურად ინსულტი ტვინის მკვედარი ქსოვილის კერაა. ნეკროზი წამოიქმნება დაზიანებული ძარღვიდან ტვინში მასიური სისხლჩაქცევის შედეგად. ინსულტს თან სდევს თავის ტვინის ბევრი უჯრედის სიკვდილი, რაც სწრაფად აისახება ავადმყოფის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. მას ერთმევა ხელ-ფეხი (დამბლა), ეცვლება იერი, ემბის ენა ან მუნჯდება. უქვეითდება აღქმის უნარი, მხედველობა, შეგრძნება, სმენა, მეხსიერება და ინტელექტი.

ინსულტის პირველ დღეებში ავადმყოფის ტვინი შეშუპებულია და სიცოცხლე საფრთხეში ვარდება. მხოლოდ 2-3 დღე-ღამის შემდეგ სპეციალისტებმა შეიძლება დაადგინონ გადაწყვეტა თუ არა ავადმყოფი, დაუბრუნდება თუ არა მეტყველება, მოძრაობის უნარი. შეძლებს თუ არა თავის მოვლას, რა დრო დასჭირდება მის გამოჯანმრთელებას?

### როგორ დავეხმაროთ ავადმყოფს საავადმყოფოში გადაყვანამდე?

თუ ხედავთ, რომ თქვენს ახლობელს ინსულტი დაემართა, ნაერთვა ხელ-ფეხი, შეეცაღა სახის გამომეტყველება, მეტყველება გაურკვეველია ან საერთოდ ვერ ლაპარაკობს, სახის კანი მკვეთრად გაუწითლდა ან გაუთეთრდა — სასწრაფოდ მიიღეთ ზომები ავადმყოფის გადასარჩენად.

პირიზონტალურად დაანეინეთ, თავზე შემოაკარით ცივ წყალში დასველებული ქსოვილი, გაუზომეთ წნევა. მაღალი წნევის შემთხვევაში მიეცით წნევის დამწვევი საშუალებები (რაც ხელთ გაქვთ), დაბალი წნევის დროს — ფეხებზე დაუდეთ მუთაქა ან სხვა რამ ნივთი. პირლბინების შემთხვევაში თავი გვერდზე მოუბრუნეთ და თვალი ადევნეთ — არ დაიხრჩოს. რა თქმა უნდა,

გამოიძახოთ ექიმი და მის მოსვლამდე არ მოშორდეთ ავადმყოფს.

### როგორია ინსულტის პროფილაქტიკის ხერხები?

სამწუხაროდ, დაავადებათა შორის ინსულტი ძალიან ცუდად ემორჩილება მკურნალობას. ამიტომ ნებისმიერ ინსულტს შეუქცევადი შედეგები მოჰყვება. ჯანმრთელობის სრულად აღდგენა არასოდეს ხდება.

აი, ამიტომ უნდა ვეცადოთ ინსულტი არ განვითარდეს — მთავარია თვითპროფილაქტიკა. დღეს ნებისმიერმა გონიერმა ადამიანმა უნდა წარმოიდგინოს თუ რას მოსდევს ინსულტი. ასე-



თი ფაქტორი სულ ორია: გაუკონტროლებელი არტერიული წნევა და ათეროსკლეროზი, რომელთა განვითარებასაც ხელს უწყობს არარაციონალური კვება, ჰიპოდინამია, სტრესები, ალკოჰოლი, სიგარეტის წევა ან სხვა მავნე ჩვევები.

რა თქმა უნდა, მონესრიგებული და ჯანმრთელი ცხოვრების პირობები ამცირებს არტერიული წნევის დონეს და არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, რაც ინსულტის პროფილაქტიკის ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

თუმცა, თანამედროვე სოციალურ პირობებში, ადამიანს არ შეუძლია უარი თქვას ბევრ რამეზე, როგორც თავის სისუსტეზე, ისე გარემოცვლზე ნეგატიურ მოვლენებზე (სტრესები, ჰიპოდინამია და ა.შ.), ამ შემთხვევაში დაგეგმარებათ მედიკამენტური პროფილაქტიკა. დღეს ხომ ძალიან ბევრი არტერიული წნევისა და ქოლესტერინის დონის დამწვევი პრეპარატი შექმნილია.

ლიზა №51

## ღონაყუმცმ ვიე ქყავსმსმავ

ყველაფრის, ასევე ყავის უზომოდ მიღებამ შეიძლება საკვალაო შედეგებამდე მიგვიყვანოს. 250 გ-ზე მეტი ყავის მოხმარებას შეუძლია გამოიწვიოს ალდენება, უძილობა, კუჭ-ნაწლავის აშლილობა, ტაქიკარდია, გულის არითმია, კუნთების კრუნჩხვა და ა.შ. სწულიად დაკმაყოფილება დღეში 3-5 ფინჯანი ნატურალური ყავა მივიღოთ, რომ ყავას შევეჩვიოთ და გავხდეთ კოფე-მანი.

ცნობილია, რომ კოფეინი წარმოადგენს ფსიქოსტიმულატორს, სასიკეთოდ მოქმედებს ორგანიზმის ტონუსზე, აუზჯობებს ე.წ. ხანგრძლივ მესხიერებას, ეხმარება ტვინის აქტიურად აღდგენას, აძლიერებს ყურადღებას და კონცენტრაციის უნარს, დამამშვიდებლად მოქმედებს ასთმისა და მშრალი ხველების დროს.

ერთ-ერთი მოსაზრებით, ყავის რეველარულად მიღება წნევის მაღლა სწევს და ინვეეს გულ-სისხლძარღვების დაავადებას, რასაც ექიმები არ იზიარებენ.

ზომიერად გამოყენებულ ყავას შეუძლია გაააქტიუროს თირკმლების მუშაობა და გამოდევნოს ორგანიზმიდან აზოტის შემცველი ნიღბები, რაც ხელს უწყობს შარდკენჭოვანი დაავადებების რისკის 10%-ით შემცირებას. მაგრამ არ უნდა დაგავინყდეს, რომ ყავა არ შეიძლება მიიღოს გლავუკოზით დაავადებულებმა, რადგან ის ინვეეს თვალის შიგა წნევის აწევას, რაც უკუმაჩვენებელია ასეთი დაავადებისთვის.

კოფეინი კუჭის წველის გამოყოფის ძლიერი სტიმულატორია, რაც აუცილებელია საჭმლის მონელების ტრაქტის ნორმალური მუშაობისათვის, მაგრამ კუჭის წყლულის დროს კი მავნებელია, მასში შემავალი მთრიმლავი ნივთიერების გამო.

ქრონიკული ჰიპერტონიის დროს სასურველია თავი შეიკავოთ ყავისაგან; ასევე, ფეხმძიმე და მექუძურ ქალებს ვურჩევთ, არ მიიღონ ყავა.

გოკრუგ სეგტა №11

## გამკეთ აცლასი, მიენით ათასი...

ბრონული შეიცავს უამრავ მჟავას და რაც მთავარია, რკინას, რომელიც აუცილებელია ჰემოგლობინისათვის. ახალგაზონური წვენი კლავს წყურვილს და აძლიერებს მადას. ზოგჯერ ბრონული წვენი უწერენ მაღალი წნევისა და გულის ტკივილის დროს.

მაგრამ აქვე გვაფრთხილებს — მან შეიძლება ყაბზობა გამოიწვიოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის ბრწყინვალე საშუალებაა კუჭის აშლილობის სამკურნალოდ.

ოტდონი №1



# ეს ეხოსი.. დანახენი

**— შემდეგ**

იტალიის ქალაქ ასკოლი მიჩენოს სპეციალიზებულ საავადმყოფოში ბოლო და ბოლოს, დაიბადა 4 ტყუილი-ან პირველი. მშობიარე ფლავია ანჯელას ორსულობა უცნაური და უნიკალურია მედიცინის ისტორიაში. ქალი ოთხი თვის ორსული იყო, როდესაც ექიმებმა შეატყობინეს — მეორეჯერ დაორსულდი და სამი თვის შემდეგ კიდევ სამი (ტყუილი) შეგებინებო. ბედნიერი მამის, რიკარდო ტარკუინის ცნობით, პირველმა მშობიარობამ ნორმალურად ჩაიარა. გოგონა ბუნებრივი ხერხით დაიბადა და 3,4 კგ-ს იწონის. დედა და პატარა დენიზი თავს კარგად გრძობენ. მამამ ჟურნალისტებს სთხოვა, კითხვებით აღარ შეაწუხონ ფლავია და აცალონ ბოლომდე მომშობიარება — ე.ი. 3 თვის შემდეგ, ამიტომ, დანჯირილებითი ცნობებით, თუ როგორ მიმდინარეობს „პარალელური“ ორსულობა, არავინ იცის. ამ საკითხზე კომენტარს არც ექიმები იძლევიან. ბებიაქალის



ვინაობასაც არ ამხელენ. როგორც თავად ახსენს, პრესის პირველმა „საკმარისად აგრესიულმა“ დამოკიდებულებამ მშობიარის მიმართ, ყოველგვარი სურვილი დაუკარგა მათ უჩვეულო ორსულობის შესახებ საუბრისას. ისე რომ, ეს სენსაცია და ამ ფენომენის მეცნიერული ახსნა დანარჩენი ბავშვების გაჩენამდე გადაიდო.

კომსოპოლსკაია პრავდა

**მშენა ნერვული ანორექსიის შესახებ. ეჭვი მაქვს, რომ ჩემთვის ახლობელ ადამიანს ეს დაავადება სჭირს. რა არის დაავადების არსი, გამომწვევი მიზეზები და რას უნდა ველოდეთ შედეგად?**

**ლ. ტყეშელაშვილი, თბილისი**

ნერვული ანორექსია პათოლოგიური ქცევაა, რომელიც სხეულის კორექციის მიზნით, საკვების მიღებისგან შეგნებულად თავის შეკავებით გამოიხატება. დაავადება უმეტესად ახალგაზრდა ასაკში ვითარდება, განსაკუთრებით გოგონებში — 15-დან 19 წლამდე 13%-ში, ხოლო 20-დან 29 წლამდე — 6%-ში.

დღეს ბევრი გოგონა ფიგურის შესანარჩუნებლად ხშირად იყენებს შიმშილობის სხვადასხვა მეთოდს. ნერვული ანორექსიის დროს კი, გოგონათა უმრავლესობა უარს ამბობს საკვების მიღებაზე, თანდათანობით ხდება, რასაც ორგანიზმის პროგრესირებადი გამოვლიტვა და უამრავი სასიცოცხლო მნიშვნელოვანი ფუნქციის დარღვევა ახლავს თან.

გამოყოფენ ანორექსიის 2 ტიპს: ნერვული ანორექსიის და ნერვულ ბულემიას. პირველი გამოვლინდება უმაღლობაში, კვების რაციონის კატასტროფულ შემცირებაში, სიგამბდრეში. ხოლო მეორე — კვების რაციონის გაზრდაში, ჭამის მადის მომატებაში. ბულემიის დროს ადამიანი ბევრს ჭამს, შემდეგ კი ხელეწონებულად იწვევს პირღებინებას, ან შარდდენ თუ კუჭ-ნაწლავის ამშლელ სხვადასხვა პრეპარატს მიმართავს.

ბულემიის ფორმისთვის დამახასიათებელია დიდი რაოდენობით საკვების მიღება დროის მცირე (2სთ-ში ერთხელ) შუალედებში. მიმართავენ მკაცრ დიეტასაც, რომლის დროსაც რამდენიმე დღიანი შიმშილი ისევ „გაუმართლობის“ შეტევით მთავრდება.

ანორექსიის დროს ფსიქიკის ძირითადი კომპონენტები (ორიენტაცია, ცნობიერება, ხასიათი, აზროვნების ფუნქციები) თითქმის შენახულია, რის გამოც, მას უპირატესად ნერვულ დაავადებად მიაკუთვნებენ.

დაავადების კლინიკური მიმდინარეობა საოცარი სიზუსტით პირველად ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასასრულს, ექიმმა რიჩარდ მორტონმა აღწერა. ეს კულამა ის „ნერვული ქლექის“ სახელწოდებით მოხატა. დაავადება უმეტესად, ბალეტის სკოლის, ასევე შეღებულ ოჯახების მორიდებულ და მგრძობიარე მოზარდებს ემუქრებათ. ასეთი გოგონებისთვის ჩვეულია სრულყოფილებისკენ სწრაფვა, ყველაფერში პირველობა — იქნება ეს სპორტი, სწავლა, ჩაცმის სტილი თუ ფიზიკური მომზიდველობა. ტყუილად არ უნდებენ ნერვულ ანორექსიას — „ფრიალოსანთა სინდრომს“.

თანამედროვე მედიცინას ორგანიზმში ამ საშიშელი სენის „ჩაბუდების“ მიზეზები და განვითარების მექანიზმები ჯერაც ვერ აუხსნია.

ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, ანორექსია არის ენდოკრინული სისტემის პათოლოგია. როგორც წესი, მას თან სდევს გუნება-განწყობის დაქვეითება — დეპრესია. გარდა ამისა, ენდოკრინული სისტემის ნორმალურობის დარღვევას ახლავს დედათა წესის ციკლი მოშლა, ცხიმოვანი ქსოვილის მკვეთრი შემცირება. ცხიმოვანი ქსოვილის გარკვეული რაოდენობა კი, ქალის ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

ციონირების აუცილებელი პირობაა. დაავადების დროს ადამიანს უვითარდება გასუქების გადაჭარბებული შიში. ისინი კარგავენ თვითშეფასების უნარს. ანორექსიის დასაწყისში ახალგაზრდა ეპიზოდურად ზღუდავს საკვების რაოდენობას, განსაკუთრებით — ყუათიან საკვებს, შემდეგ უკვე ცდილობს სხეულის წონის დარეგულირებას. ამ დროს ჭამის მადი არ ქვეითდება, პირიქით, შეიძლება გაძლიერდეს კიდევ. მაგრამ გოგონა მაინც არ ჭამს. დაავადებულნი არაფერს მიირთმევენ, მხოლოდ საკვების ყურებით „ძლებიან“. ისინი ყოველდღიურად, მეთოდურად დადიან მაღაზიებში, სუპერმარკეტებში, არჩევენ, ყნოსავენ პროდუქტებს... და ყიდულობენ არა თავისთვის, არამედ ოჯახის წევრებისთვის. გოგონები საოცარ კულინარიულ შესაძლებლობებს ავლენენ: ამზადებენ ნიარ-ნიარ დელიკატესს (თვითონ არაფერს სინჯავენ, მარილსაც კი) და სხვებს უმასპინძლებიან. ეს ნერვული ანორექსიის ერთ-ერთი კრიტიკული მომენტი, რამაც

ტაქტი. მაღალია გოგონების გონებრივი აქტივობაც. აქედან გამომდინარე, ისინი არც სწავლაში ჩამორჩებიან.

ანორექსიის განვითარებას ხელს უწყობს პიროვნების ხასიათის თავისებურება. ხშირად იგი მემკვიდრეობითი ხასიათისაა. მის ხელშეწყობს ფაქტორთაგან ასევე აღსანიშნავია ბავშვობაში არასწორი კვებითი რეჟიმი — უმეტესად ბავშვისთვის საკვების დაძალება. დაავადების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები იქმნება კონფლიქტურ სიტუაციაში.

ანორექსიის წინამორბედი ნიშნები: ნაკლები კონტაქტურობა, ადვილად გაღიზიანება, ჭარბი ემოციურობა, გულჩვილობა, ავტორიტეტის მიმართ ზედმეტი მორჩილება და დამოუკიდებლობისადმი სწრაფვის უქონლობა. ანორექსიით დაავადებულნი გამრჯე, წყნარი, დამჯერე, პასუხისმგებლობის გრძობის მქონენ არიან, იმდენად რომ მათ ბრწყინვალე კარიერას უწინასწარმეტყველებენ.

მკურნალობა: ერთადერთი საშუ-

## რა არის ნერვული ანორექსია?



უნდა გამოაფხიზლოს მანამდე უყურადღებო მშობელი. გოგონები ყველაზე ადვილად იმეორებენ დამაჯერებელს, ისინი მეთოდურად ყრიან საკვებს, სვრიან თევზებს, რათა დედამ ნახოს სადილობის კვალი.

როგორც კი მშობლები შეამჩნევენ, როგორ იქცევა მათი შვილი, ისინი ახლებენ ჭამას, რაც მათში პროტესტის გრძობას იწვევს. გოგონა ცდილობს, ჩუმად გადააგდოს ძალით მიწოდებული ულუფა ან ძალდატანებით მიღების შემდეგ ხელეწონებულად იწვევს ლებინებას ან კიდევ კუჭს ირეცხავს.

განვითარების დაავადება რამდენიმე სტადიის გადის. პირველის დროს — გოგონას საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილება და ნაკლის კორექციისკენ სწრაფვა აღინიშნება. მოზარდს არ მოსწონს საკუთარი თავი, უკვირდება ყოველ ნაკვსს, განსაკუთრებით უკმაყოფილოა სახითა და ტანით. ეწვენება, რომ შეუფერებლად დიდი ცხვირი აქვს, ლოყები ჩაფარდნილი. არცთუ იშვიათად პლასტიკურ ოპერაციებსაც მიმართავს.

საკვების კატასტროფული შეზღუდვის ფონზე, ისინი პროგრესულად ხდებიან — მაგრამ მაინც არ წყნარდებიან და საკუთარ თავს ფიზიკური ვარჯიშითაც იტვირთავენ. ისინი ყოველთვის მშვენიერ გუნება-განწყობაზე არიან და ამას გულის წახვლამდე ინარჩუნებენ. დღეში რამდენიმე საათი ვარჯიშით კი, ფიზიკური და სპორტული ძლიერების შეგრძნებას ივითარებენ. ამიტომაც ძლიერ ჭირს ხოლმე ასეთ პაციენტებთან ექიმი-ფსიქოთერაპევტის კონ-

ალება, რომელიც ამ დაავადებას ასე თუ ისე შევლის, ანტიდებრესანტიბია, რომელთა გამოყენება აუცილებლად ექიმთან კონსულტაციის შემდეგ უნდა მოხდეს. აუცილებელია ფსიქიატრის კონსულტაცია. გოგონები ფსიქიატრთან დიდი ხნით მკურნალობას საჭიროებენ. ყველაზე დიდი მნიშვნელობა კახეციის (გამოფიტვის) სტადიიდან გამოყენებას ენიჭება. ამ დროს აუცილებელია სტაციონარის პირობებში ნორმალური კვების რეჟიმის უზრუნველყოფა.

სხეულის მასის აღდგენას თუ არ მოჰყვება მენსტრუაციული ციკლის „დაბრუნება“, საჭირო ხდება გინეკოლოგი-ენდოკრინოლოგის კონსულტაცია.

გათვალისწინეთ! პროგნოზი არცთუ კეთილსაიმედოა. გოგონები „სრულყოფილებისკენ“ სწრაფვისას მეტისმეტად მძიმე საფასურს — სიცოცხლეს იხდიან.

ამიტომაც, თუკი ზემოთ მოყვანილი კლინიკური სურათის გათვალისწინებით, თქვენს ახლობლებში „შიმშილის სენით“ შეპყრობილ ადამიანს აღმოაჩენთ, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს.

**ბავშვების წინადადება!** ჩატარებული მკურნალობის მიუხედავად, თვითონ პაციენტი მონდომებული არ არის, მდგომარეობიდან გამოვიდეს. იგი საკუთარი სიგამბდრით ამყოფს კიდევ! გოგონა ხშირად უარს ამბობს მედიკამენტების მიღებაზე, ექიმებსა და ახლობლების ზემოქმედებას გმირულად ეწინააღმდეგება. პაციენტი ზოგჯერ ისეთი გამხდარია, რომ დაჯდომაც კი უჭირს!

მაია მუსხელი



## იოლი რჩევები

რალური წვენი, ჩაი თავლით. დროებით შეცვალეთ რაციონი. ორგანიზმის წინააღმდეგობას ინფექციის მიმართ სტიმულს აძლევს ორი კბილი ნიორი ან ხახვის ბოლქვი, აგრეთვე ხილი და ბოსტნეული, რომელშიც შედის A (სტაფილო, კომპოსტო, ისპანახი) ან C ვიტამინი (მტკობი, მოცხარი, ცირცელი, კივი, ფეისო, ავოკადო და ციტრუსები). ავადმყოფობა უფრო ხანმოკლე რომ გაგხადოთ, საკმარისია დღე-ღამეში 500 მგ C ვიტამინის მიღება. ხილის ნაცვლად შეიძლება გამოიყენოთ ასკორბინის მჟავა, რომელსაც გახსნილ ნახევარ ჭიქა ტომატის, გარგარის ან ატმის წვენი.

**მასაჟი** თუკი დღეში რამდენიმეჯერ ჩაიტარებთ მასაჟს, ვირუსი უკან დაიხევს. „გაცივების“ ნერვები მდებარეობს წარბებს შორის და ხელის მტევანზე (ცერსა და საჩვენებელ თითებს შუა ძვალზე).

**გამოვლება** სუფრის მარლის სხნარი (ერთი ჩაის კოვზი ჭიქა წყალზე ან თითო-თითო ჩქ მარილი და სოდა ორი წვეთი იოდით) გამოივლეთ ყელში დღეში სამჯერ, უმჯობესია ყოველ საათში. გაჭედო ცხვირში კარგია ზღვის მარილის სხნარის გამოვლება, სურდოს დროს კი, ცხვირში 2-3 წვეთი ჭარხლის, ხახვის ან ალოეს ჩანვეთება.

**სისსლუი შაქრის საზოი აპარაზები**

კომპლექტი 95ლ

ავტომატური საჩხვლავი 50 ც. ნაგისთ 14ლ

ანს „კონსასი“, პოკოპის ქ. №4

☎ 35-44-05; 899-19-60-55

**დომოვოი №1**

**კომპოპატიური მკურნალობა**

პომეოპატიური აკადემიის პროტექტორი, სერთაშორისო პომეოპატიური ლიგის წევრი

თ(ო)რენიკპმ ალ.აშ30ლი

აწარმოებს მიღებას წინასწარი ჩაწერით (გ. 98 64 86) ალ. ჭავჭავაძის ქ. №2 №13 პოლიკლინიკა სწავლების თაობაზე დარეკეთ: 29 43 65

**“მეკროპანი“ - ფრენკელის ღიაბნოსტიკა**

ისრაელი-საქართველოს კლინიკა ბილოცავთ შობა-ახალ წელს და ბთავახობთ საახალწლო ფასდაკლება:

მკედარი ზღვის მინერალებსა და მარილებზე დამზადებული Dead Sea Premier Cosmetics-ის კანის მოვლის საშუალებები - **33%** სახისა და სხეულის მოვლის სხვადასხვა პროცედურები - **10%**

მისამართი: ვაშა ფშაველას გამზ. 32ა

☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76

**SGS - მსოფლიო სექსოლოგია ასოციაციის და ევროპის სექსოლოგია ფედერაციის წევრი**

SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS - მაღალკლასიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სექსობრავ აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქონინო ღამის“ პრობლემები.
2. სექსობრავი აქტის განხორციელება ან ნაადრევად დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკაიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტრაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური **SGS**

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

**პედიკონა**

**ალექსანდრიტის ლაზერით სწრაფად, უმკივნეულოდ, ჩხვლების გარეშე**

*საახალწლო თქვენთვის*

საპედიკონო ცენტრი **მედი** ალ. ყაზაგის გამზ. №1 ☎ 25-02-02



### ისრაელმა ღაზის ნავსადგომი დახვია

ისრაელის სამხედრო გემებმა დახვია ღაზის ნავსადგომი. ისრაელის საზღვაო პოლიციის ნავსადგომი ღაზში. თვითმხილველები ირწმუნებიან, რომ სულ ცოტა, ორი რაკეტა იქნა გაშვებული. დაიწვა ნაპირთან მდგომი მეთევზეთა რამდენიმე ნავი. იქვე იმყოფებოდა იასირ არაფატის პირადი კატარა, რომელიც არ დაშავებულა, თავად არაფატი მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, ქალაქ რამალაში იმყოფება და ფაქტობრივად, იქიდან ვერ გამოდის. ისრაელი აცხადებს, რომ ეს ოპერაცია



ჩატარდა წითელ ზღვაში კონტრაბანდული იარაღით დატვირთული გემის დაჭერის საპასუხოდ. გემს იარაღი მიჰქონდა ღაზის სექტორში. ვარაუდობენ, რომ იარაღის კონტრაბანდის უკან პალესტინის ავტონომიის ლიდერები, მათ შორის არაფატიც დგას, თუმცა პალესტინელები კატეგორიულად უარყოფენ ამას. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა — ისრაელელთა მოქმედება კონტრაბანდული იარაღის შეტანის გზების აღკვეთის აუცილებლობით აისინებოა.

ინტერფაქსი

**ქვირის შიხა:**  
 მაინცდამაინც არ ავუღელევივარ იმას, ღამე ბუშის რანოში რომ გავატარე. ვფიქრობ, თავად უნდა ეფიქრა, რაც ხდება, თუკი შინ ყოფილი საბჭოთა მხვერავი შეუშვა.  
 ვლადიმერ პუტინი

### პაპისტანმა მხარი პრეზიდენტს დაუჭირა

ინდოეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ლალ კრიშნა ადვანის ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენლები შეეცადნენ, დელი-პაკისტანის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას. მაგრამ ინდოეთს ჯერჯერობით შეუძლებლად მიაჩნია პაკისტანის სასაზღვრო რაიონში გადასროლილი თავისი ჯარის მანქანების იმ პოზიციებზე დაბრუნება, რომლებიც მათ ინდოეთის პარლამენტში მომხდარ ტერაქტებამდე ეჭირათ. ამის შესახებ განაცხადა ინდოეთის თავდაცვის უწყების უფროსმა ჯორჯ ფერნანდესმა. ის დარწმუნებულია, რომ სიტუაცია კრიტიკული არ არის და კრიზისის დიპლომატიური გზით აღმოფხვრა საშუალება ახლის ორ ბირთვულ სახელმწიფოს შორის, შესაძლებელია. დიპლომატიური გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობის შესახებ განაცხადა ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ნირუპამა რაომა. თუმცა ისიც დასძინა — ველოდებით, რომ პაკისტანი გადაჭრულ ზომებს მიიღებს იმ ტერორისტთა მიმართ, რომლებიც მის ტერიტორიაზე მოქმედებენ ჩვენს წინააღმდეგ.

ეს არის ინდოეთის ოფიციალური პირთა პირველი რეაქცია პაკისტანის პრეზიდენტის ფერეზ მუსარაფის განცხადებაზე — ჩემი ქვეყანა უარყოფითადაა განწყობილი ტერორიზმის გამოვლენის ყველა ფორმის მიმართ. ინდოეთის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ პაკისტანი არა მარტო მორალურად უჭერს მხარს „ქაშმირის თავისუფლებისთვის მებრძოლებს“, არამედ ამარაგებს კიდევ მათ იარაღით, ფინანსებით და სასაზღვრო რაიონებში ტერიტორიასაც უთმობს საწვრთნელი ბანაკებისა და ბაზებისათვის.

დელიში ელიან, რომ პაკისტანი დაბატიმრებს ტერორისტთა ლიდერებს და გააუქმებს მათ საწვრთნელ ბაზებს. პაკისტანის ხელმძღვანელობას გადაეცა იმ ადამიანთა სია, რომელთა ხელი ურევია ტერაქტებში. დელი კარგა ხანია სთხოვს ისლამაბადს ინდოეთის მართლმსაჯულებისთვის მათ გადაცემას, მაგრამ აქამდე ყველა მცდელობა უშედეგოა.

დაძაბულობა დელისა და ისლამაბადს შორის არ ცხრება, საერთაშორისო საზოგადოებრიობა ყველაფერს აკეთებს ინდოეთ-პაკისტანის ახალი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. ამასთან დაკავშირებით, დელიში მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი შიმონ პერსიც ჩავიდა, რომელმაც ინდოეთის ხელისუფლებას სამშვიდობო გზების ძიებისკენ მოუწოდა.

კომენტარი №1

### ბერუსკონი პრეზიდენტი არის და პინოსჩი

ერთ კვირაზე მეტია, რაც ტელემაგნატი მილიარდერი ბერუსკონი არა მარტო იტალიის მთავრობის ხელმძღვანელია, არამედ საგარეო საქმეთა მინისტრიც. ორი თანამდებობის შეთავსების შესახებ გადაწყვეტილება სილივიო ბერუსკონიმ საგარეო საქმეთა მინისტრის, რენატო რუჯეროს გადადგომის შემდეგ მიიღო. რუჯერომ კაბინეტი დატოვა „იქ გამეფებული ანტიეროპული განწყობილების გამო“.



მინისტრის დემარშმა სწორედ ის ეფექტი გამოიწვია, რასაც ელოდა. რაზეც აქამდე ევროპაში ჩურჩულდნენ, ახლა ხმაოდ ლაპარაკობენ პოლიტიკოსებიც, პრესაც და ბრიუსელელი ევროკომისრებიც — იტალია თავის ხელმძღვანელებთან ევროპაში ინტეგრაციას ამუხრუჭებს.

ბერუსკონის ძველი ცოდვები გაუსხენს — სექტორული დამოკიდებულება ევროზე გადასვლის მიმართ, დაპატიმრების ერთიანი ევროპული ორდერის შემოღების წინააღმდეგ გალაშქრება, სოლიდარობის გამოცხადება ამერიკის შეერთებული შტატების მიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან გამოსვლის გამო.

ნ თვის მანძილზე, რაც ხელისუფლების სათავეში იმყოფება, იტალიელმა პრემიერმა მტრები მოიმარაგა.

როცა მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით ევროკავშირში თავის განსაკუთრებულ პოზიციას, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი გამოხატავს, ეს არავის უეჭვრის, მაგრამ იტალია — სხვა საქმეა.

### ბონი ბლეკა ავლანეთი მოინახულა

ტონი ბლერი პირველი უცხოელი ლიდერია, რომელმაც მოინახულა თალიბთა რეჟიმისგან გათავისუფლებული ავღანეთი, თუმცა ბლერი ქაბულში მანძი არ ჩასულა და ქვეყნის დროებითი მთავრობის მეთაური ჰამიდ ყარზაის ბაგრაშის აეროდრომზე შეხვდა. საუბრისას ყარზაიმ რამდენიმეჯერ გაუთქორა — ავღანეთს სჭირდება ძალიან ბევრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში აქაურები არ ენდობიან დასავლეთს და ვაითუ, მორიგი ბინ ლადენი შეიფარონო. „ჩვენ თქვენთან ვართ და აუცი-

ლებლად დავცხადებით“ — აღუთქვა ბლერმა მსოფლიო საზოგადოებრიობის სახელით ავღანელთა ლიდერს. მსოფლიო ბანკის განაგარიშებით, ავღანეთს ნელმი გასამართად, სულ ცოტა, 15 მლრდ დოლარი მინც დასჭირდება. ცხადია, ამხელა თანხას არც ყარზაის და არც სხვა ავღანელ ლიდერს არავინ მისცემს — ძლიერი ფინანსური დახმარების სანაცვლოდ დასავლეთი მოითხოვს ქვეყანაში მათი ჯარების დატოვებას. „ჩვენ აქ დიდხანს დავრჩებით“, — განაცხადა ამერიკელმა სენატორმა ჯოზეფ ლიბერმანმა, რომელიც ბაგრაშის ყოფილ საბჭოთა სამხედრო ბაზაზე ყარზაისთან შესახვედრად ჩავიდა.

ავღანეთის პრემიერთან საუბარში ტონი ბლერმა ისიც დასძინა — 1989 წელს ავღანეთიდან საბჭოთა ჯარის გასვლის შემდეგ მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა ყურადღება შეანულეს ავღანეთში მომხდარი მოვლენების მიმართ და ხელისუფლება თალიბების ხელში აღმოჩნდა. როდესაც საბჭოთა კავშირი ქაბულში ინტერნაციონალური დახმარების მიზნით შევიდა, ჯარი იქ 10 წელი დარჩა, არც აშშ და მისი მოკავშირეები აქაურებთან იქიდან გამოსასვლელად.

ვლასტი №1



### აპერიკელი ყანვილი გეროკისტი-კაშიკაე განდა

15 წლის მოსწავლემ, ჩარლზ ბიშოპმა თვითმფრინავი გაიტაცა და ფლორიდის ქალაქ ტამპას ცათამბავჯის შეეჯახა... პოლიციელებმა, რომლებიც იძიებენ მომხდარს, ქურთუვის ჯიბეში წერილი უპოვეს. ბიშოპი სიმპათიას უცხადებდა და ხოტბას ასხამდა ბინ ლადენს და ინონებდა 11 სექტემბრის ტერაქტს.

ად, მიექციათ მისთვის ყურადღება, რომელიც როგორც ჩანს, ასე აკლდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ორი დღით ადრე ელექტრონული ფოსტით წერილი გაუგზავნა რამდენიმე ნაცნობს — თვალის ადევნეთ ახალ ამბებს.

კომსოზოლსკია პრედა №2

მ თვე სწავლობდა ბიშოპი თვითმფრინავის მართვას სენტ-პიტერზბურგის საფრენოსნო სკოლაში. იმ საბედისწერო დღეს, აეროდრომზე ჩვეულებრივ მივიდა და ინსტრუქტორს უთხრა, ერთმობრობიანი „სუსნი-172“-ის შემოწმება მინდა, საწვრთნელი ფრენა ხომ უნდა ჩავატაროთო. კაბინაში ჩაკეტილმა ჩარლზმა ძრავა ჩართო და აფრინდა. ოცი მილი, რომელიც სენტ-პიტერზბურგს ტამპადად აშორებს, მ წუთში დაფარა. სხვათა შორის, დაუსჯელად გადააფრინა აშშ-ის საჰაერო-სამხედრო ბაზას მაკდილს, საიდანაც ხელმძღვანელობენ ამერიკული ჯარის ოპერაციებს ავღანეთში. სანაპირო დაცვის შეუღლმ-ფრენმა ბიშოპს დედამიწაზე დაუყოვნებლივ დაშვება ანიშნა, მაგრამ მცირეწლოვანმა დამწმენკმ თვითმფრინავი შეაბრუნა და ტამპას 42-სართულიანი ბანკის შენობას „ცხვირით“ შესაკდა. ტარანმა 28-ე სართულს უწია. საბედნიეროდ, ფრთები, რომლებშიც სანაკვანი ავზები მოთავსებული, თვითმფრინავს დასცვივდა და აფეთქება არ მოხდა.

ბიშოპის გარდა არავინ დალუ-ულა. სკოლაში ჩარლზს ახასიათებენ როგორც წყნარ, თავის თავში ჩაკეტილ ბიჭს, იგი დედასთან და ბებიასთან ერთად ცხოვრობდა, ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რომ მამა არაბი ჰყავდა. პოლიცია ვარაუდობს, რომ იგი არააბრი ტერორისტულ ორგანიზაციასთან არ იყო დაკავშირებული. ეს საქციელი კი იმისთვის დასჭირდა, რომ ცოტა ხნით მინც, თუნდაც საკუთარი სიკვდილის ფას-



### ტვე ზოვებეი კუბეი ჩიეზანეს

„ალ-ქაიდას“ დაჯგუფების ბოვიეები და დატყვევებული თალიბები ყანდალარიდან კუბე-ში ამერიკელთა ბაზა გუანტანამოში ჩაიყვანეს. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო სატრანსპორტო თვითმფრინავის ფრენის დროს ბორტზე უსაფრთხოების ყველა ზომა იყო მიღებული. გუანტანამოს ბაზა შემთხვევით არ შეურჩევიათ. ფორმალურად ეს კუბის ტერიტორიაა, რომელიც იჯარით აქვს აღებული შეერთებულ შტატებს, ამიტომაც თალიბები და უსამა ბინ ლადენის მომხრეები ვერ შეძლებენ ავლაციის შეტანას მათ მიმართ გამოხატული განაჩენის წინააღმდეგ, რომელიც ამერიკის კანონების შესაბამისად იქნება გამოტანილი.

სამართალდამცვებმა უკვე გამოხატეს შემფოთება ტყვეთა მიმართ ამერიკელთა დამოკიდებულების გამო. „საერთაშორისო ამინსტიის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დაპატიმრებულიები საგარძლებზე ჰყავდათ დასმულები, ვითომდა ჰიგინის დაცვისთვის წვერიც კი ძალით გაპარსეს და დამანყარებელი საშუალებები გაუკეთეს. წითელი ჯვრის განცხადებით, ეს ორგანიზაცია კუბაში ჩაყვანილ ავღანელებს (სულ 20 ადამიანი) განი-ილავს როგორც სამხედრო ტყვეებს. ამიტომ შენევის კონვენციის შესაბამისად დაცული უნდა იყოს მათი ყველა უფლება და პრივილეგია.



პენტაგონი ირწმუნება, რომ იცავს ყენევის კონვენციას, მაგრამ ბოვიეებს არ მიიჩნევს სამხედრო ტყვეებად. წითელი ჯვრის დელეგაციამ უკვე მოინახულა ავღანეთის ტერიტორიაზე დატყვევებული 5 ათასი ბოვიეები და იმედი გამოთქვა, რომ მათ გუანტანამოს ბაზაშიც შეუშვებენ.

შტერი

### სლობოდან პილოპპინს სსსაპარტოლსტვის ამზადებენ

იუგოსლავიის ექსპრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი, რომელიც ჰააგაში შარშან 29 ივნისს ჩაიყვანეს, მეხუთედ წარდგა საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე. მან კვლავაც განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს და უარს ამბობს ტრიბუნალთან თანამშრომლობაზე. ამის მიუხედავად, ჰააგაში მოსამართლეები ყველა აუცილებელ პროცედურას იცავენ და იუგოსლავიის ყოფილი მეთაურის საქმის მოსმენა დასასრულს უხსლოვდება.

სასამართლო პროცესი 12 თებერვალს დაიწყება. სლობოდან მილოშევიჩს გასამართლებენ 1998-1999 წლებში კოსოვოში ჩადენილი დანაშაულისათვის (ხორვატისა და ბოსნიის ჩადენილი სამხედრო დანაშაულისთვის მას ცალკე გასამართლებენ) კერძოდ, დანაშაულებზე 90 კოსოვოელი ალბანელი განადგურებას და 800 ათასი ადამიანის დეპორტაციის ორგანიზებაში მონაწილეობისთვის. საერთაშორისო ტრიბუნალისთვის მწელი იქნება მილოშევიჩისთვის პირადი დანაშაულის დამტკიცება. მოსამართლეებს მოწმეების იმედი აქვთ, მონვეულია დაახლოებით 100 მოწმე.

ნიუ ზუიქი

### მოკლედ

რუსეთში 86 წლის ასაკში გარდაიცვალა ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი ალექსანდრ პროხოროვი. იგი საბჭოთა ფიზიკოსს მ. ბას-სოვა და ამერიკელ მეცნიერ ჩარლზ ტაუსთან ერთად ლაზერის შემქმნელად ითვლება.

სსსრ-ის პრემიერი მარტ ლაარი თანაპარტილებთან უთანხმოების გამო გადადგა. მისმა მთავრობამ, 1991 წელს ესტონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლების სათავეში ყველაზე დიდხანს დაყო.

ჩინეთში „უსაფუძვლო საბჭოელთა“ უწოდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოხსენებაში მოყვანილ ფრაზას — თითქმის 2015 წლისათვის პეკინი აპირებს თავის ბირთვული არსენალის ოთხჯერ გაზრდას.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ-ს მიმართ განაცხადებით, რომელშიც ნათქვამია, რომ ბირთვული შეიარაღების ფეექტური შემცირება ნიშნავს არა ქობინების შენახვას, არამედ განადგურებას. ამგვარად, ტერორიზმთან ბრძოლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის არ შეიძლება იყოს აზრთა სხვადასხვაობა.

ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს, „ოსკარის“ გადაცემის მორიგი, 74-ე ცერემონიის წარუქვება ცნობილი მსახიობი ვუმი გოლდბერგი, „ოსკარით“ დაჯილდოვდა გაიმართება ლოს-ანჯელესის ახალ თეატრ „კოლდაკში“. პრეტენდენტებს 12 თებერვალს დაასახელებენ.

**ზხალოთ, ეს ჩვენ შეგვიკლია**

ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებდნენ კაცი.

მათ კი ასეთი ფინანსთვის იქნებ არც დაუნყი- იათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუნუნაით და მთავრობის ღანძლავში გართულთ გულ-ხელი არ დაუტყრფავთ.

ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...

**უფროსილდება ვდიდარიც და ღარიბიც**

გამოცანა არ გეგონოთ ეს სათაური — მართლაც არსებობს ისეთი რამ, რაც სიმდიდრით მოყირჭებული კაცისა და ლატაკისთვისაც ერთნაირად ძვირფასია. არ დარჩენილა ამ ქვეყანაზე არავინ, მწერლებისა და პოეტების ჩათვლით, მისთვის საქებარი სიტყვა რომ არ ეთქვა... ეს პური — ჩვენი არსებობის სათავე. არ არის ისეთი სიკეთე, რაც პურს არ მიენერება, მათ შორის, უმცირესზე ახლა გიამბობთ — როგორ იხსნა პურმა ახალგაზრდა ქალი და მისი სამი გოგონა სილატაკისგან...

ერთხელ გლდანში წავედი მეგობრის მოსან-ახულებლად. შინ არ დამიხვდა. კარში წერილი დაეტოვებინა — 3 საათი დამავიანდებო... დაბლა ჩამოვედი და ბაზრისკენ გავიხი. ვი-ფიქვე, ცოტას გავივლი, დროც მალე გავა-მეთქი...

რალაც ვიხურს ჩავუარე, იქვე 8-9 წლის ბავშვი იჯდა პატარა სკამზე. გვერდით დიდი ჩანთა ედო... უნებლიეთ შევჩერდი — გამიკვირ-და, ასე პატარა ამხელა ჩანთას როგორ ასწევს, ალბათ ვილატას ელოდებოდა-მეთქი. ფიქრი არც დამემთავრებინა, რომ ცოტა უფრო მოზრდილი გოგონა მიუახლოვდა, ამ ჩანთიდან 4 პური ამოიღო და ბაზარში გაიქცა. მივხვდი, რომ პურს ყიდდნენ. რომ გამოვბრუნდი, ბავშვი იქ აღარ დამხვდა... ისევ ჩემს მეგობარს ავაკითხე, კვლავ

არ დამიხვდა.

უბრალო ფიცრისაგან გაკეთებულ სკამზე ჩამოვჯექი და ჩავფიქრდი... ამასობაში სადარ-ბაზოდან, ასე 30-35 წლის, გამხდარი ქალი გამოვიდა და მკითხა: ვის ელოდებითო... რალაც-ნაირად ახლობლად ჩავთვალე, საუბარი გავ-აბით: მითხრა — ჩემი მეუღლე ავარიში მოყვა, სამი შვილი დამრჩა, ერთი 16-ის, მეორე 14-ის, მესამე 9 წლისა (სხვათა შორის, მისი მეუღლე ჩემი ახლობლის უმცროსი ძმა აღმოჩნდა, ისიც გავიგე — არც ჩემი ახლობელი ყოფილა დალხინებუ-ლი). პურის გაყიდვით ვირჩნეთ თავსო — გამიგრძელა ქალმა. დღემი 150 ცალ პურს ვყიდით. შინ შუადღეზე ვბრუნდებით, 5 საათ-მდე ვისვენებთ, მერე გავდივართ და 8 საათამდე ისევ ვვაჭრობთ... თურმე ყველაზე დიდი მოგე-ბა 31 დეკემბერს და 1 იანვარს რჩებათ — ამ დღეს 40 თეთრიანი პურიც 1 ლარამდე ღირს (ამიტო-მაც ღამის 11 საათამდე მუშაობენ).

ამას რომ ვწერ, არავინ იფიქროს, პურით ვაჭრობა მომწონდეს, ანდა — ქუჩაში გამოყრილი ბავშვები. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ მადლიანი პური დიდ ვაჭირებულშიც შეგვეწვა და იქნებ მასზე დახარჯული შრომის ფასიც გვესწავლა...

ნიკო გორგი

**ბატონო მოაზროვნებო, ვისაც საკუთარი მცირე ბიზნესისთვის მიგინ-ათ, ან სხვათა წამოწყებას შესწრებინართ, შეგვეხიანეთ.**

**რატომ გაკობრდა Enron-ი?**

ამერიკის ისტორიაში Enron-ის გაკობრება დიდ კორპორაციულ კრახად იქცა. აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო ამ კომპანიის გაკობრების მიზეზების კვლევა Enron-ის მსოფ-ლიოში გაზის, ელექტროენერჯის უდიდესი გამყიდველი და მყიდველი იყო. ამის გარდა ვაჭრობდა ნახშირით, ქალაქით, პლასტმასით და ლითონით. კომპანიამ გაკობრება შარშან დეკემბერში გამოაცხადა. რამდენიმე ათასი ადამიანი უმუშევარი დარჩა.

წლის განმავლობაში მისი აქციების ფასი 85 დოლარიდან 1 დოლარამდე დაეცა. ამბობენ, რომ კომპანიის ხელმძღვანელობის მაღალი ემ-ელონებიდან აქციები დროულად გაყიდეს და მინცდამინც არაფერი უზარალათო. მაგრამ

ფირმის 25-მა ათასმა მომუშავემ მილიარდობით ზარალი ნახა, რადგან ეკრძალებოდათ საპენსიო ანგარიშზე შეტანილი მათი კუთვნილი აქციების გაყიდვა, როცა აქციების ფასმა კლება დაიწყო იუსტიციის სამინისტრომ სპეციალური სამიბო-ჯგუფები შექმნა პიუსტონში (სადაც კომპანიის შტაბბინაა), ნიუ-იორკსა და რამდენიმე სხვა ქალაქში. სამინისტრო სახალხოვდ არ აცხადებს, თუ რას იძიებს, მაგრამ როგორც ჩანს, ლაპარ-აკია „შავ ბუღალტერიაზე“, რომლის საშუ-ალებითაც კომპანიის ფინანსურ პრობლემებს ინვესტორებს უმალავენენ. Enron-ის ხელმძღ-ანელობამ აღიარა, რომ ოთხი წლის განმავლო-ბაში აყალბებდა მონაცემებს მოგების თაობაზე.

ბი-ბი-სი

**ჯორჯ ბუზი დეფინიტივი ბიუჯეტს იხაზს**

ამერიკის შვერტებული შტატების პრეზი-დენტმა განაცხადა, რომ ქვეყანაში ბიუჯეტის დეფიციტი გამართლებული იქნება მანამ, სანამ ქვეყანა ანარმობს ომს ტერორისტებთან. ბუშ-მა ამერიკელებს გაახსენა, რომ ამერიკის შვერტე-ბულ შტატებს შეუძლია ბიუჯეტის დეფიციტის დაშვება ომთან, საერთოეროვნულ საგანგებო მდგომარეობასა და ეკონომიკის დაცემასთან დაკავშირებით, ქვეყანა კი ახლა ერთდროულად ამ სამივე მდგომარეობაში იმყოფებაო. როგორც ჩანს, ამერიკის შვერტებული შტატების პრეზი-დენტმა გადამწყვიტა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, დაიცვას თავისი ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც როგორც ირკვევა კონგრესის წინა-

საარჩევნო კამპანიის ცენტრალური თემა გახდე-ბა. დემოკრატები საველით უჭერენ მხარს ბუშს ტერორიზმთან ბრძოლაში, მაგრამ ეკონომიკურ დარგში მის პოზიციას არ იზიარებენ. ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ 1995 წლის შემდეგ უმუშევრობამ ქვეყანაში რეკორდულ ციფრს მიაღწია — 5,8%-ს. დაბალანსებული ბიუჯე-ტი კლინტონის ადმინისტრაციის საჯილდოო ქვა იყო, ჯორჯ ბუში კი მის დეფიციტს გამართლებულად მიიჩნევს. იგი კვლავ იმეო-რებს, გადასახადების მომატებამ ქვეყანას კატას-ტროფას მოუტანაო.

ინტერფაქსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 12 იანვრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	2,1950
გერმანული მარკა	0,0012
ინგლ. გირვანქა სტერლინგი	3,1654
ევრო	1,9582
რუსული რუბლი	0,0720
თურქული ლირა (10.000)	0,0160

**საუკეთესო ასლგაფალები**

**პაპრაბები**

გარანტიით, ფასდაკლებით

შესაძლებელია: **განაწილება**

**ლიზინგი (იჯარა)**

თბილისი, აღმაშენებლის 89/1, მობარდ მაყურებელი თეატრი, ყოფ. შენობის ქუჩის მხრიდან. ტ: 96 32 89

**საუკეთესო ქსაროსლები**

**შპს-თეთრი**

2 თათრიდან 5 თათრამდე ტირაჟის და ქალაქის მიხედვით

**შეკალი — 1 ლარი**

შეკალი და შპს-თეთრი ქსაროსლებში გაქვას კომპიუტერული

**«უროზანის» თვის მოვლის ინსტიტუტი**

1. თვის სხვისგან მკურნალობა მასა-ჟით, კრეაბით, მხანარაული ნაყანით;

2. მკიკიანი, სისხლმდენი ღრკილების მკურნალობა მხანარაული ექსტრაქტებით.

ჭავჭავაძის №5 (ვაკის ლერკომბინატი) „შეწვენიერებ-ის ცენტრი“ ☎ 25-00-74 10-18 სთ. კვირის გარდა

აწარმოებს **გარკით**

**საშაოაოაას**

სასეაი და **ბაქიქარი**

**წყლის**

**ვისადაბად**

მის: პაპრის ქ. №8 (საოკრის სასახლის შანი, მთ. 118 ტ: 33-26-75; 38-24-02

**ბეჭდები, შტამპები, ფლაქსობრაფიული ფორმა, საპიჩიბო ბარათები, ნაბოქანი ექიქაქაბი**

გამსახურდას 17\* (შესასვლე-ლი საბურთალოს ქუჩიდან) ☎ 23 26 25; 38 34 17

**„შატისას სულო“ ხალხურია... „შატისას სულო“? — გთხოვთ განგვიმარტოთ, ვინ არის ავტორი ლექსისა „შატისას სულო“?**

**მკითხველი**

— „შატისას სულო“ ხეგსურული სატრფიალო ლირიკის ნიმუშია. ბუნებრივია, ლექსიც და მელოდიაც ხალხურია. მუსიკა ალადაგინა იური გოგოლაურმა (ანსამბლ „ერისიონის“ ორკესტრის ხელმძღვანელმა).

განმარტებული კლიპისთვის „შატისას სულოს“ შერჩევა მოხდა უცხოელი სპონსორების მიერ, რომელთა აზრითაც იგი ძალზე შემართული და ვაჟკაცური სულისკვეთებისაა.

**დაჩი გრძელიშვილი**

**თუ უცხოელს საქართველოს მოქალაქეობა სურს... — რა დროის განმავლობაში შეუძლია უცხოელ მოქალაქეს, სახელ-დობრ თურქს, მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა და რა პირობებთან არის ეს დაკავშირებული?**

**ი. გიორგაძე, ზესტაფონი**

— ამ შემთხვევაში ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს. პიროვნება, რომელსაც სურს საქართველოს მოქალაქეობის მიღება, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: ცხოვრობდეს საქართველოში უკანასკნელი 10 წელი, ჰქონდეს უძრავი ქონება ან სამუშაო ადგილი, იცნობდეს საქართველოს კონსტიტუციას, იცოდეს ქართული ენა და საქართველოს ისტორია (აღნიშნულის შემონახვის მიზნით გაიაროს სპეციალური ტესტირება). საქართველოს მოქალაქეზე დაქორ-წინების შემთხვევაში კი, უნდა ცხოვრობდეს საქართველოში ბოლო 3 წლის მანძილზე და აკმაყოფილებდეს ზემოხსენებულ პირობებს.

**ვინ უფრო მშობარაა? — სზირად ვაკამათობთ სოლმე, ვინ უფრო მშობარაა — ქალი თუ მამაკაცი. იქნებ თქვენ გვიპასუხოთ ამ კითხვაზე?**

**სტუდენტთა ჯგუფი**

ვინ უფრო მშობარაა — ქალი თუ მამაკაცი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად არა მარტო უნივერსიტეტები, არამედ სამხედრო და კოსმოსური დაწესებულებებიც მუშაობენ. შიში მამაკაცზე ბატონობს და ქალზეც. თუმცა კი არის მთელი რიგი სხვაობა, რომელიც პროცენტულად შემდეგნაირად გამოიყურება:

მამაკაცებს უფრო ეშინიათ ტკივილის, ვიდრე ქალებს: 72% 30%-ის წინააღმდეგ; ნამება სუსტ სქესზე ნაკლებ ეფექტს იძლევა, მაგრამ ქალს გაცილებით იოლად იმორჩილებენ ყვირილით, შიშილით, უძილობით; სისხლის დანახვა უფრო კაცებს აფრთხობთ, ვიდრე ქალებს (65% : 35%); კაცებს მეტად ეშინიათ უფროსების (60% : 37%) და რა საოცარიც უნდა იყოს, სტიქიური მოვლენების — სეტყვის, მიწისძვრის (42% : 31%); სამაგიეროდ, როცა საქმე ეხება სიმაღლეს და სიჩქარეს, უპირატესობა კაცების მხარეზეა. ეს ფაქტი აშინებს ქალებს 82%-ს, კაცების 23%-ს; თავგების, ობოლების, გველების, ყვავების და ტარაკანებისა — 89% ქალს და 35% მამაკაცს ეშინია; მისტიკური საგნებისა ორივე სქესს ერთნაირად ეშინია; თვალისცემა და ასტროპროგნოზი აფრთხობს ქალებს 60%-ს და მამაკაცების 56%-ს.

მეგაპოლის-ექსპრესის მიხედვით.

**წითელი ღვინის... აბები**

— ამბობენ, წითელი ღვინო თეთრზე სასარგებლოაო. თურმე უცხო-ეთში წითელი ღვინის აბებსაც კი ამზადებენ. მართალია თუ არა ეს? ნ.დ.

— ფრანგულმა ფარმაკოლოგიურმა კომპანია SFD-მ ნატურალური წითელი ღვინის აბები დაამზადა. აბებიდან გამოდენილია ყველა უსარგებლო ნივთიერება, მათ შორის ალკოჰოლი. პრეპარატი უკვე იყიდება საფრანგეთის, იაპონიისა და ამერიკის აფთიაქებში. ექიმები ამ აბების მიღებას ურჩევენ მათ, ვისაც ანუხებს სტენოკარდია (ღრბიერი დაღლილობით გამოწვეული გულის ტკივილი). იგი სასარგებლოა ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდე-ვართათვის.

„ზღოროციეს“ მიხედვით

**მემკვიდრეებს წილი თანაბრად ეკუთვნით...**

— **გარდაცვლილი მამის ანდერძი დედამ ჩემი ძმის შიშით გაანად-გურა. დღეს აღარ მყავს არც დედა, არც ძმა და აღარც ანდერძი არსებობს. მეკუთვნის თუ არა მამის ანუწებულ კერძო ბინაში (რომელ-საც ძმისშვილი დაეპატრონა) წილი და რა პროცენტით?**

**ნანუელი ინასარიძე**

— თქვენ ითვლებით თქვენი მშობლების კანონისმიერ მემკვიდრედ, ამიტომ გეკუთვნით მამის დანატოვარი ქონების ნახევარი, მეორე ნახევარი ეკუთვნოდა თქვენს ძმას, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ — მის შვილს.

**გაუცემელი ხელფასების ანაზღაურება სადავოა**

— **სენაკის ყოფილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტი ლიკვი-დირებულ იქნა 2000 წლის 1 ივნისს. აუნაზღაურებელი დარჩა 3 წლის ხელფასები და 2 თვის კომპენსაცია. რამდენად კანონიერია ჩვენი მოთხოვნა ხელფასებისა და კომპენსაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით და ვინ უნდა მიემართოთ ამ პრობლემის გადასაწყვეტად?**

**აღნიშნული დეპარტამენტის თანამშრომლები**

— თქვენი მოთხოვნა კანონიერია. სახელმწიფოში შექმნილი ეკონომიკური პრობლემების გამო გაუცემელი ხელფასების ანაზღაურება დროებით ფერხდება. თქვენი საკითხი გადასან-ყვეტად უნდა გადასცემოდ ფინანსთა სამინისტროს. ამასთანავე შეგიძლიათ მიმართოთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის დავების მარეგუ-ლირებულ სამმართველოს.

**მოცუეების უფლებებს სასამართლო იცავს**

— **გავიდე ბინა და ვიყიდე სხვა ადგილას, რომელიც რძალმა გაიფორმა თავის სახელზე. მე კი რძალი და შვილი დამპირდა, რომ ბინას მიყიდდნენ ცალკე შემდეგ ვიყიდეთ გვერდით მეორე ბინაც, რომელიც რძალმა შეიერთა პირველთან. ბინაში ჩანერილია ჩემი შვილი და ორი შვილიშვილი. ცოლ-ქმრის უთანხმოების საფუძველზე ჩემი შვილი წავიდა სახლიდან, რძალმა მეც გამომადგო. დაფრწი მოტყუებული — ახლა არც ჩანერილი ვარ სადმე და არც ბინა მაქვს. მეკუთვნის თუ არა რძლის ნებართვის გარეშე ჩავეწერო ჩემს ნაყიდ ბინაში შვილთან ერთად?**

**ე. ლომთათიძე**

— რადგანაც ბინა წარმოადგენს ცოლ-ქმრის თანასაკუთრებას, თქვენს შვილს უფლება აქვს მოითხოვოს ბინიდან წილი. ხოლო თქვენ რძლის ნებართვის გარეშე გაგიჭირდებათ ბინაში ჩანერა, ვინაიდან იგი ამ ბინის მესაკუთრეა. თქვენს შემთხვევაში, რადგანაც თავს მოტყუებულად თვლით, საკუთარი უფლებების დასაცავად შეგიძლიათ მიმართოთ სარჩელით სასამართლოს.

იურიდიული ფირმის დირექტორი მედეა დემეტრაშვილი

**თარაზულად:**




5 მსაჯის „იარაღი“



6 შესამკობი ნივთი (ზოგადად)



9 ქანდაკება, რომელსაც ვითომდა ეგრძნობა ჭერი



10 ქვეყნის სამხედრო დაზვერვა



11 მაგმის ამოფრქვევა დედამიწის ზედაპირზე



15 პიესის ავტორი



17 თავაშვებული ღრეობა



18 ქოქოსის მკვრივი ნაწილი, იყენებენ საკონდიტრო წარმოებაში



19

ძველი უბანი თბილისში აბანოთუბანსა და ორთაქალას შორის



20 ფერადი მინით შექმნილი გამოსახულება



24 სპორტული თამაში




25 პიროვნებისთვის დამახასიათებელი ჩაცმულობა



26 ფაქიზად შესრულებული პატარა მოხატულობა



29



32 საუზმის დროს თავშესაქცევი



33 ბეკენბაუერის პატივსაცემი სახელი



34 8ე-17 საუკუნის ფლამანდიელი ფერმწერი



35 აბრეშუმით გაწვობილი შავი მადის პიჯაკი

**შვეულად:**



1 პაერში გაფანტული ფხვიერი მასა




2 პირენეის უმაღლესი მწვერვალი



3 საზეიმო წვეულება, დარბაზობა




4 უცხოურად „მარიხუანა“, ჩვენში —?



5 მექსიკური ქუდი




7 საავტომობილო რბოლები (1909 წლიდან), პოპულარული აშშ-ში და მის ფარგლებს გარეთაც



8 მშობლიური სოფელი



16 ბენჯის საველო




28 18476. დაარსებული მსოფლიოში წამყვანი ფრანგული საიუველირო ფირმა




12 საფრანგეთის ისტორიული ოლქი, ცნობილი განთქმული ღვინოებით ადიუმას „სამი მუშვეტერიდან“



21 სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში



30 კომპოზიტორის მიერ 1923წ. შექმნილი ოპერა



22 საკურთხევის ტახტი ეკლესიაში



13 შემთხვევითი წარმატების იმედით წამოწვებული საქმე



23 თამასა, რომელიც გასდევს კედელს იატაკის გადაკვეთასთან



31 კარგად ნაცნობი ძველი ...



14 ციგით თოვლზე სრიალი



27 ორგზის ოსკარის ლაურეატი

**კრუსორი შეადგინა რამაზ ალანიამ**

„ვირის პალიტრა“ №1 კრუსორის პასუხები: თარაზულად: 5. წვეულება; 6. გობელენი; 9. პლეიერი; 10. ანკური; 11. „შტერნი“; 15. მარცხი; 17. „დიორი“; 18. არესი; 19. ზამთარი; 20. მარხილი; 24. ჰოლენი; 25. სკალა; 26. ანტონიონი; 29. სტარტი; 32. ჯანეტი; 33. პარკეტი; 34. არაბესკი; 35. კლარნეტი. **შვეულად:** 1. რუმორი; 2. აბელი; 3. კობრა; 4. ფლირტი; 5. წურწურია; 7. ილინოისი; 8. ვიოლინი; 12. მანდარინი; 13. ანდერსენი; 14. არიადნე; 16. ბრელოკი; 21. დონატელა; 22. კონიაკი; 23. კლინტონი; 27. სტამბა; 28. გაბენი; 30. პარკი; 31. ატოლი.

დღეს დასავლელი წიგნის მოყვარულნი ყველაზე დიდი ინტერესით შედიან **ჰენრი მანკელის** ნაწარმოებებს კითხულობენ. მისი პოლიტიკური დეტექტივები ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი დინამიკური, დაძაბული თხრობით და სოციალური კრიტიკით გამოირჩევა. მათ საფუძვლად რეალური მოვლენები უდევს და მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის შედეგად, მოვლენების შემდგომი განვითარების პროგნოზსაც აკეთებს. 1998 წელს გამოცემულ თავის ბოლო რომანში „ბრანდბურგი“ („სანტარსანიალმდეგო კედელი“) მწერალმა გლობალური ტერაქტი ინიციატორების შესახებ დაწვრილებულა.

**ვიცოდი, ეს უნდა მომხდარიყო**

ისე ცხადად მასსოვს ის შემთხვევა, თითქოს გუშინ გადამხდენოდა თავს: 1971 წლის ზაფხულს დასაწყისშია. მიუნხენის სადგურში სკამზე ვხვდარ. 23 წლის ვარ და ჩემი პირველი პიესა სცენაზე უკვე დიდდა. იტალიაში მივემგზავრები. მოულოდნელად სამოქალაქო სამოსიანმა შეიარაღებულმა პოლიციელებმა ალყაში მომაქციეს. პასპორტს ფრთხილად ვაძრობ. მერე გავიგე, რომ თურმე ძალიან ვგავდი ერთ აღმოსავლეთგერმანულ ტერორისტს.

**გაბილონის გოდოლი და სასონაკობილი „აობიპლაბი“**

**მსოფლიოს ინგლექტუალთა აზრი ორად არის გაყოფილი**



მითითებას არ ასრულებდნენ. ეს რეალობა იყო, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ეკრანზე გათამაშებულ ტრაგედია ჩემი გაკვირვება არ გამოუწვევია: ხომ გითხარით, ვიცოდი, რომ ეს უნდა მომხდარიყო.

**„ჩვენ ყველაზე დიდები, უკეთესები და, ამდენად, მართალნი ვართ...“**

1961 წელს 13 წლის ვიყავი. სწორედ ცხოვრების ამ ფაზაში შემეძინა პირველი წარმოდგენა ამ სამყაროზე. ერთგვარი მონახაზი იმ სურათისა, რასაც დღეს სინამდვილეში წარმოადგენს მსოფლიო და რომ მე ამ უსამართლო მსოფლიოს პრივილეგიურულ ნახევარში ვცხოვრობ. ეს ქვეყანა მე ორ უზარმაზარ კონტინენტად მესატყობდა, რომლებიც ოკეანეში მიცურავდნენ და ერთმანეთს შორდებოდნენ.

მას შემდეგ 40 წელი გავიდა და დღესაც მსოფლიო ორად არის გაყოფილი — მდიდრებად და ღარიბებად. სტატისტიკა მაძლევს უფლებას ვთქვა: დროთა განმავლობაში მქონეთა და არამქონეთა შორის უფსკრული უფრო და უფრო ღრმავდება. ამქვეყნად დღეს უფრო მეტი ლაჭაკია, ვიდრე 40 წლის წინ. და რატომ მაინცდამაინც ასეა შეასკდნენ თვითმფრინავები კომპებს? ამ კითხვაზე არსებობს მხოლოდ ერთი პასუხი, რომლის გაგონებისასაც ბევრს ემინია, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა ითქვას:


საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ მსოფლიოში პევიმონობა ამერიკას დარჩა. ჩინეთი ჯერჯერობით მსხვერპლის მომლოდინე მტაცებელივით განახულა და გარემოს ზვერაგვს. აზიური მოთმინება ამერიკულ მოუთმინლობას უპირისპირდება. აშშ-ის მმართველებს ხშირად ისტორიული პერსპექტივის განჭვრეტის უნარი აკლიათ. ამერიკელის ცნობიერებაში მტკიცედ არის დამკვიდრებული აზრი: ჩვენ ყველაზე დიდები, უკეთესები და ამდენად ყოველთვის მართლები ვართ. ქედმაღლობა მათ არ აძლევს იმის ნებას, რომ აღიარონ, ამქვეყნად ყველა ხალხი თანაბარია, აქვე იგივე უფლებები, რაც ამერიკელებს: დაიცვას საკუთარი მიზანწყალი, როცა მტერი სახლში ტანჯებით გიგარდება. რატომ ვყვირს ოსამა ბინ ლადენი იქნება თუ ვინმე სხვა, ახლა მე გადავიფიქრო მოქმედებაზე.

**ავღანეთი — კრახანების ბუდე**

ახლა ავღანეთში ზამთარია. თალიბები თავიანთ მიწურუბში სხედან, სასონარკვეთილი ლტოლვილების ნაკადს კი ბოლო არ უჩანს. მათი

ყოფნა-არყოფნა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. პოლიტიკური ძებნი — ბუში და ბლერი ქვეყანაში ქვეითთა დიდი არმიის შეყვანას გეგმავენ, იმ მინისქვეშეთში საომრად, სადაც თვითმფრინავები უძღურნი არიან. გერმანიასაც უკვე მზად ჰყავს არმია.

შედი მწერალი ჟან მირდალი, რომელმაც 50-იან წლებში მთელი ავღანეთი მოიარა და ავღანეთისა და იმპერალისტური დასავლეთის ურთიერთობაში შესანიშნავად ერკვევა, წერს: „დარწმუნებული ვარ, რომ მომავლის შემატანე ავღანეთის ომს აშშ-ის ჰეგემონობის დასასრულის დასაწყისს უწოდებს“. ჩემი აზრით, მირდა-



ლი მართალია. ხშირად ვკითხები საკუთარ თავს, რატომ არის რომ აშშ-ში გადაწყვეტილებებს ნაკლებად გაცნობიერებული ხალხი იღებს ხოლმე? რატომ ვერ ხვდებიან, რომ ავღანეთში შესვლა იგივე იქნება, რაც კრახანების ბუდეში ხელის შეყოფა?

თავის დროზე ავღანეთში ბრიტანეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა დამარცხდა.

1980-იან წლებში ავღანეთს შეენიარა საბჭოთა იმპერიის ავტორიტეტი და სიძლიერე. ახლა ისმება კითხვა, აშშ-იც ავღანეთის ქვაღორღიან მთებში ხომ არ მოვეებს თავის ჯვარს? თუ გაიმარჯვებს გონიერება, რომელიც გვეუბნება, რომ კიდევ ბევრი კოშკი დაინგრევა, რომ მომავალ ტერორისტულ აქციებს ათასები კი არა, მილიონები შეენიერებინ — თუკი დასავლეთი საკუთარი თავს თვითკრიტიკულად არ შეხედავს და ჩვენ, ყველანი, სერიოზულად არ დავსვათ კითხვებს, რომლებზეც პასუხის გაცემას უკვე რახანია თავს ვარიდებთ, თუ არ შევევითხებით ჩვენს თავს, რატომ არის, რომ ევროპელები წუთიერი დუმილით მხოლოდ ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში ტერაქტის დროს დაღუპულებს მიაგებენ პატივს?

**წუთიერ დუმილი არ გმონაწილეობ**

მომხდარმა ისევე შემადრწუნა, როგორ ყველა სხვა. მინდა დამნაშავენი დაპატიმრონ და საკადრისად დასაჯონ, მაგრამ წუთიერ დუმილში არ ვმონაწილეობ. მე რომ ეს გამეკეთებინა, ანუ წუთით ნაციონალიზმა გამომეცვალა და ამერიკელი გაუმხდარიყავი, მაშინ ამ დიდი პირფერობის თანამონაწილე გახდებოდი. და ამ წუთიერ დუმილში მონაწილეობა რომ მიმელო, მაშინ მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში მდუმარედ და თავდახრილი აქ უნდა ვმდგარიყავი. განა ვინმემ სცა პატივი წუთიერი დუმილით შეცურად დახოცო პალესტინელებს ან თანაურებო ლტოლვილებს, ბანაკებში ძალღერ ცხოვრებას რომ ეწევიან? ვინ ფიქრობს სანქციების დროს დაღუპულ ერაყელ ბავშვებზე ან იმ პატარებზე, ავღანეთში რომ მოშლილობენ?

დღეს მსოფლიოში ერთადერთი პრობლემა არსებობს: სიღარიბე, სწრაფად მზარდი სიღარიბე. ისინი ამ პლანეტის სხვადასხვა მხარეს დგანან და უფსკრული მათ შორის ელვის სისწრაფით ღრმავდება. მოხდება ისე, რომ ერთმანეთს მალე ვეღარ დაეხვებიან. სწორედ ეს სიტუაცია — ერთი მუჭა მდიდრების და ღარიბების უსახური დიდი მასის არსებობა, არის მშობელი ტერორიზმისა.

დღევანდელ მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობა 1789 წლის საფრანგეთის მაგონებს. იქ, მაშინ აფეთქება ორმა ფაქტორმა გამოიწვია: პლუბსის უკიდურესმა სიღარიბემ და დიდგვაროვნთა ქედმაღლობამ. ამბიციებით შეყვრობილი მდიდართა კლასმა სწორედ ვერ შეაფასა მოვლენების სერიოზულობა.

დღეს კი, როგორც არასოდეს, აუცილებელია მსოფლიო ერთ თვალსაზრისზე დადგეს, შეიმუშაოს სიღარიბის დაძლევის ერთიანი სამოქმედო გეგმა. ეს შეამცირებს ანარქისტული ტერორიზმის მიზიდულობის ძალას. სხვა ალტერნატივას მე ვერ ვხედავ. ოსამა ბინ ლადენი ჯერ დაჭრილი არ არის, შეიძლება ლოკალიზებულია. გარდა ამისა, არ არსებობს საშიხლები, რომ ამ აფეთქებაში მას ბრალი ნამდვილად მიუძღვის. აშშ-ის მიერ შექმნილი კოალიცია მყარი არ არის და დაბომბვები რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება, მით უფრო დასუსტდება.

**ვინ გამოიწვინს გონიერებას?**

30 წლის წინ მიუნხენის ცენტრალურ სადგურში სკამზე ვიჯექი. იქ ნერვიულმა პოლიციელებმა ტერორისტად ჩამთვალეს და ალყაში მომაქციეს. იმ სკამზე დღეს არა მარტო მე ვხივარ. ღარიბთა უზარმაზარი არმია არის პოტენციური ტერორისტი და როცა ხდება ასეთი ტერორისტული აქტი, ჩვენც ვიღებთ იარაღს და ვესვრით არა მარტო დამნაშავეს, არამედ ბევრ უდანაშაულოსაც, მთელ ერებს. ამით ჩვენ ჰუმანიზმის ბოლო ბარიკადს ვანგრევთ. ერთადერთი ინსტრუმენტი კი, რომელსაც ამ დროს უნდა შევმართოთ, არის გონიერება. იგი გვკარნახობს, რომ მხოლოდ დიპლომატი, სიღარიბის დაძლევის შეიძლება ტერორიზმის აღმოფხვრა.

რალა თქმა უნდა, 11 სექტემბრის ტერაქტის მომწყობანი უნდა დაისაჯონ. მე არ ვაყენებ კითხვას: ვის ქვეშ აშშ-ის უფლებას, დაცვას თავი, მაგრამ ვისაც ავღანელი ხალხის უფლებასაც, არ იქნას მათი სამშობლო მინასთან გასწორებული და ბოლოს მუდმივ კითხვა: ვინ გამოიწვინს გონიერებას? ჯერჯერობით არაფერი არ არის გადაწყვეტილი. მაგრამ ვერ კიდევ არ არის გვიან.

სტერნი №47



**დაიანაც — ბინ ლადენმა?..**

მოჰამედ ალ ფაიედის მძლოლი, რომელიც ადრე ბევრ ცნობილ პირსა და სახელმწიფო მოღვაწეს ემსახურებოდა, ამ მხრივ საუკეთესო კანდიდატურა იყო ინფორმატორობისათვის. „ალ-ჰაიდას“ ერთ-მა ჯარისკაცმა, რომელიც პარიზში ამერიკის საელჩოს აფეთქების წარუმატებელი მცდელობისათვის დააპატიეს, დაიარა: „გადაწყდა პრინცესა დაიანას და დოდის (მოჰამედ ალ ფაიედის ვაჟის) ლიკვიდირება... დოდი ალ ფაიედის სიკვდილი იმის დასტურის უნდა ყოფილიყო, რომ ექსტრემისტები არაფერს უწევდნენ ანგარიშს, თუნდაც წარჩინებულ გვარიშვილობას.“

ფრანგული დახვეწის საბუთების შესწავლის შემდეგ ასეთი სურათი გამოიკვეთა: ანრი პოლი მხოლოდ და მხოლოდ ინფორმატორი აღმოჩნდა, მაგრამ მკვლელობის ლამეს დათვრეს და მანქანის სავალი ნაწილიც დაუზიანეს. მძლოლი, როგორც ვიცით, დიდი სისწრაფით მიქროდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მას უკან „ალ-ჰაიდას“ წევრები მისდევდნენ. გვირაბში ანრი პოლი შემხვედრის მანქანის ფარებით დააბრმავეს...“

პრინცესა დაიანას შვილები — უილიამი და ჰარი ამ ვერსიის გამოძიებას ითხოვენ და იმედოვნებენ, თუკი მოვლენები სწორედ ამგვარად განვითარდა, დამნაშავენი ვერსად წაუვლენ მართლმსაჯულებას...  
**გლობე**

**ვის ეჭვთვინს ცერმინი „უშაღსცუხილ“**



ბეგრის ჰგონია, რომ ტერმინი, „უშაღსცუხილ“, პოლიტიკაში ელცინის შემოტანა ილია. მაგრამ ეს ასე არ ყოფილა, იგი ხრუშჩოვს უხანია და პრაქტიკულადაც განუხორციელებია. პელსინგო ვიზიტის დროს, რუსული აბანოს დიდმა მოყვარულმა ნიკიტა ხრუშჩოვმა გადაწყვიტა ფინური აბანოს ფონაქულებაც. ფინეთიდან დაბრუნებულ ქვეყნის მეთაურს სამინილი აურზაურით შეხვდნენ. ცკ-ის წევრები აღმფრთხილები იყვნენ ამ ფაქტით. მათ მიანდათ, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს მეთაურთან ერთად ბანაობა (თუნდაც ეს სახელმწიფო მეგობრული ყოფილიყო), დაუშვებელია კომუნისტისათვის.

ამ „სერიოზული“ საკითხის განხილვას ცენტრალური კომიტეტის სხდომა მიუძღვნა. სტალინის ერთგულმა თანამებრძოლმა ვიანესლავ მოლოტოვმა გადაწყვიტა, ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა და მისსხანე სიტყვით გამოვიდა, ლამის უზნოც კი უწოდა ხრუშჩოვის ქვეყას. ხრუშჩოვი მაშინ გაჩუმდა და სცადა, ხუმრობით შეერბილებინა რისხვა. სულ მალე კი ხრუშჩოვმა მოლოტოვი პირველი შესაძლებლობისთანავე გამოიყვანა ცკ-ის შემადგენლობიდან.

ნიკიტა ყველაზე კოლორიტული ფიგურა იყო მმართველთა შორის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დღემდე ასსოვთ, თუ როგორ გაიხადა საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა ფესსაცმელი და ტრიბუნისა უბრაზუნა იმპერიალიზმის ლანძღვა-გინებით. ხრუშჩოვმა განაცვიფრა დამსწრნი სუფრასთან ქვეყის წესების უცოდინრობითაც. მას მთარამედნენ საუკეთესო, რჩელე დღივობებს, მაგრამ იგი უპირატესობას ყოველთვის „სამოგონს“ აძლევდა. ვიდელ კასტროსთან სტუმრობისას კუბელების „სამოგონის“ რეცეპტი მოითხოვა.

ოგონიოკი №2



8 იანვარს მოხდა ის, რაც ლოგიკურად უნდა მომხდარიყო კიდევ: პრემიერლიგის „დერბი ქაუნთის“ ოფიციალური განცხადებით კიდევ ერთხელ დასწყვიტა გული ქართველ გულშემატკივრებს, რადგანაც გიორგი ქიქელაძე ტრანსფერზე დააყენა.

„დერბის“ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია გიორგი ქიქელაძის გაყიდვა კლუბში იმ მიზნით გადაწყვიტა, რომ ბენიტო კარბონესთან სრულყოფილი კონტრაქტი გააფორმოს. ეს ინფორმაცია თავდაპირველად ცნობილმა ყვითელმა გაზეთმა, „სანამ“ გააფრთხილა. საქმე ისაა, რომ ერთ კვირაში კარბონეს „დერბიში“ განათხოვრების ვადა ეწურება. „დერბის“ კარბონესთან კონტრაქტის გასაფორმებლად 1,5 მილიონი ფუნტი სჭირდება და სწორედ ამ თანხის საფასურად აპირებს უახლოეს ერთ კვირაში ქართველი ფეხბურთელის გაყიდვას.

ყველაფრის თავიდათავე „დერბის“ მიერ ინგლისის თასის მესამე წრეში მესამე დივიზიონის კლუბ „ბრისტოლთან“ საშინაო წაგება შეიქნა — 1:3. „დერბის“ მწვრთნელმა, კოლინ ტოდმა რატომღაც ჯოხი გიორგი ქიქელაძეზე გადატეხა, თუმცა გიორგის ამ მატჩში არც უთამაშია (?). მიუხედავად ამისა, მატჩის შემდეგ ტოდმა ქიქელაძეს განუცხადა, რომ ამერიკიდან თავის გემებში ქართველ ფეხბურთელს აღარ განიხილავდა.

გიორგისთვის მწვრთნელის ნათქვამი მოულოდნელი არ ყოფილა. ფაქტი ერთია, რომ ისედაც ჩამორჩენილ „დერბის“ ტოდის მწვრთნელად დანიშნის შემდეგ არაფერი ეშველა, ეს კაცი წარუმატებლობის მიზეზს ფეხბურთელზე ეტებს. სწორედ ეს ადარდებს გიორგის და ძველ მწვრთნელს მისტირებს:

— როდესაც ჯიმ სმიტი „დერბიდან“ გაუშვეს, ისე ჩამყვდა გული, თითქოს მამა დამეკარგოს. ამ კაცმა დამაბრუნა ინგლისში და ჩემი უზომოდ სჯეროდა. ვერ წარმოიდგენო, რა იმედგაცრუებული დავარ, როდესაც სმიტმა სამუშაო დაკარგა. თუმცა, მაინც გულმოდგინედ ვმეჯდებოდა გიორგის და ძველ მწვრთნელს მისტირებს:

რა გახდა ამის მიზეზი? „დერბი ქაუნთის“ ერთ-ერთ ინტერესსაიტში გარკვევითაა ნათქვამი, რომ ქიქელაძე იყო 2001 წლის ყველაზე დიდი იმედგაცრუება იქვე ისიც, თითქოს ჯიმ სმიტმაც ბოლოს გული აიყარა ქართველზე. თუმცა, გიორგი თვლის, რომ ეს ასე არ ყოფილა:

— სმიტი რომ მენდობოდა, იმიტომაც დამყვდა გული მის წასვლაზე. მე მზად ვიყავი, ნებისმიერ დროს შეთანხმებ, მაგრამ ამის საშუალება ახალ მწვრთნელს არ მოუცია. საუკეთესო ფორმაშიც რომ ვყოფილიყავი, დარწმუნებული ვარ, მაინც არ მათამაშებდა. ამიტომაც ჩემი მდგომარეობა აუტანელი გახდა. დასაბამი რა არის — ძალიანაც მიხარია, რომ ტრანსფერზე დამაყენეს.

ეს გახლდათ ოფიციალური ინფორმაცია, მაგრამ „კვირის პალიტრა“ სცადა უფრო ვრცლად გასაუბრებოდა გიორგის, ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად.

# ქიქელაძე „დერბის“ გაყვარა

ცია, მაგრამ „კვირის პალიტრა“ სცადა უფრო ვრცლად გასაუბრებოდა გიორგის, ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად.

— გიორგი, ისეთი კმაყოფილებით თქვი, ტრანსფერზე დაყენება მიხარიაო, რომ ამასი ეტებს ვერ შეიტანი. იქნებ დაახუსტო, რითაა შენი კმაყოფილება გამომწვეული.

— ამოვიხსენებ. ახლა დანამდვილებით ვიცი, რომ ახალი კლუბი უნდა მოვქეზო. თითქმის ორი წელი გავიტანე, მაგრამ ტოდმა საერთოდ დამიკარგა ხალისი. ვერაფრით მივხვდი, რა უნდოდა. „ბრისტოლთან“ მატჩის შემდეგ ჩემი ტრანსფერზე დაყენების გადაწყვეტილება რომ მამცნო, გულიანად გავიციე — კაცი შარზე იყო და სერიოზულად როგორ უნდა მიმელო ეს ამბავი.

— კი მაგრამ, რატომ დაგჩაგრა ტოდმა სწორედ მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა კლასიანი ფეხბურთელები?

— საერთოდ ფეხბურთში ისეთი ამბები ხდება, რომ დაუფერებლად უკვე თითქმის აღარაფერი შეგვიძლება.

— ფაქტია, რომ აღარ გენდობოდა.

— ეს მეც ვიცი და ახალს არაფერს გეუბნები. „ბრისტოლი“ რომელიღაცა ლიგის გუნდია. იმ მატჩში თამაშის საშუალება რომ მოუცა, იქნებ მაშინ მაინც გამოემეცინა თავი, მაგრამ არ მენდობოდა ეს კაცი. სხვა საკითხია, რატომ არ მენდობოდა.

— „ბრისტოლთან“ შეხვედრამდე თუ უთქვამს ეს?

— არა, პირიქით — სულ მამშვიდებდა, დღეს არა და, უახლოეს ტურში მაინც გათამაშებო. ბავშვი არა ვარ — მივხვდი, რომ მატყუებდა. სხვა გზა აღარ დამჩნა და ჩემს ახალ ადვოკატთან ერთად ველაპარაკე. მაინტერესებდა, რას მეტყოდა, რა უნდოდა ჩემგან. მაშინ ვერაფერიც ვერ მითხრა და ახლა მოულოდნელად გამომიცხადა, რომ ტრანსფერზე მაყენებდა. ასეთი მატყუარისგან რა უნდა დამეფერებინა?!

— უკვე ერთი წელია „დერბის“ ძირითადში აღარ გითამაშია. არ სჯობდა წასვლაზე აქამდე გეფიქრა?

— ვინ გითხრა, რომ არ ვფიქრობდი? მართალია, ჯიმ სმიტი მენდობოდა, მაგრამ ასეთი რანგისა და მიზნების მქონე კლუბში თამაში ნამდვილად აღარ მსურდა. თავიდან ვფიქრობდი, რომ „დერბი“ აუტსაიდერობას თავს დააღწევდა, მაგრამ საშველი რომ აღარ დაადგა, მაშინ წასვლაზე დავიწყე ფიქრი და სწორედ იმ დროს დავშვედი. ტრანსფერული ფეხბურთელი კი აღარავის სჭირდება. ახლა უკვე თავს მშვენივრად ვგრძნობ და მწვრთნელს იმდენჯერ ვუთხ-



არ, თქვენთან დარჩენა აღარ მსურს-მეთქი, რომ ბოლოს თავადაც მიხვდა, — ასე გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ან უნდა გავეფიქრე, ან უნდა ვეთამაშებინე.

— მაინც გაუფრთხილ, მწვრთნელი ძლიერ ფეხბურთელს რატომ უნდა გადაეკიდოს, თავის მტერი ხომ არ არის?

— ალბათ იმის თქმა გინდათ, რომ ტრანსფერის შემდეგ ფორმიდან ამოვარდნილი ვიყავი. მგონი, ნაკრების მატჩებში რამდენიმე თვის უთამაშებელი ცუდად არ გამოვიყურებოდი და გუნდში წაკლებად რატომ უნდა მეთამაშა, ვერ გამიგია. შეიძლება არც დაიჯეროთ, მაგრამ ვერაპაშიც არსებობს ის ფაქტორი, როდესაც მწვრთნელი ამა თუ იმ მოთამაშის მიმართ გადამეტებულ ყურადღებას ან უყურადღებობას იჩენს. თუ რატომ, ამაზე საუბარს მოვერდები.

— რაიმე დაინტერესება აქვთ?

— ვიძიორებ, ამაზე ჩემგან საუბარი უხერხულია. ტოდი ისეთ ტყუილებს ამბობდა, ბოლოს სასაცილო მდგომარეობაშიც ჩავარდა ჩემი მენეჯერის თანდასწრებით.

— შენმა მენეჯერმა იგან ბენეშმა ჩამოთვალა ის კლუბები, რომლებთანაც მოლაპარაკება აქვს: „ვალენსია“, „მალაგა“, „მალიორკა“. რომელთან უფრო რეალურად გეჭვენება მოლაპარაკება?

— ბენეშმა მითხრა, რომ რაღაც ვარო-

ანტები არსებობს, მაგრამ კონკრეტულად მეტი არაფერი უთქვამს. თუმცა, ესპანეთში თამაში ჩემი ბავშვობის ოცნებაა და თუკი დასახლებული გუნდიდან რომელიმე სატრანსფერო თანხას გადაიხდის, არ იქნება ურიგო.

— როგორ დაიჯერო, რომ ამაყამდ არანაირი კონკრეტული შემოთავაზება არ მიგიაღია?

— არის რაღაც ვარიანტები, მაგრამ კონტრაქტს გაფორმებამდე კონკრეტული არაფერი ითქმის. ჯერჯერობით ყველა შესაძლო ვარიანტი, მათ შორის ყველაზე რეალურიც კი, მხოლოდ და მხოლოდ ვარიანტია და მეტი არაფერი.

— „მანჩესტერ სიტის“ ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კიგანი კიდევ გინიშნის?

— კიგანი დაინტერესებული რომ არის, ეს საიდუმლო არ უნდა იყოს. მთავარია, გადაიხდინან თუ არა 1,5 მილიონი ფუნტს, რასაც „დერბი“ ითხოვს.

— გული არ გწყდება, 28 წლამდე სერიოზულ გუნდში თამაში რომ არ გელიონსა?

— „აიაქსი“ სერიოზული გუნდია, მაგრამ საკმაოდ არასერიოზულ ადგილას მათამაშებს. ისე კი, გული მწყდება — რაც მინდოდა, ის ვერ ავიხრულე, თუმცა, მეორე მხრივ, 28 წლის ფეხბურთელმა კარიერაზე ხელი არ უნდა ჩაიქნოს. უმელო კაცი რომ ვყოფილიყავი, „აიაქსიდან“ „დერბიში“ გაცილებით დაბალ ხელფასზე თამაშაც არ დავთანხმებდი. გასაგებია, რომ „აიაქსის“ და „დერბის“ შემდეგ ბევრს ჩემ მიმართ ეჭვები გაუჩნდა, მაგრამ ჩემზე უკეთ არავინ იცის, რა მინდა და რა შემიძლია. თავის იმედი რომ არ მქონებდა, ფეხბურთელობაზე პრეტენზიაც არ მექნებოდა.

გიორგის ამბიციები დღემდე შემორჩა, რაც ჩვენც იმედს გვიღვიძებს, მაგრამ როდემდე?

P.S. „მანჩესტერ სიტის“ ვებ-საიტის ინფორმაციით, ქიქელაძის ტრანსფერზე დაყენების შემდეგ, მისი კვირა კიგანი დაინტერესდა. მანჩესტერელთა მწვრთნელი „დერბის“ მწვრთნელს გადაწყვეტილებამ დააფიქრა ვებ-საიტის ინფორმაციით, კიგანი ქიქელაძის შექენსკენ იმიტომაც იხრება, რომ გიორგის მანჩესტერში თამაში და შეეუბნა არ გაუჭირდება, ფანებიც მის დაბრუნებას ითხოვენ და საბოლოოდ გადაწყვიტა „დერბისთან“ მოლაპარაკება. თანაც ალი ბერნაბისთან და ვილან ბერკოვიჩთან ერთად ქიქელაძის ნახევარდაცვაში დაყენება, მისი აზრით, მშვენიერი სამუშაოს ჩამოყალიბების წინაპირობა გახდება.

ლაშა დუმბაძე

## უჩვეულო «ნაკრები»

მეტად საინტერესო და ორიგინალური გამოკითხვა ჩატარეს ინგლისში. გამოკითხვის შედეგად პრემიერლიგის ყველაზე... მახინჯ ფეხბურთელთა სიმბოლური ნაკრები შეადგინეს. შეუხედავ ფეხბურთელთა ნაკრებში „მანჩესტერ იუნაიტედის“ სამი ფეხბურთელი მოხვდა: ფილ ნევილი, გარი ნევილი და ლუკ ჩედვიკი. მეკარეთაგან ყველაზე უშნო „ჩელსის“ გოლკიპერი ედ დე გუი ყოფილა, „ნაკრებში“ კიდევ ერთი მისი თანაგუნდელი — იტალიელი ჯან ფრანკო ძოლაც მოხვდა. დანიარჩენ ფეხბურთელთა სია კი ასე გამოიყურება: მარტინ კიოუნი (არსენალი), ლი ბოიერი (ლიდსი), გარეტ საუტგეიტი (მიდლსბრო), აბელ შავიერი (ვევრტონი).

## პრიმერა დივიზიონი პირველია

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ, რომელიც ტრადიციულად ყოველი წლის ბოლოს გასული წლის შედეგებს აჯამებს, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატთა ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. ისევე, როგორც შარშან, პირველობა ესპანეთის პრიმერა დივიზიონს ხვდა წილად. პირველი ათეული კი ასე გამოიყურება:

1. ესპანეთი	— 1267	ქულა	6. ბრაზილია	— 942
2. ინგლისი	— 1176		7. საფრანგეთი	— 799
3. იტალია	— 1013		8. პორტუგალია	— 765
4. გერმანია	— 976		9. პოლანდია	— 713
5. არგენტინა	— 964		10. საბერძნეთი	— 691


ზემოთ ნახსენებმა ფედერაციამ 2001 წლის საუკეთესო მსაჯე, მეკარე და საკლუბო მწვრთნელიც დაასახელა. საუკეთესო მწვრთნელის ტიტული მიუნხენის „ბაიერნის“ თავკაცს ოტმარ ჰიტცფელდს ხვდა წილად. საუკეთესო მეკარისა — მისივე გუნდის გოლკიპერს ოლივერ კანს, იტალიელი პერ ლუიჯი კოლინა კი 2001 წლის ყველაზე ობიექტურ არბიტრად აღიარეს.

## იყო და არა იყო რა...

იყო დრო, როდესაც არგენტინაში ქართველს მასურბელი ფეხზე წამოუდგა და მის გვარს სკანდირებდა. იყო დრო, სტადიონზე ხალხი მხოლოდ მისი თამაშის სანახავად დადიოდა. იყო დრო, მსოფლიო ნაკრებში ინვეცდენ და დიდ გარინჩას ადარებდნენ. ახლა არც ის დროა და აღარც მხიელ მესხი, რომელსაც არგენტინელები ფეხზე წამოუდგნენ, რუსებმა კი მსოფლიო ნაკრებში თამაშის საშუალება არ მისცეს. 12 იანვარს „მტკვრისპირელ გარინჩას“ — მიხეილ მესხს დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდებოდა...

## ჯორდანი ცოლს ეყრება

მაიკლ ჯორდანის მეუღლემ ხუანიტამ სასამართლოში განცხადება შეიტანა განქორწინების მოთხოვნით. „განქორწინება არავითარ კავშირში არ არის იმ საქმესთან, რა საქმიანაც ვარ დაკავებული — განაცხადა ჯორდანმა — რაც შეეხება ყოფილ მეუღლესთან ურთიერთობას, ეს მხოლოდ ჩემი და ხუანიტას პირადი საქმეა და ჟურნალისტებს ვთხოვ, ოჯახურ საქმეებში ნუ ჩაერევიან. ამჟამად მხოლოდ კალათბურთზე ვფიქრობ და ვცდილობ, მეტი სამოკუნებო მივიღო იმ საქმისგან, რაც მიყვარს და რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოვუტანო ჩემს გუნდს“ — განაცხადა ყველა დროის უდიდესმა კალათბურთელმა, რომელიც ამჟამად „ვაშინგტონ უიზარდსის“ ლირსებას იცავს. მისივე თქმით, ყველაფერს აქვს დასანყისი და დასასრული და ხუანიტასთან ერთად ცხოვრების გაგრძელების მცდელობას აზრი არა აქვს. მაიკლს და მის მეუღლეს სამი შვილი ჰყავთ, შვილები დედასთან იცხოვრებენ ჯორდანის ზღაპრულ ვილაში, რომელიც ჩიკაგოს მახლობლად მდებარეობს, მისის ჯორდანს გადაეცემა მაიკლ ჯორდანის ქონების ნახევარიც.



## ბიელსა საუკეთესოა

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ეროვნული ნაკრები გუნდების საუკეთესო მწვრთნელები დაასახელა. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი არგენტინის ნაკრების თავკაცს მარსელო ბიელსას ხვდა წილად, მას საგრძობი სხვაობით ჩამორჩა ინგლისის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი. პირველი ათეული კი ასე გამოიყურება:

1. მარსელო ბიელსა (არგენტინა)	— 201	ქულა
2. სვენ გორან ერიქსონი (ინგლისი)	— 147	
3. როფე ლემერი (საფრანგეთი)	— 127	
4. სრეკო კატანეცი (სლოვენია)	— 54	
5. ხოსე პეკერმანი (არგენტინა)	21 წლ. ნაკრ.	— 31
6. ერი ენგელი (პოლონეთი)	— 28	
7. ხოსე ანტონიო კამაჩო (ესპანეთი)	— 22	
8. ჯოვანი ტრაპატონი (იტალია)	— 21	
9. ანტონიუ რიბერიუ (პორტუგალია)	— 20	
10-11. რუდი ფიოლერი (გერმანია)	— 18	
10-11. ფილიპ ტრუსიე (იაპონია)	— 18	



## იოკას პანისიგარის დაგოვება სკრს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ტრინიდადელი ფორვარდი დუაიტ იორკი ალბათ მალე დაემშვიდობება თავის კლუბს და პრემიერლიგის რომელიმე გუნდში მოსინჯავს ძალებს. მას შემდეგ, რაც მანჩესტერში რუუდ ვან ნისტელროი გადავიდა, იორკმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. მისი შექენით ყველაზე მეტად „მიდლსბრო“ დაინტერესებული, „ბოროს“ 30 წლის ფორვარდის შექენა იჯაროს წესით სურს. „მიდლსბრო“ ამჟამად აუტსაიდერთა შორის იმყოფება და იორკის დონის ფორვარდს გუნდისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

### საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

შავების დაშმათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდობებთ). წინა ამოცანის ამოხსნა: 1. Kh1-f2!

# მხსნელი „მაიყუყუ“

ახალმა წელმა რომ მართლაც მოგიტანოთ წარმატება, იღბალი უნდა შემოიტყუოთ. ამაში დაგვეხმარება ფენ შუი — ძველჩინური ხელოვნება.

ფენ შუის თანახმად, მართლაც ბევრი რამის შეცვლა შეგიძლია ცხოვრებაში — ამისთვის უნდა ჩაერთო სურვილების შესრულების პროგრამა. ცხადია, სურვილები კონკრეტული უნდა იყოს: განკურნება, მატერიალური კეთილდღეობა (უმჯობესია სურვილი ციფრით გამოხატოს), ოჯახის შექმნა და ა.შ. სხვათა შორის, იღბლის მოთვინიერება არა მარტო საკუთარი თავისთვის, არამედ ახლობელ-მეგობრებისთვისაც შეიძლება: მთავარი, სიმბოლო სწორად შეარჩიოთ და იგი მძლავრ თილისმად იქცევა.

რა გესურს ყველაზე მეტად? როგორც წესი, სურვილების სია სტანდარტულია: ჯანმრთელობა, წარმატება, პირადი ბედნიერება — თანაც ყველაფერი ერთად. სწორედ ეს ნაკრები შეიცავს ჩვენი ყოფიერების ჰარმონიას. რად გინდა ფული, თუკი ავადმყოფობა გვანუხებს? რას მოგეცემს სამსახურბრძოლი კარიერა, თუკი გვერდით საყვარელი ადამიანი არ გვყავს?

ერთი სიტყვით, ახალ წელს ცოტა გავისარჯოთ, რომ ცხოვრება გავიუმჯობესოთ. ცნობისათვის: ფენ შუის მაგია მაშინ იმოქმედებს, თუკი თილისმებს თავ-თავის ადგილას განვალაგებთ. მაგალითად, აირჩიეთ ბინის ცენტრი და მისგან განსაზღვრეთ მიმართულებები. შეგიძლიათ, თითოეულ ოთახში აარჩიოთ ცენტრი.

დავინწყით ჯანმრთელობით — ახალ წელს რომ არ ვიავადმყოფოთ, ბინის ან ოთახის აღმოსავლეთი ნაწილი დავლაგოთ. შეძლებისდაგვარად, აალაგეთ მეტალის ნივთები. სამაგიეროდ, ყველაფერს, რაც ხესთანაა დაკავშირებული — დანყებული ზარდახშებით და დამთავრებული ოთახის მცენარეებით — აღმოსავლეთ მხარეს მოუყარეთ თავი. აუცილებლად იყიდეთ აყირო (ყელიანი გოგრა) ან მისი ფორმის ვაზა — ეს თილისმა ავადმყოფობისგან გიხსნით. აღმოსავლეთით გამავალ ფანჯარასთან დაკიდეთ მწვანე ხის გოგრა ან ზარები. სხვათა შორის, თუ შინ ვინმე ავადმყოფობს, თავთან სამი აყირო დაუდეთ.

წარმატებას სიყვარულში, მეგობრებთან, მოგიტანთ კურამიკული, ბროლის (უმჯობესია, ბროლის პირამიდა შეარჩიოთ), ბუნებრივი ქვის ნაკეთობანი. ისინი ბინის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში განლაგეთ. განსაკუთრებით მაგიური უნარის მატარებლები არიან წველი საგნები: შანდლები, ვაზები, ბიჭისა და გოგოს ფიგურები, ორი დელფინი ან ორი წერი. თუკი გსურთ, რომ თქვენს სასიყვარულო თილისმას არა მარტო მაგიური ძალა ჰქონდეს, არამედ სახლში ძველჩინურ კოლორიტსაც ქმნიდეს, დაკიდეთ კედელზე სურათი ან იეროგლიფებიანი დიდი მონეტა.

სიყვარული მთელი წელი რომ თქვენი თანმხლები იყოს და ბოლოს და ბოლოს, მეორე ნახევარი მონახოთ, ჯიბეში ნეფრიტის ბიჭისა და გოგოს ფიგურა ჩაიდეთ (ერთმანეთს უნდა კოცნიდნენ).

მატერიალური კეთილდღეობა ბინის სამხრეთ-აღმოსავლეთით „იმალბა“. ფული რომ ახალ წელს ჩეჩქით გქონდეთ, ბინის ამ ნაწ-

ილში აკვარიუმი, შადრევანი ან უბრალოდ, წყლის პეიზაჟი მოათავსეთ. თავისუფლად მომდინარე წყალი ფულის ნაკადთან ასოცირდება. სხვათა შორის, ფული რომ სახლიდან არ გავიდეს, ყველა ონკანი წესრიგში უნდა გქონდეთ და უნიტაზის სახურავი კი (უკაცრავად, პროზაული ჩანარითსათვის) სულ დახურული უნდა იყოს, ისევე როგორც სააბაზანოსა და ტუალეტის კარი. კარგი იქნება, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთით „ფულის ხეს“ დადამთ — მისი ფოთლები სქელი და მრგვალი უნდა იყოს, მონეტებით.

შინ ბარაქა შემოაქვს თევზის, გემის ფიგურებს — სასურველია, ყველა პირი ბინისკენ ჰქონდეს და არა კარისკენ. თილისმებიდან ყველაზე ძლიერია ცინის დინასტიის მონეტები: შუაგულში კვადრატულრმულიანი მრგვალი მონეტები, რომლებიც იეროგლიფებით და სიმბოლური გამოსახულებებით არის აჭრელებული. მონეტა შეიძლება კედელზე დაიდოს, პატარა კი საფულით ან ჯიბით ატაროთ. კიდევ ერთი ფულის ძლიერი თილისმა — სამფხვინიანი გომბეშოა. ნაძვის ხის ქვეშ პირში მონეტაგაჩრილი ბაყაყი სახალისო სანახავიც არის.

უზუნაესი ძალები მფარველობას გაგიწევს, თუ ბინის ჩრდილო-დასავლეთით მეტალის ზარს დაკიდებთ — დროდადრო ხელი გაჰკაროთ და აანკრიალოთ.

სკოლის მოსწავლეებს ინტელექტუალურ ენერჯის გაუძლიერებს სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ან ბავშვის საწერ მაგიდაზე დადგმული გლობუსი — უმჯობესია, ბროლის.

ბავშვებსა და მოზრდილებსაც ახალ წელს დაეხმარება „იღბლის მარყუჟები“ — ნითელი სქელი ძაფისაგან დანული მოსართავები. ასეთი თილისმა იმ ოთახში დაკიდეთ, სადაც დღესასწაულის გატარებას აპირებთ: „მარყუჟებში“ თავმოყრილია კეთილი ენერჯია და მძიმე ნუთებში ადამიანებს გადაეცემა. თუ დღესასწაულზე იმხიარულებთ, მთელი წლის მანძილზე „მარყუჟი“ სადღესასწაულო გუნება-განწყობა არ მოგაქვს.

ცხოვრება რომ ჰარმონიული გახდეს, ბინაში ფენ შუის ჯადოქრები ჩაისახლეთ — ლაყვარდისფერი დრაკონი, თეთრი ვეფხვი, შავი კუ და ნითელი ფენიქსი. იყიდეთ ეს კეთილი ფიგურები და იცოდეთ — თქვენთან დასახლებულა: წარმატება, ჯანმრთელობა და ჰარმონია.

დრაკონი სიმდიდრეს მოგიტანს. ნეფრიტის დრაკონის ფიგურა ბინის აღმოსავლეთ კუთხეში დადგით, დასავლეთით ვეფხვი, იგი უბედურებისგან, ძარცვისა და ქურდობისგან დაგცავს.

სხვათა შორის, აუცილებელი არ არის ვეფხვის სკულპტურული გამოსახულება ექვით — საკმარისი იქნება თეთრი კუტის სურათიც.

ახალ წელს იღბალმა გვერდი რომ არ აგიაროთ, სამხრეთით გამავალი ფანჯარა ჩიტის ნითელი ან ოქროსფერი ფიგურით შეაპკეთ — ეს თქვენი ლურჯი ფრინველი, ცეცხლოვანი ფენიქსი იქნება.

შავი კუ ბინის ჩრდილოეთით დააბრძანეთ. იგი კეთილ ენერჯის მოგიტანს და ხელს შეგიწყობს ყველა წამოწყებაში.

ორაკული №1

## თეთრი ნიღან სარეკაბი ნიღან...

უფლი ეგდო — ყინული კი დნობას განაგრძობდა. სასწრაფოდ მოიჭრა პოლიცია, მერე სადაზვერვო დეპარტამენტიც დაიწყო მოკიდდნენ უფოლები. ირწმუნებოდნენ, ეს ნამდვილად ამო არის, რადგან ასეთივე ციური ნობათი სამი წლის წინაც მიიღეს ამ ქალაქში. მაშინ მოელვარე ბურთი ტბაში ჩაყურყურებულა. პოლიციელებმა და მეხანძრეებმა საშობაო „ცეცხლოვანი ბურთის“ ამოსაღებად ბადეც კი ისროლეს ტბაში, მაგრამ „ბურთი“ ტბის სიღრმეში ჩაიძირა, თუმცა ნათებას განაგრძობდა. მერე ოფიციალურად გამოცხადდა, ბურთი ვერ ვიპოვეთო, ადგილობრივი ცხოვრებლები კი დარწმუნებულნი იყვნენ, „საშობაო ბურთი“ იპოვეს და გადაამალესო.

ნლო №53

## „საშალლო-სალალო“ გვერდის პასუხები

I. რეაუსი

კოხტად მორთული ნაძვის ხე ნაირფერებად ელვარებს.

II. თოვლი.



### ქვისანი ადამიანები

უხსოვარი დროიდან სწამდათ, რომ რქა ცხოველისთვის უბრალო ნაწარმი კი არ იყო, არამედ ზებუნებრივი ძალისა და სიუხვის სიმბოლო. ამიტომაც ეთაყვანებოდნენ ძროხას, ხარს, თხას, ცხვარს და სხვ. ჩვეულებრივი ან ოქროს რქა მიჩნეული იყო წმინდა ჭურჭლად, რომლითაც ატარებდნენ რელიგიურ რიტუალებს. ქართველებს ყოფაში დღემდე შემორჩათ რქით (ყანით) ღვინის (საკულტო სასმელი) სმა. წარმართულ ღმერთებს ყოველს შემდეგობის ნიშნად რქები ჰქონდათ. საკმარისია გავისხნოთ ნაყოფიერების, წყლისა და ქარის ძველგვიპტური ქალღმერთი, რომელსაც ძროხის ან ძროხის რქოსანი ქალის სახე აქვს.

ანტიკურ და სხვა ხალხთა მითებში რქა მაგია-ასთან არის დაკავშირებული. ზევის გამზრდელი თხის — ანალთეს — რქა საუხვის სიმბოლოა. ქართულ წარმართულ პანთეონშიც გვხვდებიან რქოსანი ღმერთები თუ ნახევრად ღმერთები — ოჩოკოები, დევები და სხვ. დიონისური დღესასწაულის ბერიკაობა-ყენობის მონაწილეებსაც რქით მორთული თავსარქმელი აქვთ. ალექსანდრე დიდმა თავი ზევის რქა გამოაცხადა და ბრძანა, მონეტებზე მისი რქით დამზენებული პორტრეტი ამოეტყვირათ.

გვიან ხანაში ვირტუალური რქა უკვე დაცინვას, მოტყუებას, გატყუებას, სირვეტყუეს აღნიშნავდა.

ქვლოვანი ნაწარმი იშვიათად ადამიანებსაც გამოსდებოდა თავზე და ვერ ვიტყვით, რომ უნებელია და უმტკივნეულო. ეს რქა აგებულებით ცხოველისაა ნაგავს. მის წარმოქმნას ხელს უწყობს კანის განსაზღვრულ უბანზე ეპიდერმული ქსოვილის აუხსნელი ზრდა. უზარდები მრავლდება, მკვრივდება და ჩნდება ბურცოები. მსგავსი „რქების“ უმრავლესობა პანანინა რქება, მაგრამ ისტორიიდან ცნობილია 30 სმ სიგრძის რქის მქონე ქალები და მამაკაცები. 1598 წლის 18 სექტემბერს სასამართლოში გამოცხადდა ფრანგი გლეხი, რომელიც უარს ამბობდა ბატონის წინაშე ქუდი მოქსადა. როცა ამის მიზეზი ჰკითხეს, შლაპა მოიშვილია და განცვიფრებულმა კანონის დამცველებმა დაინახეს შუბლზე საყვარლად ჩაგრული ცხვრის

### ჩვენი გვერდი

## სკოლის არღილია გადაარჩინა. ის კი გაუღებოთ სჯობა...

მისა მისურაძეს შვიდი ქალ-ვაჟი ჰყავდა, მაგრამ არც ერთ მათგანს მამა არ უყვარდა... ამოიღებდნენ შვილიშვილები ოქროთი მოვარაყებულ, ჩარჩოში ჩასმულ პაპის სურათს და კედელზე დაჰკიდებდნენ. მდიდრულად გამოწყობილი, მოხდენილი ვაჟკაცი წინა საუკუნის ფოტოსურათიდან ცოცხალივით აელვარებდა თავს. უფროსები უხმოდ ჩამოსხნიდნენ და ისევ სკოლაში ინახავდნენ. ის სურათი, ვისაც ენახა, ყველას მოსწონდა და ეგონათ, რომ ძვირფასი ჩარჩოს გამო მალავდნენ ასე გულდაგულ. მისმა უმცროსმა ქალიშვილმა ვარინკა მისურაძემ კი სულ სხვა რამ მიაბო:

„ეგ მამაჩემის სურათია. უმდიდრესი კაცი იყო. აურაცხელი ცხვარ-ძროხისა და მამულების პატრონი, გამრჯე ადამიანი. ჩვენც არაფერს გვაკლებდა, მაგრამ შვილებმა ბავშვობიდანვე შევიწყულეთ, რადგან დედაჩემს წარამარა, უღანაშაულოდ სცემდა. დედაჩემი სათნო ქალი იყო. თბილი, კეთილი, ხელგამომავალი. მამას მუდამ გონივრულ რჩევას აძლევდა. ის კი, თავზე და გაუგონარი, თავისას გაიძახოდა. ერთხელ, შუაღამისას მთაში წასვლა მოინდინა. დედამ სთხოვა, გადავუღებოდა წვიმს, გათენდეს მინც, ხიფათს არსად გადაეყაროო. არ დაიშალა, წავიდა. დედაჩემი თელი ღამე ჩვენ გვერდით იწვა. რიურაზე ადგა და ბოსელში ძროხების მოსწველად გავიდა. იმ დროს მოზრუნდა მამაჩემიც. ცოლი თითი გამოათრია და მათრახით სცემა. თან აგინებდა: „სად დაეთრეოდი, იქ რაღა გინდობო“. ძლიერ გააგდებინა ხელიდან მარჯვენა. — უარესი ღირსია, სადაც მივდივარ, წინ მიდგება და არ მიშვებსო, — გვესმოდა შემინებულ ბავშვებს მისი ყვირილი — ერთხელ გუბებთან (ადგილია) დამხვდა, კუპრით ღამეში, ცეცხლოვანი მათრახი გადაუჭირა კამეჩებს და დამიფრთხო. მერე მე მომიჩნია, გაიღვევს რაღაც, განათებდა, ძედავ — ეს არი. კამეჩებმა უღელი ასწიეს, სრიალი დაიწყეს, ვეღარ დავიკვი და ხომ გახსოვს, ურმინად რომ გადამიჩინებ ხევი?! ახლაც ასე იყო: იორს მივადევით თუ არა, ვილაცამ აღვირში მიტაცა ხელი, ცხენი მოღრიჯა, მოაბრუნა. ვუყურებ — ეს არის. მე წყალთხელს ვეძებ, რომ როგორმე გავიდე, ეს კი აქეთ მეჩანება. თან ხმას არ იღებს. ვეძახი: დარო, გამიშვი-მეთქი, საქმეში ხარ? გამომეცე და ტყეში დამეშალა. ამასობაში მოვარდა ნიღვარი და იქაურობა წალკა. ძლივს გამოვასწარ

## ლაკმეოსაიმ ვი კონიოსაიმ

რქა, რომელიც თურმე საწყალს 5 წლიდან ეზრდებოდა. შემდეგ ეს რუდიმენტი გლეხის შემოსავლის წყაროდ იქცა — ხელმწიფის ერთმა მოხელემ რქოსანი ცირკის არენაზე გაიყვანა.

ისტორიიდან ცნობილია მარად მსუხარე რქოსანი ფრანგი ფრანსუა ტრუილიო, რომელიც საშინლად განიცდიდა თურმე თავის ნაკლს. მე-18 საუკუნეში ინგლისში ცხოვრობდა კარგა მოზრდილი რქით დამზენებული არისტოკრატი ქალბატონი მარია დევისი, რომელიც ძალიან ამყობდა ღვთის ამ ნობათით, მას მიანერდა თავის მომხიბვლელობას, წარმატებებს და ურიცხვ კავალერს. მე-17 საუკუნის დასაწყისში მთელ პარიზში ცნობილი იყო გრავ დიმაზის ქვრივი, ყველაზე კოლორიტული რქოსანი დიაცი. მას რქა შუბლიდან ნიკაპამდე ჰქონდა ჩამოზრდილი. უკვე კაი ბებერი იყო, როცა განიზრახა მისი მოჭრა — არ მინდა უფლის წინაშე სატყუარი სამშენისი წარვდგეო. მოიხერხა კიდევ და სისხლის დენით დროზე ადრე გაეშურა საიქიოს.

რქას ქირურგიული გზით ამოიღებენ, ოღონდ საჭირო სხვა ამოჭრა კანის კარგად დიდი ნაწილისა, რომლისგანაც იზრდება რქა. ეს ანომალია მეშვიდრეობითი არ არის.

### კუდიანი ადამიანები

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში კუდიანთა ტომები ცხოვრობდნენ, — ეფირობენ ისტორიკოსები, მაგრამ ეს მოსაზრება დოკუმენტურად არ დასტურდება. თუ ვერწმუნებით მე-13 საუკუნის მოგზაურს მარკო პოლოს, კუნძულ სუმატრას მცხოვრებთ ძალის კუდეები ებათ.

1890 წელს ფრანგმა სწავლულმა პოლ დენაჟოიმ ხელში ჩაიგდო ინდონეზიური ტომის, მოეზის, ერთი წარმომადგენელი, რომელსაც 25 სმ-იანი კუდი ჰქონდა. დენაჟოი ამტკიცებდა, მოეზები დაბადებით კუდოსები არიან, მაგრამ მეზობელი, უკუდო ტომის ხალხთან ქორწინებით მათ შთამომავალთ უმოკლდებათ და ბოლოს უქრებათ კიდევ ეს ბუნებრივი სამშენისი.

1910 წელს ინგლისელი მოგზაური უილიამ სლოუნი ახალ გვინეაში წაიყვანა ძალიანკუდიანი ტომის. მეცნიერები მამონტ სკეპტუკურად შეხედნენ მოგზაურის ამ ცნობას, მაგრამ 1928 წელს კვლავ გაიხსენეს სლოუნი, რადგან ერთი მოგზაური, დოქტორი ნედელესი საიგონში შეხვდა 8 წლის ბიჭუნას, რომელსაც 15 სმ-იანი ნაწარმი ჰქონდა და კუდს უწევს. ამ ბიჭის სურათმა მთელი მსოფლიო შემოიარა.

1930 წელს ჰონდურასელმა ქირურგმა ველასკესმა საზოგადოებას ამცნო, რომ ზღვის სანაპიროზე ნახა ქალი, რომელსაც 20 სმ-იანი კუდი ჰქონდა და ისიც აშკარად წაკვეთილი.

რა თქმა უნდა, კუდიანი ტომები არ არსებობენ დედაჩინაზე, მაგრამ ანომალიური შემთხვევები არაერთია ყველა რასაში. თანამედროვე ქირურგია ძალზე იოლად სპობს ამ გადარჩენას...

მედიცინა ი თიზნ №2



— უყვებოდა გაცხარებული ბიძაჩემს. ამგვარ რალაცებს ხშირად ედავებოდა დედას და დაუნდობლად სცემდა. ერთხელ, გვინაღამით, ტანსაცმელზემოგლეჯილი მოვარდა, დააფრინდა ლოგინში დედაჩემს და სცემს. გაოცებული ქალი ეკითხება: — რაღა მცემ, მიხვ, რა გემართებაო. — ხო გადმომაგდე სანოლიდან, ხო გამომაქციეო.

ვერაფერი გავიგეთ. თურმე საყვარელთან ყოფილა. მიძინარე წამოხტარა — ცოლი მიმათრეს სადაცაო, — უყვირია. დაფეთებულა საყვარელი, იმას დედაჩემი იქვე ჰკონცხა და გამოჰკიდებია მისხს უკან. კარებთან რომ მოსულა, იგრილა თურმე თოფმა. ქალი უსულოდ დაეცა. ქმარს ეჭვით სცოდნია მათი ამბავი და საწოლ ოთახთან ახლოს, მაღალ ხეზე ასულა სანადირო თოფით, რომ მამაჩემი მოეკლა. უთვალთვალა და უსროლია კიდევ ფანჯრიდან.

ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ, ყველაფერი ჩამოგვართვეს და სულ ცარიელად დაგვტოვეს. მამაჩემს ბევრი ფული ჰქონდა გადახალული. ექება, ვერ იძოვა და დედას დაუწყო ცემა — მამკოვადის დუქანში რო შევედი, თანა მქონდა, სადაც თვალის მოგვარი, ჩემი ვერცხლის ქამარი გერტყა და ოქროთი საჯე ქისა გეკიდაო. დედაჩემი იქ არასოდეს ყოფილა. საწყალმა ამდენ ტანჯვას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. ოცდაწვიდმეტი ჩემი ძმა გადაასახლეს. ჩხრევისას ის ქისა იპოვეს და თან გაიყოფეს. მამაჩემი ას ცხრა წლისა დავასაფლავეთ. სიკვდილი წინაც იმას იძახდა: „მივიღვარ და დარო არ მატარებსო“.

ეთერ თარიღანი







№1 (275) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

წლის პირველ რეიტინგს 625 მკითხველი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 216-მა ქალმა და 404-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: „რა არის დღევანდელი ქართული მამაკაცების საუბრის ყველაზე საყვარელი თემა?“

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ქართველი მამაკაცები დღეს, პოლიტიზირებულ დროში, ყველაზე მეტს პოლიტიკაზე ლაპარაკობენ. რესპონდენტთა 57-მა დაუწერა „პოლიტიკას“ მაქსიმალური — 8 ქულა. 6,95 საშუალო ქულით „პოლიტიკა“ პირველ ადგილზეა.


შემდეგ ადგილებზეა „საქმე (სამსახური)“, საშუალო ქულაა 5,62. მკითხველთა 18 მიიჩნევს, რომ სამსახური ქართველი მამაკაცების საუბრის ყველაზე საყვარელი თემაა.

პოლიტიკისა და სამსახურის შემდეგ ძლიერი სექსის წარმომადგენელთა საყვარელი თემა ქალებია. მკითხველთა 11-მა შეაფასა „ქალები“ მაქსიმალური ქულით.

რესპონდენტთა აზრით, იუმორი, რელიგია და ხელოვნება, აქ ჩამოთვლილ თემებს შორის, შედარებით ნაკლებად იზიდავს ქართველ მამაკაცებს. ყველაზე ნაკლებად კი ისინი ხელოვნებაზე საუბრობენ — რესპონდენტთა 56-მა დაუწერა ხელოვნებას მინიმალური — 1 ქულა.

საინტერესოა, რომ ქალებისა და მამაკაცების პასუხებს შორის არანაირი განსხვავება არ არის. არც ასაკობრივი ჯგუფების პასუხებს შორის დაფიქსირებულა სხვაობა.

საუბრის საყვარელი თემა



საპრიზოს უსუსტად ოთხი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ოთხივე გამარჯვებული თბილისელია — 1 წლის თეკლა გიორგაძის სახელზე შევსებული ბარათის ავტორი, 55 წლის ციცო მარაზაშვილი, 21 წლის ლევან რაფაბა და 36 წლის დავით მაისრაძე.

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 16 იანვარს, 17 საათზე.

№2 (276) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიზრა“ თავისი მკითხველების ანკედასტით გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიზრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გადალევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

\* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგებისა და გამარჯვებულის, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის პეიჯზე.

№2 (276) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიზრის“ საფოსტო ყუთებში ჩაადგეთ ოთხშაბათს, 16 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 17 იანვრის 13 საათამდე.

© თბილისი

თემა №2 (276) — საპრიზო თემა — თქვენი აზრით, რა არის დღევანდელი ქართული მამაკაცების საყვარელი თემა (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნო — 8 და ა.შ. 1-მდე.

№2(276) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

№	თემა	ქულა
1	ხელოვნება	
2	ოჯახი	
3	კოსმეტიკისა და პარფიუმერიის სიახლეები	
4	სამსახური	
5	რელიგია	
6	მამაკაცები	
7	ელიტარების ცსოერების წყრილმასები	
8	პოლიტიკა	
9	პორტოკოპები	

მკითხველის პეიჯი

ჩვენი დღევანდელი ყოფა შეაფასეთ თქვენთვის სხარტი გამოწვევებით (ანდაზით, აფორიზმით და სხვა)

✓

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი

ტელეფონი

„კვირის პალიზრის“ ყუთებში მიტოვებულ ბარათს ვინაობა მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს

მკითხველის პეიჯის შედეგები

საყვარელი	ქართული	კინოკომედი	
1. ზინკაი ასიქი	12,5%	6. ანიაკლი კოპანი	5,4%
2. ვეკილია	10,4%	7. ვიქტორ	5,0%
3. ქიტი და კომა	8,6%	8. ანაპეპეკაიანი გეორგი	4,0%
4. სიხარული ვეკილია	7,4%	9-10. თორნიკე იმინიანი	3,5%
5. რამ მინასა, ვეკილია	6,0%	9-10. ვეკილია	3,5%

მკითხველის რეიტინგში 579-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის საპრიზო რეიტინგში მსოფლიოში საუკეთესო კინოკომედიებს შორის, ფილმების — „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“ და „კავკასიელი ტყვე ქალი“ — შემდეგ „მიმინო“ და „უდიპლომო სახიძო“ დასახელდა.

ფოტოპალიზრა

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს გთხოვთ, პასუხები გამოგვგზავნოთ „კვირის პალიზრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას ღაარქმევდით?

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



თემურ ნიკლაური

ბ.ბ. — ბატონო აკაკი! ნუგზარს რომ ვუყურებთ, ამას ისეთი პატრონი ჰყავს, 100 წელი არ გაუჭირდება. ჩვენი პატრონი კი კაციშვილი არაა, და, მოდი, ახალ წელთან ერთად, ჩვენ მფარველ ანგელოზებს გაუმარჯოს!

ზაზა გობეჯიშვილი, სოხუმი-თბილისი

გ.გ. — ეგ რას მალავთ მუჭში?

ბ.ბ. — განწონილი ბუზები ჩამოიყვანა აკაკიმ ბათუმიდან, ბიძაშენის დავალებით. პარლამენტში უნდა გაეუშვათ, რომ პარლამენტარებმა სხდომების დროს თავი შევიქციოთ.

ზურაბ ყოლბაია, წყნეთი

ბ.ბ. — კაკო, ორ ორთქმავალს მეტი ძალა აქვს თუ ერთს?

ბ.ბ. — გააჩნია ნუგზარი რომელ ორთქმავალში ზის.

მეგლუდ თევდორაშვილი, რუსთავი

გ.გ. — რა გვეშველება, თუ ხალხი აგვიჯანყდა?

ბ.ბ. — ჩვენ რა ვქნათ, თუ არა, თქვენი სანათესავო იქაც დაიძვრენს თავს, ისეთი პატრონი გყავთ!

მურმან გიგანი, ლენტეხი



არჩილ გოგელია, აკაკი ჩხაიძე და ნუგზარ შევარდნაძე

წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიზრას“ 118 მკითხველი გამოეხმაურა, მაღლობს ეუბნები მათ. ვაჭყეყეხებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.

ბ.ბ. — ნუგზარ, მეოთხე სკამი თავისუფალია და ვის ველოდებით?

გ.გ. — ვერ ხვდები ვის?! აკაკის რკინიგზაზე გამოტარებული ჩემი დაუბერავი ბენზინის სარფიან გასაღებაზე, შენ რომ შესაფერის კანონს მიიღებ, ხომ სჭირდება ამ დოკუმენტს ბიძაჩემის ბეჭედი და ხელმოწერა!

ლ. ქაჩიბაია, თბილისი

საერთოდ, ყველა მხეცი რომ გაძღება, ისვენებს. მეგელი მაძლარიც ვერ ისვენებს, უფრო მეტი უნდა! უცნობი, თბილისი

ბ.ბ. — კობა დავითაშვილმა რომ დაავალა ბიძაშენს, შენი ნათესავები დაბეგრე და მასწავლებლებს ხელფასი გაუორმაგეო, რას შობა, ასრულებს დავალებას?

გ.გ. — ასრულებს რას ჰქვია? შაური აღარ შემარჩინა ჯიბეში, წელში ვეღარ ვსწორდები, ხომ ხედავ. თვარა, ამფერ ღარბულ სუფრას რავა გაკადრებდით ძამა, ამ კალანდა დღეს.

ა.ე., რუსეთი

ბ.ბ. — ჩვენ კი გამოვძებნი, მარა, ამ ცერზე რომ ფეცილი დაეტევა, ხალხისთვისაც ხომ არ გვეწილადა?

გ.გ. — გაიხსენეთ სეთურის გოჭები! გაძღებიან და მერე ლანძვასაც დაგვიწყებენ. შიმშილი უნდა ამოხადო სული და ხმასაც ვერ გაგიბედავენ.

გიორგი, თბილისი

ბ.ბ. — ნუგზარ, გაიხედე უკან მაგიდაზე ბადრი პატარკაციშვილი არ არის?

ბ.ბ. — ჰო, ის არის, ძველი ახალი წლისთვის თბილისის თითო მოქალაქეს მან თითო ინდაური უნდა დაუროგოს.

გ.გ. — რაც უნდა ის გააკეთოს, მემკვიდრე მაინც მე ვარ! დები მერი და ლუზა

**უროპო განყოფილების**




*— თქვენთვის ახალი წელი ყველა თქვენთვის საყვარელს თქვენთვის უყვართ...*

**წინა სკანდინავიის კანკა**



**სკანდინავიის კარიკატი**



გეომატიკური დღეებია: 18 და 20 იანვარი

**ქართულ ნაშალ „სალხინოს“ გამოაქვს ჩიჩქი ნაბისიერი რბილი ქსოვილიდან**

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიძინე შენელებული და გასშორებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხერხელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი ნელის, გავის ძვლის, თირკმლების არეუბი, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ ნაშალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), პეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. ნაშალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

ნაშალი „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მონონებუღია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ ავთიუაქტში.

ნაშლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

**„კვირის პალიტრის“ უფასო განცხადების ძვითარში შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საბეჭა“ (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტურია).**  
**„კვირის პალიტრაში“ კი, ქვეყნდება მხოლოდ უფასო განცხადების ძვითარში შემოსული განცხადებები. ქვეთრები იყიდება საგაზეთო ვიზიტუბში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).**

„უფასო განცხადების ძვითარი“ ჩაავლეთ „კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილება — თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დიდიხის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაგალაში - ვიოტასის ქუჩაზე (ცხესთან) და ავტოავტოსთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩილიკაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდიხის ავტოსადგურთან; დიდ დილომშიანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მრ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. ვაკეკუთხეზე. პანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკოპლიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; შარბრიუკენის (ვინიცივის) მოედანზე; ნაძალადეგში კათ. „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტალინთან; დიდუბეში, „სამთა ქიშიის“ გაჩერებასთან; დილოში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსიტეტის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორევე შესასვლელთან; ვაკეში - კავსადის ქუჩაზე; ვაგჰაბაძის 46 და უნივერსიტეტის 1კ-თან; რუსთაველის 34; ბაგეში - გაჩერებასთან; გამაზხურაძის გამზ. - ვაგჰაბაძის დასაწყისში; ქვეთარბის ქუჩაზე - იზობტაბების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუკუბიძის ქუჩაზე; II მკრ-ის ასახევეთან და „საქართველოს ბანკთან“.

**ქალაქებში და რაიონებში:** მცხეთა, კასპი, გორი, ძარბაღი, ხაშურის, სურამის, უბნის, გარდაბნის, ხარაზის, სიღნაღის, ყვარლის, ლაგოდეხის, თელავის, გორჯორის, ახალციხის — არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტისა და დიდლომისნაშარიში ყუთები დაცლებს ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ-დან. გორჯორის თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. უინვალსა და დუშეთში — თვის III კვირის ოთხშაბათს.

**ფურადდება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საპორეპროდუქტი) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

**2 უფასო განცხადების ძვითარი**  
 განცხადების ტექსტი \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_  
**შეიძლება და სასაქმე სიტყვა**

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მასაბართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)  
**გაურკვეველად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება**

№2 ძვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩაავლეთ 17 იანვრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.



ნაბი დავაჩის სარეკლამო რეკლამა

**„ალიგატორ სარვის“**  
 ყველა ბივის სიგნალიზაციის დამორბეაება, შეახეთაბა, მიდის ელექტროაგენეებისა და ავტოოსისტაბების მობეაჟი.  
**გარანტიით 20% ფასდაკლება**  
 მის: ვაჟა-ფშაველას №37  
 ☎899 50-31-52

**ფირმა „გერმანია“**  
 გრეყალი და თუნიის სასაქმეების, საქაქმეების და აუზების ვიკარსაიკოლაციონო საგაზეთეგი აღმკლოგები და უხსოური მასალებით, რესაუბლიკის გერმანიის ვიკარსაიკოლაციონო საგაზეთეგი. მის: გარდაბნის გამზ. №55, ბინა №53  
 ☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

— მიხო, ჯო, მა-ღაზიაში ერთი ძველი წიგნი შევიძინე „როგორ გავხდე მილიონერი“ და სახლში რომ მივედი, ნახე-ვარი ფურცლები ამოხუებული იყო...  
 — მერე, იყო რა... ნახევარი მილიონი რა, არ გამოგადგება?!

მოკრივე მამა ვეით-ება შვილს:  
 — ევეს რომ ოთხი მიეფმატოთ, რამდენი იქნება?  
 — მაგარი ნოკაუ-ტი!..

გაზეთი დამოყვებლად ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რეაქციის აზრი შესაძლოა არ ეთხვეოდეს მასლის ავტორის მოსაზრებებს.  
 რეაქცია პაუსს არ ატებს უცხოური პრესიდან გადმო-არებული მასლების ფუჭებს, ინფორმაციის სისუტუნე, აგრეკო სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტრუქტურაში.  
 ნიშნით აღნიშნული სტატეტიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.  
**რეაქციაში შემოსული მასალები ავტოტრებს არ უბრუნდებათ.**  
**მისაბარი რედაქტორი ლალი ბუნთიანი**  
**მთ. რედაქტორის მონადედაბი:**  
 შუსა დუბაბა, მიორგი თუვმორაშვილი სარედაქტორო კოლბეაი  
 მის: აკურის ქ. №88 (სპორტის სასახლის უკან)  
 ტელ.: რედაქცია: 33-39-54  
 რეკლამა, ფაქსი: 98-74-44  
 palitra@access.sanet.ge  
 www.opentext.ge/kvirispalitra  
 საბეჭდო-ტეხნიკური ნომერი 1518  
**„კვირის პალიტრა“**  
 გამოდის ორშაბათობით  
 გაზეთი დაიბეჭდა გამოქვეყნებულმა „კოლოში“.